

# **სამოქალაქო**

## **კრიმინალური**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2017, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2017, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2017, №7

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2017, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ზაზა ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## 1. პროცესის ხარჯები

### სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება

#### განხილვა

№ას-996-940-2015

31 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. შ-მა (შემდეგში – მოსარჩელემ ან აპელანტმა) სარჩე-  
ლით მიმართა სასამართლოს ზ. შ-ისა და მ. შ-ის (შემდეგში –  
მოპასუხების) მიმართ და მოითხოვა 03.09.2013 წლის ჩუქების  
ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 მარტის  
გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სა-  
აპელაციო წესით გასასჩივრა მოსარჩელემ.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განჩინებით მოსარჩელის  
სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპე-  
ლანტს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვა-  
დაში სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 2080  
ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებუ-  
ლების სააპელაციო სასამართლოში წარდგენა.

5. 2015 წლის 20 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მოსარ-  
ჩელემ და იშუამდგომლა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელე-  
ბის თაობაზე.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით მოსარჩელის გან-  
ცხადება დაკმაყოფილდა, მას ხარვეზის შევსების ვადა გაუგ-  
რძელდა 14 დღით.

7. 2015 წლის 17 ივნისს აპელანტმა განცხადებით მიმართა  
სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის

გადახდის გადავადება. აპელანტმა განცხადებას თან დაურთო სსიპ შემოსავლების სამსახურის 10.05.2015 წლის ცნობა იმის თობაზე, რომ მას დასაბეგრი შემოსავალი არ გააჩნდა, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 27.05.2015 წლის ცნობა, რომლის თანახმად, მოსარჩელეს საკუთრებაში არ ერიცხებოდა უძრავი ქონება.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით:

- მოსარჩელის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;
- მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 48-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს სასამართლოსათვის არ წარუდგენია უტყუარი მტკიცებულებები მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობისა და სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობის თაობაზე.

10. პალატის მოსაზრებით, შუამდგომლობაზე დართული მტკიცებულებები, არ გამორიცხავდნენ მოსარჩელის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციისა და დაუბეგრავი შემოსავლის არსებობის ფაქტს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

11. სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე აპელანტმა შეიტანა კერძო საჩივარი. კერძო საჩივრის საფუძლები:

- აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად არანაირი შემოსავალი არა აქვს: იგი უმუშევარია და რაიმე სახის უძრავი ქონება არ გააჩნია;

- მხედველობაშია მისაღები, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

12. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის,

კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

14. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო აპელანტის მიერ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობა, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა.

15. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას აღნიშნული მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

16. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული პირის უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, სამოქალაქო პროცესში შეზღუდულია სამართალწარმოების ეკონომიკურობისა და მხარეთა თანასწორობის დაცვის პრინციპებით. ცხადია, რომ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლთან შესაბამისი. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ „არ არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურებზე“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს; აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება „თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდუების რესურსებისა და საჭიროებების საფუძველზე“. (იხ., Golder judgment, p. 19, para. 38, quoting the “Belgian Linguistic” judgment of 23 July 1968,

Series A no. 6, p. 32, para. 5). თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეზღუდვამ პირის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ უნდა შეამციროს იმდენად ან იმ ფარგლებით, რომ დაირღვეს ძირითადი უფლების არსი. გარდა ამისა, შეზღუდვა არ იქნება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისი, თუ იგი არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და თუ გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის არ იქნება დაცული გონივრული პროპორციულობა (Ashingdane v. the United Kingdom საჩივრის №8225/68, 28.05.1985, შდრ. საქმე № სუსგ ას-30-30-2016, 23.02.16).

17. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა სსსკ-ის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ შეღავათზე დაყრდნობით (მძიმე ქონებრივი მდგომარეობა) სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება მოითხოვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე დაუსაბუთებელია, კერძოდ, სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა აპელანტის ქონებრივი მდგომარეობა და მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

18. საქმის მასალების მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ განცხადებას აპელანტმა თან დაურთო: ა) სსიპ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 19 მაისის ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ აპელანტს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემებით 2010 წლიდან 2015 წლის აპრილის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ უფიქსირდება; ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 27 მაისის წერილი, რომლის მიხედვით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით, აპელანტის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

19. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს დამაჯერებლად არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ იყო საკმარისი აპელანტის მიერ წარდგენილი ზემოხსენებული მტკიცებულებები იმის დასაბასტურებლად, რომ ამ უკანასკნელს, მისი ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მით უფრო, როცა იგი მოითხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას გადაწყვეტილების გამოტანამდე და არა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შესაძ

ლებელია, ტექნიკური ბიუროს მონაცემებით, აპელანტს გააჩნდეს უძრავი ქონება და, შესაბამისად, გადახდისუნარიანიც იყოს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უძრავი ქონების მესაკუთრედ ყოფნა იმას არ ნიშნავს, რომ მესაკუთრე ამ ქონებიდან აუცილებლად იღებს შემოსავალს. უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავალი (იჯარის ან ქირის თანხა), როგორც წესი, აისახება შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში. ამ უკანასკნელის მონაცემებით კი, როგორც ითქვა, აპელანტს დასაბეგრი შემოსავალი არ გააჩნია.

20. ზემოხსენებული მსჯელობის გთვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა რამდენად ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და რამდენად არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის.

21. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ შემდეგი განმარტება გააქვთა: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით შექმნილი პრეცედენტული სამართლიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: ... სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის, ფინანსური, არ უნდა იყოს გადაჭარბებული და არაგონივრული. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე ბაჟის სახით გონივრული შეზღუდვის დაწესება სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებაა, რა დროსაც, დაცული უნდა იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესს შორის. კერძო ინტერესის დაცვას ემსახურება ქართულ კანონმდებლობაში ბაჟთან დაკავშირებით დაწესებული ზედა ზღვარი, ასევე საკანონმდებლო ღონიშებზე რეგლამენტირებული უფლება იმისა, რომ ბაჟისაგან გათავისუფლების ან ბაჟის ოდენობის შემცირების საკითხი გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რა დროსაც, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარის ქონებრივი მდგომარეობა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რასაც მხარე თავად წარმოადგენს. მართალია, სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულია სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გარკვეული სტანდარტი, თუმცა, კანონმდებლობა შეზღუდვიდან გამონაკლისს უშვებს, ხოლო გამონაკლისით სარგებლობის უფლება მხარის განსაკუთრებული უფლებაა, რომლის გამოყენება მას მის მიერვე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეუძლია“ (იხ. სუსგ, საქმე №597-565-2015, 23.02.16).

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

23. საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს აღძრული აქვს აღიარებითი სარჩელი ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი (იხ. სუსგ: №ას-148-138-2015, 27.11.2015; №ას-937-887-2015, 10.11.2015; №ას-121-117-2016, 17.03.2016). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, სარჩელის მიხედვით, მდგომარეობს სადაცო ქონებაზე მისი უფლების აღდგენაში, ანუ ამ ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნებაში, რისთვისაც მიკუთვნებითი სარჩელის აღძრუა საჭირო. ეს საკითხი სააპელაციო პალატამ იმ შემთხვევაში უნდა გამოიკვლიოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, თუ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს და წარმოებაში მიიღებს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. შ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

## განერიცხა

№ას-818-784-2016

2 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** საადვოკატო ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ა-გ-იამ (შემდეგში: მოსარჩელე ან პირველი აპელანტი) სარჩელი აღდრა ც. გ.იასა (შემდეგში: პირველი მოპასუხე) და გ. ჭ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

2. მოსარჩელის მიერ მეორე მოპასუხის სახელზე 2008 წლის 15 ოქტომბერს გაცემული მინდობილობის ბათილად ცნობა;

3. მოსარჩელეს (წარმომადგენელი მეორე მოპასუხე) და პირველ მოპასუხეს შორის 2012 წლის 27 დეკემბერს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

4. უძრავი ქონების მდებარე – ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მინის (უძრავი ქონების) (შემდეგში: სადაც უძრავი ქონება) საკუთრების უფლებით მოსარჩელის სახელზე აღრიცხვა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებითა და 2015 წლის 7 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს დაეკისრა მოპასუხის წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯი – 1000 ლარი.

6. გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

7. პირველმა აპელანტმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი დაკმაყოფილება. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. მეორე აპელანტმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და 2015 წლის 7 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება.

10. 2016 წლის 18 ივლისს სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პირველმა მოპასუხემ და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების მიღება მოსარჩელისათვის პირველი მოპასუხის სასარგებლოდ სააპელაციო სასამართლოში იურიდიული მომსახურების ხარჯის – 4000 ლარის ოდენობით დაკისრების თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაში წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურებაზე სასამართლოს არ უმსჯელია.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივლისის განჩინებით განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

12. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 07 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებით პირველი მოპასუხის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს პირველი მოპასუხის სასარგებლოდ, მოპასუხის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადადილი თანხის ანაზღაურების მიზნით, 1000 ლარის გადახდა დაეკისრა, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად იქნა დატოვებული. შესაბამისად, განმცხადებლის პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურების შესახებ არ უმსჯელია, საფუძველს მოკლებული იყო.

13. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით განპირობა საქმის სირთულემ და მხარეთა ქონებრივმა მდგომარეობამ სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე და აღნიშნული ოდენობით ადგონატის მომსახურების ანაზღაურების დაკისრება მეორე მხარისათვის საქმარისი იქნებოდა როგორც პირველი, ასევე სააპელაციო ინსტანციით საქმის წარ-

მოებისათვის.

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა მეორე მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმება და წარმომადგენლის მომსახურებისათვის გა-ნეული ხარჯის – 4000 ლარის მოსარჩელისათვის დაკისრება.

15. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მან წარმო-მადგენელთან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკ-რულება სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებაზე, რომ-ლითაც იურიდიული მომსახურების ღირებულება განისაზღვრა დავის საგნის ღირებულების 4%-ით – 4000 ლარით. ამ ხელშეკ-რულების საფუძველზე, მეორე მოპასუხემ სრულად გადაიხა-და იურიდიული მომსახურების ღირებულება 2015 წლის 07 და 09 სექტემბერს.

16. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, გამომდინარე იქი-დან, რომ სააპელაციო წესით მოცემულ შემთხვევაში, ორი საა-პელაციო საჩივარი იხილებოდა, იურიდიულ მომსახურებას საა-პელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა როგორც სააპელაციო საჩივრის შედგენა, ისე სააპელაციო შესაგებლის შედგენა. მტკიცებულებებისა და განცხადებების წარდგენა, საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობის მიღება. შესაბამი-სად, იმაზე მითითება, თითქოს შხარეს გადახდილი ღირებულე-ბის ადეკვატური იურიდიული მომსახურება არ მიეღოს ყოველ-გვარ დასაბუთებასაა მოკლებული.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატა კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შე-მოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი წაწილობ-რივ უნდა დაექმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების გან-ხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

20. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს 2015 წლის 07 ივლისის დამატებითი გა-დაწყვეტილებით პირველი მოპასუხის შუამდგომლობა დაკმა-ყოფილდა და მოსარჩელეს პირველი მოპასუხის სასარგებლოდ, მოპასუხის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადახ-

დილი თანხის ანაზღაურების მიზნით, 1000 ლარის გადახდა და-ეკისრა, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად იქნა დატოვებული.

21. დადგენილია ისიც, რომ 2016 წლის 18 ივლისს სააპელა-ციონ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პირველმა მოქა-სუხემ და მოითხოვა დამატებითი განჩინების მიღება მოსარჩე-ლისათვის პირველი მოპასუხის სასარგებლოდ სააპელაციო სა-სამართლოში იურიდიული მომსახურების ხარჯის – 4000 ლარის დაკისრება.

22. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატის მომსა-ხურებისათვის განეული ხარჯის მეორე მხარისათვის დაკისრე-ბის საკითხის გადაწყვეტის წესი მოცემულია სსსკ-ის 53-ე მუხ-ლში. ნორმის პირველი ნაწილის დანაწესით, იმ მხარის ნარმო-მადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სა-სარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამარ-თლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგ-რამ არაუმტეს დაგის საგნის ლირებულების 4%-ისა. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვნ ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უცოვებს სასამართლოებს. კანონდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურე-ბამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწი-ლე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახ-მარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინა-არსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრულეო-ბის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ლირებულების არაუმტეს 4%-ს. ნიშანდობლივია, რომ დავის საგნის ლირებულების 4% წარმომადგენს ზედა ზღვარს (კანო-ნით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას), რომლის ფარგლებშიც ხდება ხარჯების ოდენობის სასამართლოს მიერი განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები იქნა განხორ-ციელებული ადვოკატის მიერ, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონა-წილე რომელმა მხარემ გასწის იგი და სხვ.

23. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივლისის

განჩინებით განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ თბილის საქალაქო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რა პირველი მოპასუხის შუამდგომლობა საადვოკატო მომსახურების 1000 ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ, აღნიშნული ოდენობით ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების დაკისრება მეორე მხარისათვის საკმარისი იქნებოდა როგორც პირველი, ასევე სააპელაციო ინსტანციით საქმის წარმოებისათვის.

24. სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ მსჯელობას საკასაციო პალატა არ იზიარებს გამომდინარე იქიდან, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო წესით მოცემულ შემთხვევაში, ორი სააპელაციო საჩივარი იხილებოდა. იურიდიულ მომსახურებას სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა როგორც სააპელაციო საჩივრის შედგენა, ისე სააპელაციო შესაგებლის შედგენა. აგრეთვე, მტკიცებულებებისა და განცხადებების წარდგენა, საქმის არსებით განხილვაში მონაწილობის მიღება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სამართლნარმოების ეტაპის გათვალისწინებით ადვოკატის მომსახურების ხარჯი მეორე მოპასუხეს უნდა აუნაზღაურდეს 1000 ლარის ოდენობით.

25. ამდენად, კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ზემოთ მოხმობილი ნორმებისა და მსჯელობის საფუძველზე, მ. ა-გ-იას უნდა დაეკისროს ც. გ-იას მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯი 1000 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. გ-იას კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივლისის განჩინება;
3. მ. ა-გ-იას ც. გ-იას სასარგებლოდ დაეკისროს ც. გ-იას მიერ სააპელაციო სასამართლოში საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## 2. მესამე პირები

### საპროცესო უფლებამონაცვლეობა

#### განჩინება

№ას-926-891-2016

20 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: უფლებამონაცვლედ ცნობა

#### აღნიშვნილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა კოლეგის 2015 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყო-  
ფილდა დ. ქ-ის (შემდეგში: მოსარჩელე) მოთხოვნა ნ. კ-ის (შემ-  
დეგში: მოპასუხე/ან მშენებელი, თავდაპირველი მესაკუთრე,  
საჩივრის ავტორი) მიმართ და ამ უკანასკნელს დაევალა ქ. თბი-  
ლისში, ვ-ის ქ. №...-ში (საკადასტრო კოდი №...) მდებარე სახლის  
დარჩენილი კედლისა და საძირკვლის დემონტაჟის არა მექანი-  
კური, არამედ ხელით შესრულება და ასაშენებელი სახლის ქვა-  
ბულის ამოღებამდე ქ. თბილისში, ლ-ის ქ. №...-ში მდებარე სახ-  
ლის (საკადასტრო კოდი ...) იმ კედლისა და ფუნდამენტის გა-  
მაგრება, რომელიც ასაშენებელი სახლის საძირკვლებს ეჭვი-  
ნებოდა შპს „ვ-ის“ 2014 წლის 23 ოქტომბრის დასკვნისა და შპს  
„ლ-ოს“ მიერ შედგენილი პროექტის შესაბამისად;

2. გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოქმედების შესასრუ-  
ლებლად მოპასუხეს დაუდგინდა ვადა და განემარტა, რომ, თუ-  
კი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვა-  
დაში არ ჩაატარებდა ქ. თბილისში, ლ-ის ქ. №...-ში მდებარე, მო-  
სარჩელის საკუთრებაში არსებული სახლის კედლისა და ფუნ-  
დამენტის გასამაგრებელ სამუშაოებს, შპს „ვ-ის“ 2014 წლის 23  
ოქტომბრის დასკვნისა და შპს „ლ-ოს“ მიერ შედგენილი პროექ-  
ტის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება პქონდა, ეს მოქმედე-  
ბა შეესრულებინა მოპასუხისგან აუცილებელი ხარჯების ანაზ-  
ლაურებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის,  
შემდეგში სსსკ-ის, 254-ე მუხლის პირველი ნაწილი).

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

4. სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა მოპასუხისათვის ქ. თბილისში, ვ-ის №...-ში მდებარე სახლთან დაწყებული მშენებლობის აკრძალვა და მის მიერ მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრება სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი წესის საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (სსსკ-ის 191-ე, 194-ე მუხლები).

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს აერძალა ქ. თბილისში, ვ-ის №...-ში მდებარე სახლთან დაწყებული მშენებლობა და მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრება სასამართლო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებით.

6. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 ივლისის განჩინებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

7. 2016 წლის 31 აგვისტოს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რა დროსაც მოითხოვა მოცემულ საქმეზე მოპასუხის უფლებამონაცვლედ შპს „დ-ოს“ (შემდეგში: განმცხადებელი, უფლებამონაცვლე ან მესაკუთრე) ცნობა და სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 ივლისის განჩინებაზე ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

8. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხის წარმომადგენელმაც და განსახილველ დავაზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე იშუამდგომლა.

9. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე განმცხადებელი ცნობილ იქნა თავდაპირველი მესაკუთრის უფლებამონაცვლედ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განჩინებაზე გაიცა ახალი სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალედ მიეთითა უფლებამონაცვლე; მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

10. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განჩინების (რომლითაც მოსარჩელის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს აეკრძალა ქ. თბილისში, ვ-ის №...-ში მდებარე სახლთან დაწყებული მშენებლობა და მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრება სასამართლო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებით) აღსრულება ვერ მოხერხდა, რადგან მოსარჩელის მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთი თავდაპირველი მოპასუხისა 2015 წლის 3 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამონაცვლემ შეიძინა, რომელიც საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერის მიხედვით, ხსენებული უძრავი ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენდა.

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 92-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც: სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოცემული დავა სანივთოსამართლებრივი ხასიათის იყო და მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომდინარე ხელყოფას შეეხებოდა, ამასთან, აღნიშნულ ნაკვეთს შეეცვალა მესაკუთრე, რომელიც, მოსარჩელის განმარტებით, მისი საკუთრების ხელყოფას აგრძელებდა, არსებობდა იმის მატერიალურსამართლებრივი საფუძველი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 176-ე მუხლი), რომ მოპასუხის უფლებამონაცვლედ ცნობილიყო მოსარჩელის მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განჩინებაზე ახალი სააღსრულებო ფურცელი უნდა გაცემულიყო მოპასუხის უფლებამონაცვლის წინააღმდეგ.

12. რაც შეეხება მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობას, დავის არარსებობის გამო, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ეს შუამდგომლობა უძრავი ნივთის მესაკუთრის შეცვლასთან ერთად იმ გარემოებას ეფუძნებოდა, რომ უფლებამონაცვლეს მშენებ-

ლობის ახალი წებართვა მიღებული ჰქონდა და მან უკვე შეასრულა ის სამუშაოები, რომელთა თაობაზეც დავა მიმდინარეობდა. დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ საქმეზე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შეცვლა საპროცესო უფლებამონაცვლეობის და არა საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობას წარმოადგენდა, ხოლო შუამდგომლობის ავტორის სხვა არგუმენტები საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე, მხარეთა მონაწილეობით უნდა გამოკვლეულიყო.

13. სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხება.

14. კერძო საჩივრის საფუძვლები:

14.1. სსსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, მართალია, უფლებამონაცვლეობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დავის საგანი მესაკუთრეობის ფაქტს არ უკავშირდება, ე.ი. მოპასუხის მიერ უძრავი ქონების უფლებამონაცვლებზე გასხვისება არ წარმოქმნის ავტომატურ რეჟიმში უფლებამონაცვლეობას, ვინაიდან მოსარჩელე მოითხოვდა გარკვეული ქმედების შესრულებას და ეს ქმედება თეორიულად დასაშვებია, იმის მიუხედავად, თუ ვინ არის მესაკუთრე. მოსარჩელის მოთხოვნაა, თავისი სახლის საძირკვლისათვის (რომელიც მოპასუხის საკუთრებას ემიჯნება) გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით (შპს „ლ-ოს“ დასკვნა). სამუშაოების წარმოება, თავის მხრივ, იმ ფაქტორივი გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ უფლებამონაცვლე მოსარჩელის სახლის მომიჯნავე ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოებს ატარებს. ამდენად, მოსარჩელისთვის განმსაზღვრელია არა მესაკუთრეობა, არამედ ის, თუ ასრულებს მითითებულ სამუშაოებს და ვის აქვს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა მშენებლობის საწარმოებლად. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ასეთი წებართვა უფლებამონაცვლეს გააჩნდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ კი, სათანადო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, მხოლოდ მესაკუთრის ცვლილების გამო დაადგინა უფლებამონაცვლეობა.

14.2 სააპელაციო სასამართლოში მხარეს არ წარუდგენია რაიმე ტიპის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა უფლებამონაცვლის მიერ სამუშაოების წარმოების ფარგლებში მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრებას. აქ მნიშვნელოვანია არა ის, უფლებამონაცვლემ ნამდვილად ჩაატარა თუ არა სამშენებ-

ლო სამუშაოები, არამედ, თუ რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით იმსჯელა სასამართლომ.

14.3 მნიშვნელოვანია, რომ დავის განმავლობაში ფაქტობრივი გარემოებები შეიცვალა, კერძოდ: ა. მოპასუხე არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს; ბ. მოპასუხე არ ახორციელებს მშენებლობას ქ. თბილისში, ვ-ის ქ.№...-ში; გ. უფლებამონაცვლეს მიღებული აქვს ახალი მშენებლობის ნებართვა; დ. უფლებამონაცვლემ უფლებამონაცვლეობის საკითხის სასამართლოს მიერ გადაწყვეტამდე ჩაატარა ის სამუშაოები, რომელთა განხორციელების თაობაზეც სასამართლო დავა მიმდინარეობს, ე.ი. მან უკვე ჩაატარა მოსარჩელის სახლის საძირკვლის იმ ნაწილის გამაგრებითი სამუშაოები, რომელიც მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს ესაზღვრება; ე. აკრძალვა არ მოიცავს და არ გულისხმობს უფლებამონაცვლის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების იმ ნაწილს, რომელიც არ უკავშირდება მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრებას (რაც უკვე შესრულებული მოქმედებაა).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

16. წარმოდგენილი კერძო საჩივრით უფლებამონაცვლე სადაცოდ ხდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებას, რომლითაც სასამართლომ იგი მოპასუხის უფლებამონაცვლედ ცნო.

17. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას მისი უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძვლის არარსებობის შესახებ და განმარტავს, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები მოწესრიგებულია სსკ-ის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით. საპროცესო უფლებამონაცვლეობას მატერიალური სამართლის ნორმები განაპირობებენ, რომელთა მიხედვითაც, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ თავის თავზე იღებს წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს, შესაბამისად, თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.

18. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, ვინაიდან უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მატერიალური სამართლის მიხედვით, კერძოდ, სსკ-ის 176-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უფლება აქვს, მოპასუხის უფლებამონაცვლეს (რომელიც მეზობელი მინის ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრეა) მოსთხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა. ამდღნად, მოსარჩელის უფლება სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დაუშვებელი ხელყოფის აკრძალვის თაობაზე, არ უკავშირდება მხოლოდ ნინამორბედ მესაკუთრეს და მას ამ ნაკვეთის ახალი მესაკუთრისთვისაც შეუძლია იმავე მოთხოვნის ნაყენება.

19. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სრულიად მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მინის ნაკვეთის მესაკუთრის შეცვლა საქმის ნარმობის შეწყვეტას ვერ განაპირობებს და იგი საპროცესო უფლებამონაცვლეობის ნარმოშობის საფუძველია.

20. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ვერ გამოღვება კერძო საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის სახლის საძირკვლის იმ ნაწილის გამაგრებითი სამუშაოები, რომელიც მოსარჩელის მიწის ნაკვეთს ემიჯნება, უკვე შესრულებულია და სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამონაცვლეს არ ევალება მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული სახლის მთლიანი საძირკვლის გამაგრება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის სახლის ნაწილის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების ფაქტი (თუკი ასეთს რეალურად ადგილი აქვს) უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხის გადაწყვეტაზე რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენს, რამდენადაც იგი დავის არსებითად განხილვის ეტაპზე უხდა დადგინდეს და შეფასდეს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამონაცვლეს არ ევალება მოსარჩელის საძირკვლის საკუთრებაში რიცხული სახლის მთლიანი საძირკვლის გამაგრება, უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტაზე ვერც ეს გარემოება მოახდენს რაიმე გავლენას, რამდენადაც უფლებამონაცვლეობის არსი სწორედ ისაა, რომ თავდაპირველი მესაკუთრის შეცვლის პირობებში, ამ უკანასკნელისათვის დაკისრებული ყველა ვალდებულების მატარებელი სუბიექტი უფლებამონაცვლე ხდება.

21. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

22. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

23. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „დ-ოს“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „დ-ოს“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება**

#### **მტკიცების ტვირთი სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის**

##### **განერიება**

№ას-818-784-2016

16 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** მინდობილობის და ნასყიდობის ხელშეკრუ-  
ლების ბათილად ცნობა; უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა,  
ნარმომადგენლის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება

##### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. მ. ა-იამ (შემდეგში: მოსარჩელე ან პირველი აპელანტი) სარ-  
ჩელი აღძრა ც. გ-იასა (შემდეგში: პირველი მოპასუხე) და გ. ჭ-ის  
(შემდეგში: მეორე მოპასუხე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა:  
2. მოსარჩელის მიერ მეორე მოპასუხის სახელზე 2008 წლის  
15 ოქტომბერს გაცემული მინდობილობის ბათილად ცნობა;  
3. მოსარჩელეს (წარმომადგენელი მეორე მოპასუხე) და პირ-  
ველ მოპასუხეს შორის 2012 წლის 27 დეკემბერს დადებული  
უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;  
4. უძრავი ქონების მდებარე – ქ. თბილისში ... №14-ში მინის  
(უძრავი ქონების) (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება) საკუთ-  
რების უფლებით მოსარჩელის სახელზე აღრიცხვა.  
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებითა და 2015  
წლის 7 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებით სარჩელი არ  
დაცმაყოფილდა. მოსარჩელეს დაეკისრა მოპასუხის წარმომად-  
გენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯი – 1000 ლარი.  
6. გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო  
წესით.  
7. პირველმა აპელანტმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივ-  
ნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილე-

ბის მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. მეორე აპელაციური მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების უარის თქმის ნაწილში გაუქმება და მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2008 წლის 15 ოქტომბრის მინდობილობა იძულების ან მუქარის საფუძველზე არ დადებულა. მინდობილობას მოსარჩელე იმ საფუძვლით ხდიდა სადაცოდ, რომ იგი მისი შევილისაგან წლების განმავლიბაში განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიკურ ზეწოლას, თუმცა, მას შემდეგ, რაც მოპასუხებ სადაცოდ უძრავი ქონების მასზე გადაფორმებაზე უარი მიიღო, მისი აგრესია მოსარჩლის მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა. 2008 წლის 24 სექტემბერს კი, პირველმა მოპასუხებ მოსარჩელეს მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა შიაცხენა, რის გამოც ეს უკანასკნელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოსარჩელის განმარტებით, პირველი მოპასუხე მას ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა, რამაც იძულებული გახადა 2008 წლის 15 ოქტომბერს მეორე მოპასუხეზე პირველი მოპასუხისათვის სასურველი შინაარსის მინდობილობა გაეფორმებინა.

11. პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის დანაწესზე, რომლის შესაბამისად, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის მიხედვით კი, გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამდენად, პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლი გარიგების დადებისას ნების გამოვლენის თავისუფლებას იცავს და ეფუძნება იმას, რომ ნების გამოვლენა მხოლოდ მაშინ არის ნამდგილი შინაგანი ნების გამოხატულება, თუ ნების ფორმირება იძულების და მუქარის გარეშე განხორციელდა.

12. პალატამ განმარტა, რომ იმისათვის, რომ წარმოიშვას სა-დავო გარიგების ბათილად ცნობის სამოქალაქო კოდექსის 85-ე-86-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები, საკმარი-სი არ არის მოსარჩელის მხრიდან, მხოლოდ, ობიექტურად არ-სებული იძულების მდგომარეობაზე მითითება. არამედ, საქმე-ზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად უნდა დგინ-დებოდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა (იძულება/მუქარა) და დამდგარ შედეგს (სადავო გარიგება) შორის.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნე-ლობისაა არა ის გარემოება, რეალურად ჰქონდა თუ არა პირვე-ლი მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ცემისა, თუ მუქარის ფაქტს ადგილი, არამედ, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებუ-ლებების კვლევის შედეგად, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, აღ-ნიშნულ ძალადობას/მუქარასა და სადავო მინდობილობის გა-ფორმებას შორის არსებობდა, თუ არა, მიზეზობრივი კავშირი, ანუ, იყო თუ არა 2008 წლის 24 სექტემბერს მოსარჩელებზე გან-ხორციელებული ფიზიკური/ფსიქიკური ძალადობის მიზანი მო-სარჩელის მიერ სადავო მინდობილობის გაცემის იძულება.

14. ამ მიმართებით, პალატამ ყურადღება მიაქცია საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს: მოწმე ლ. ა-ის განმარტებით, ... მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაბრუნდა სახლში, შემოსვლისთა-ნავე დაუწყო მოპასუხებ მას უშვერი სიტყვებით გინება და ცემა. მისი მოთხოვნა იყო ფული და ოქრო, მოპასუხე ახსენებდა სადა-ვო უძრავ ქონებას. ... ამ ფაქტიდან ერთი კვირის თავზე პირველი მოპასუხე დაუკავშირდა მოწმეს, რომელთანაც იმყოფებოდა მო-სარჩელე და აცნობა, რომ სურდა მასთან მისვლა მეორე მოპასუ-ხესთან ერთად. იქ მისვლის შემდეგ მან მოითხოვა მოსარჩელის-გან სადავო ბინის გადაფორმება მეორე მოპასუხეზე გენერალუ-რი მინდობილობით; მოსამართლის შეკითხვაზე, როდის დაინყო კონფლიქტი და რატომ იყო მხარეებს შორის ასეთი დაპირისპი-რება და რას ითხოვდა მოპასუხე მოსარჩელისგან, მოწმემ აღ-ნიშნა, რომ 2008 წლამდეც არსებობდა უთანხმოება მხარეებს შო-რის, მოპასუხე გაუთავებლად ითხოვდა ფულს, კ. კოშკს, რათა მეპატრონე ყოფილიყო და მოსარჩელე მას არ გაკარებოდა, მა-შინ სადავო უძრავი ქონება არ ფიგურირებდა (იხ. 21.04.2015 სა-სამართლო სხდომის ოქმი, 14:06:41სათი).

15. მოწმე დ. ხ-ი 2008 წლის 24 სექტემბრის ფაქტთან დაკავ-შირებით განმარტას, რომ პირველი მოპასუხის მიერ მოსარჩე-ლის ცემის ფაქტს უშუალოდ არ შესწრებია; გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ გაუმხილა მას, რომ პირველმა

მოპასუხემ იგი სცემა, თუმცა, კონკრეტულად ცემის მიზეზი სადავო მინის ნაკვეთი არ ყოფილა, რაზეც დაობდნენ იყო კ-ი კოშკი (იხ. 21.04.2015 სასამართლო სხდომის ოქმი, 14:39:33 საათი).

16. მოწმე მ. რ-ამ განაცხადა, რომ უშუალო შემსწრე ოჯახური კონფლიქტისა იგი არ ყოფილა, მოსარჩელე მას ნაცემი არ უნახავს (იხ. 21.04.2015 სასამართლო სხდომის ოქმი, 14:47:35; 14:48:03; 14:47:40 საათი). მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ კ-ი კოშკის ირგვლივ იყო რამდენიმე სეგმენტი მინის ნაკვეთი, რომელიც კ-ი კოშკის ირგვლივ გააერთიანეს. მისთვის მინის ნაკვეთთან დაკავშირებით კონფლიქტის შესახებ მოსარჩელისგან ცნობილი იყო, თუმცა მოსარჩელეს არ დაუკონკრეტებია, რომელ მინის ნაკვეთზე იყო საუბარი. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ მუქარის მოწმე უშუალოდ არ ყოფილა და პირადად არ შესწრებია (იხ. 21.04.2015 სასამართლო სხდომის ოქმი, 14:50:51 საათი).

17. ამდენად, მოწმეები დ. ხ-ი და მ. რ-ა მიუთითებენ, რომ ისინი ძალადობისა და მუქარის ფაქტს პირადად არ შესწრებიან და მათთვის უცნობია, კონფლიქტი უკავშირდებოდა თუ არა სადავო უძრავ ქონებას.

18. ხოლო მოწმე ლ. ა-ის ჩვენებით კი ირკვევა, რომ მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის კონფლიქტი 2008 წელს არ დაწყებულა და მანამდეც არსებობდა.

19. იმავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ მოწმე ადასტურებს მოსარჩელის ცემის ფაქტს, იგი ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული „ცემისა და მუქარის“, მიზანს მოსარჩელისაგან სასურველი მინდობილობის მიღება წარმოადგენდა. მისივე განმარტებით, მოპასუხე მოსარჩელისგან ფულსა და ოქროულობას ითხოვდა.

20. პალატა აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც მოწმე ლ. ა-ე (მოსარჩელის და) მხარეთა შორის ზოგადად კონფლიქტურ ურთიერთობებზე მიუთითებს, რომელიც „2008 წელს არ დაწყებულა“ და ამასვე ადასტურებს თავად მოსარჩელეც, ასეთ ვითარებაში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოების უტყუარად დადასტურება, რომ 2008 წლის 24 სექტემბრის კონფლიქტის (თუ სხვა ქმედებების) მიზეზი და მიზანი, სწორედ, სადავო მინდობილობის გაფორმების მიღწევა იყო, რომლის საფუძველზეც პირველ მოპასუხეს, შემდგომ, სადავო მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება უნდა მოეპოვებინა, თუმცა, საქმეში წარმოადგენილი წერილობითი მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების ანალიზის საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ ასეთი გარემოება არ დასტურდება. ამ თვალსაზრი-

სით, საგულისხმოა გარემოება, რომ სადაც მინდობილობა გაფორმებულია 2008 წელს 15 ოქტომბერს, ხოლო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება კი, შემდგარია 4 წლის შემდეგ – 2012 წლის 27 დეკემბერს. შესაბამისად, მოსარჩელის განმარტება, რომ მასზე განხორციელებული „ძალადობის“ მიზანი მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვება იყო, პალატის მოსაზრებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით, დამაჯერებლობას მოკლებულია.

21. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზარა აპელანტის პრეტენზია 2014 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტლების გაუქმების არამართებულობასთან დაკავშირებით და მიუთითა შემდეგზე:

22. სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის მიზნებისათვის საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

23. ამდენად, საპროცესო ნორმა პირდაპირ განსაზღვრავს მტკიცებულების სახეობას, რითაც შეიძლება დადასტურებულად იქნეს მიჩნეული ავადმყოფობა, როგორც პროცესზე წარმოუდგენლობის საბატიო გარემოება, კერძოდ, როგორც 215-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარებს, ასეთ მტკიცებულებას წარმოადგენს სამედიცინო ცნობა, რომელიც ხელმოწერილია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

24. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობის საფუძველზე დგინდება, რომ პაციენტს 2014 წლის 17 ივნისს დიაგნოზის სახით გულის იშემიური დაავადება დაუდგინდა, ხოლო სამკურნალო რეკომენდაციებში მიეთითა წოლითი რეჟიმის დაცვის საჭიროება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული სამედიცინო ცნობა სრულიად მართებულად მიიჩნია მხარის სასამართლო სხდომაზე გა-

მოუცხადებლობის საპატიოობის დამადასტურებელ სათანადო და საკმარის მტკიცებულებად.

25. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა შედავე-ბა დამატებითი გადაწყვეტილების არაკანონიერებასთან დაკავ-შირებით და განმარტა შემედგი:

26. სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თა-ნახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამა-ტებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება სასამართლოს გამო-აქვს სასამართლო სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას, ხოლო მე-31 ნაწილის პირ-ველი წინადადების შესაბამისად, სასამართლო ხარჯების სა-კითხს სასამართლო განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.

27. პალატამ აღნიშნა, რომ ადგოყატისათვის განეული ხარჯი სსსკ-ის 37-ე მუხლის კონტექსტში სასამართლოს ხარჯად არ მი-იჩნევა და იგი სასამართლოს გარეშე ხარჯად განიხილება. შესა-ბამისად, მისი ანაზღაურება სსსკ-ის 261-ე მუხლის „გ“ ქვეპუნ-ქტის რეჟიმს არ ექვემდებარება. უფრო მეტიც, ადგოყატისათ-ვის განეული ხარჯი, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით, არც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ანაზღაურებადი კატეგორიაა. თუმცა, პალატა მიიჩნევს, რომ ადგოყატის ხარჯე-ბის ანაზღაურების თაობაზე წარმოდგენილი მოთხოვნა, ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, შესაბამისად, იგი სსსკ-ის 261-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის კონტექსტში უნდა იქნეს შეფასებული. პალატამ მიიჩნია, რომ თუ მხარე სამართალარ-მოების ფარგლებში, ადგოყატისათვის განეული ხარჯის ანაზღა-ურებას მოითხოვს, მითითებულ მოთხოვნაზე სასამართლომ არ-სებითად უნდა იმსჯელოს, ხოლო, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომ-ლის შესახებაც მხარეებმა მტკიცებულებანი წარადგინეს და ახ-სნა-განმარტებანი მისცეს, თუმცა, გადაწყვეტილება არ გამო-ტანილა, დამატებითი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარის მი-ერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქ-ნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნ-დაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტ-ში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკა-ყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ, მოსარჩელეს ამ მუხლში აღ-ნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორ-

ციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედ მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასამართლოდაც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება, სასამართლო დაკავისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

28. პალატამ ყურადღება გააძახვილა ადვოკატისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაზე და განმარტა, რომ ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, აგრეთვე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი და სხვა ისეთი გარემოები, რომლებიც ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გონივრული ფარგლების დადგენას განაპირობებს. ნიშანდობლივია, რომ მითითებული გარემოები გასათვალისწინებლისა სასამართლოს მხრიდან საკუთარი დისკრეციის გამოყენების პირობებში, მოგებულ მხარეს ადვოკატისათვის განეული ხარჯი 4%-მდე აუნაზღაუროს. 4%-იანი ლიმიტი იმ ოდენობის მაქსიმუმია, რომელიც მეორე მხარეს შეიძლება დაეკისროს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. ასეთი წესი ქმნის ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა 1000 ლარით განსაზღვრა, რაც პალატის მოსაზრებით არ ენინააღმდეგება სსსკ-ის 47-ე მუხლით დადგენილ სტანდარტს.

29. სააპელაციო პალატის განჩინება ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო წესით. პირველმა კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, აგრეთვე ნარმომადგენლის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა.

31. მეორე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინე-

ბის გაუქმება და წარმომადგენლის მომსახურების ხარჯების სრულად ანაზღაურება.

30. პირველი საკასაციო საჩივარი ძირითადად ეფუძნება პირველი აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი საჩივრის არგუმენტებს, სახელდობრ, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ 2008 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული მინდობილობა იძულებით და მუქარით დადებულ გარიგებას არ წარმოადგენს. კასატორი უთითებს, რომ მეორე მოპასუხეს შესაგებელი არ წარმოუდგენია და არც 2014 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, მას არ გაუბათილებია მოსარჩელის არგუმენტები. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები კი, ერთობლიობაში ადასტურებს სადაცო გარემოებებს, კერძოდ: ცნობა საავადმყოფოდან ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2008 წლის 24 სექტემბერს მოსარჩელე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში სისხლჩქიცევებით, მარცხენა თვალბუდის ბროლის დაზიანებით, ტვინის შერყევით და სხვა სიმპტომებით; მოწმე ლ. ა-ის ჩვენების თანახმად, მოსარჩელე საავადმყოფოში მოხვდა იმის გამო, რომ მასზე პირველმა მოპასუხებმ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლად მითითებული ცემისა, იძულებისა და მუქარის ფაქტები დასტურდებოდა აგრეთვე მოწმეთა ჩვენებებით, რომელთა შინაარსი საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლომ არასაწორად შეაფასა და შესაბამისად, დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლი.

31. კასატორი ასევე სადაცოდ მიიჩნევს მისთვის მოპასუხების წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების დაკისრებასაც.

32. მეორე კასატორი სადაცოდ ხდის წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების სრულად აუნაზღაურებლობას. სახელდობრ, მისი მოსაზრებით, სსსკ-ის 53-ე მუხლის სწორი განმარტების შემთხვევაში, მოსარჩელეს სრულად უზდა აენაზღაურებინა მოპასუხების მიერ განეული ხარჯი, რადგან კანონის ნორმატიული შინაარსი კრძალავს დავის საგნის ღირებულების 4%-ზე მეტის დაკისრებას, თუმცა დასაშვებად მიიჩნევს სწორედ 4%-ის დაკისრებას, რომლის შემცირების უფლება სასამართლოს არ აქვს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:**

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით პირველი საკასაციო საჩივარი, ხოლო 28 სექტემბრის განჩინებით კი, მეორე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

34. საკასაციო სასამართლომ, სსსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივარების დასაშვებობის საკითხი და მიჩნევებს, რომ ისინი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

35. მოცემულ შემთხვევაში, პირველი საკასაციო საჩივრით სადაცოა 2008 წლის 15 ოქტომბრის მინდობილობის კანონიერება. სანოტარო აქტის ბათილობის საფუძვლად მოსარჩელე მასზე განხორციელებულ იძულებას, მუქარას ასახელებს. ფაქტობრივი გარემოება, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკიცოს მან, ვისაც მიაჩნია, რომ იძულებით დადგებული გარიგებით შეიღასა მისი უფლება (მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება). ის ფაქტობრივი გარემოება, რომ იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეულმა შიშმა აიძულა მოსარჩელე მის ნების სანინაალმდეგოდ გაეცა მინდობილობა, სსსკ-ის 102-ე მუხლის დაცვით მან ვერ დაადასტურა, რაც სსსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, გადამწყვეტია გარიგების ბათილად ცნობისათვის. აღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად საკმარის მტკიცებულებად მხოლოდ მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტება ვერ იქნება მიჩნეული. კასატორი ვერც სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევას ადასტურებს, სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე მოწმეთა ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებათა არასწორი შეფასების კონტექსტში. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

36. საკასაციო პალატა არც მეორე საკასაციო საჩივრის დასაბუთებას იზიარებს და მიაჩნია, რომ წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების სანაცვლო ანაზღაურების სსსკ-ის 47-ე და 53-ე მუხლებით დადგენილი ნორმატიული დანაწესი სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა და ამ თვალსაზრისით, საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია. სახელდობრ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის მეორე მხარისათვის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის წესი მოცემულია სსსკ-ის 53-ე მუხლში.

ნორმის პირველი ნაწილის დანაწესით, იმ მხარის ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულებას 4%-ისა. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვნ ოდენბას, არამედ ამ ოდენბის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონდებლის ამგვარი მიღებობა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადგომკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენბის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრულობის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების არაუმეტეს 4%-ს. ნიშანდობლივია, რომ დავის საგნის ღირებულებას 4% ნარმოადგენს ზედა ზღვარს (კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენბას), რომლის ფარგლებშიც ხდება ხარჯების ოდენბის სასამართლოსმიერი განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები იქნა განხორციელებული ადგომკატის მიერ, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის ნარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონაწილე რომელმა მხარემ გასწია იგი და სხვ. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხემ ნარმომადგენლის დახმარებისათვის გასწია გარკვეული ხარჯი, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ გონივრულად მიჩნეული ოდენობით დაეკისრა მოსარჩელეს, შესაბამისად, არ არსებობს მეორე საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილების საფუძველი.

37. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალტას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრების დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქარ-

თველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ორგვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორები მიუთითებენ რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივრებს არა აქვთ წარმატების პერსპექტივა.

38. საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

39. ამასთან, საკასაციო საჩივრების განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან სსკ-ის 85-ე მუხლის სამართლებრივ და სსსკ-ის 47-ე და 53-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკა.

40. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუმვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები, რის გამოც მათ უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

41. პირველი კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

42. მეორე კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) 70% (210 ლარი) კი, სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად უნდა დაუბრუნდეს მეორე კასატორს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ა-იას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-უშვებლობის გამო.
2. ც. გ-იას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-უშვებლობის გამო.
3. კასატორ ც. გ-იას უკან დაუბრუნდეს მ. ე-ის მიერ 2016 წლის 26 სექტემბერს საგადახაფო დავალებით №0 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (300 ლარი) – 210 ლარი შემდეგი ანგარი-შიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... .
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## **ვაკტივი, რომელიც არ საჭიროება მოვიცებას**

### **გადაცევაფილება საქართველოს სახელი**

№ას-341-326-2016

21 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),**  
**ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),**  
**ჰ. ქათამაძე**

### **დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება**

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. სს „თ-ი“ (შემდეგში: მოსარჩევე, სააქციო საზოგადოება / სს/ მეორე აპელანტი ან კასატორი) 2005 წლამდე ფლობდა შ.პ.ს. „ჯ-ის“ (შემდეგში: პირველი საწარმო) საწესდებო კაპიტალში 35%-იან ნილს, შ.პ.ს. „ჯ-ის“ (შემდეგში: მეორე საწარმო) საწეს-დებო კაპიტალში 35%-იან ნილს და შ.პ.ს. „ჯ-ის“ (შემდეგში: მე-სამე საწარმო) საწესდებო კაპიტალში 40%-იან ნილს. თავის მხრივ, ქ. თბილისის მერია (შემდეგში: მოპასუხე, მერია, პირვე-ლი აპელანტი ან კასატორი) იმავე პერიოდში ფლობდა ამ სააქ-ციო საზოგადოების აქციათა 50.1%-იან ნილს.
2. ნინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებუ-

ლი სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2005 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, იმავე წლის 4 ნოემბერს ჩატარდა აქციონერთა კრება, რომელზეც აქციათა საკონტროლო პაკეტის (50,1%) მფლობელმა აქციონერმა (მერიამ), მიიღო გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების კუთვნილი წილების, შესაბამისად, პირველ სანარმოში – 35%, მეორე სანარმოში – 35% და მესამე სანარმოში – 40%, უსასყიდლოდ, საკუთარ თავზე გადაცემის შესახებ (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმსანად მოქმედი რედაქციის 54.6 „კ“ და 54.7 მუხლები).

3. სს-სა და მერიას შორის, 2005 წლის 30 დეკემბერს, დაიდო პირველ, მეორე და მესამე სანარმოში მოსარჩელის კუთვნილი წილების მოპასუხისათვის უსასყიდლოდ გადაცემის გარიგებები.

4. მერიამ, გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული სამი სანარმოს ყოფილი წილები, რომელიც უსასყიდლოდ მიიღო სააქციო საზოგადოებისაგან, გაყიდა შემდეგი ქრონოლოგიით: 2008 წლის 22 მაისს, პირველი სანარმოს ყოფილი 35%-იანი წილი, 4 351 000 (ოთხი მილიონ სამას ორმოცდათერთმეტი ათასი) აშშ დოლარად; მეორე სანარმოს ყოფილი 35%-იანი წილი, 2008 წლის 30 დეკემბერს, 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარად; მესამე სანარმოს ყოფილი 40%-იანი წილი, 2009 წლის 10 თებერვალს, 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარად (იხ. ხელშეკრულებები; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 524-ე, 477-ე მუხლები).

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა სააქციო საზოგადოების 15,3%-ის მფლობელი წილის აქციონერთა საკუთარი, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა ამ უკანასკნელთა მიერ სს-ისა და მერიის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი; საკასაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სს-ის 2005 წლის 4 ნოემბრის აქციონერთა კრების ოქმი და ამავე ოქმის საფუძველზე 2005 წლის 30 დეკემბერს, სს-სა და მერიას შორის პირველ, მეორე და მესამე სანარმოში მოსარჩელის (სააქციო საზოგადოების) კუთვნილი წილების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები (იხ. ამ გადაწყვეტილების 2-4 პუნქტები; ასევე სუსგ №ას-1194-1455-09). საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სს კრების ოქმის დღის წესრიგის მეორე საკითხი ეხებოდა მერიასთან დასადებ გარიგებას და თავად მერია არ იყო უფლებამოსილი, მიეღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

6. მერიას 2006-2007-2008 სამეურნეო წლებში, დივიდენდები არ მიუღია. პირველ, მეორე და მესამე საწარმოებში (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) არც გაუნაწილებელი დივიდენდების აკუმულირება მომხდარა მოგების არარსებობის გამო.

7. საქმეში განთავსებული აუდიტორული დასკვნის თანახმად, პირველ საწარმოში მოპასუხის 35%-იანი წილის საბაზრო ღირებულება განსაზღვრულია – 4 351 000 აშშ დოლარით, მეორე საწარმოში – მოპასუხის 35%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 0 აშშ დოლარი, მესამე საწარმოში – მოპასუხის 40%-იანი წილი შეფასებულია 988 000 აშშ დოლარით.

8. სააქციო საზოგადოებამ, 2014 წლის 29 მაისს, სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა, ამ უკანასკნელისათვის, მოსარჩელისადმი მიყენებული ზიანის – 6 351 000 (ექვივინტური მილიონ სამას ორმოცდათერთმეტი ათასი) აშშ დოლარის დაკისრება, სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 979.2 მუხლის საფუძველზე; მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხებ ბათილი გარიგების საფუძველზე მიღებული ქონების რეალიზაციით მიიღო ეს თანხა. სს-ამ, ასევე, მოითხოვა მოპასუხისათვის 600 000 (ექვსასი ათასი) ლარის დაკისრება, სსკ-ის 979.1 მუხლის შესაბამისად, რაც დივიდენდის სახით მიიღო მერიამ; ასევე, მოითხოვა მიუღებელი შემოსავლის სახით, სსკ-ის 411-ე მუხლით, სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულ ანაზღაურებამდე, დაკისრებული თანხის წლიური 6% (იხ. სარჩელი).

9. მოპასუხებ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით არ ცნო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი და განმარტა, რომ 04.11.2005ხ. აქციონერთა კრებაში მონაწილეობდნენ მერიისა და ბანკის „რ-ა“ წარმომადგენლები, ამასთან, მერიისათვის წილების დათმობა მოხდა თავად სს-ის გადაწყვეტილებით. მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია კრების ოქმი, პირიქით, ნასყიდობის ხელშეკრულებები გააფორმა მოპასუხესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების შედეგთან (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი) დაკავშირებით, მერიამ მიუთითა, რომ სარჩელი აღძრა არა სს-ამ, არამედ მისმა რამდენიმე აქციონერმა, მეტიც, ამ დავაში სს საკუთარი აქციონერების, როგორც მოსარჩელეების პროცესუალურ მოწინააღმდეგებე მხარეს წარმოადგენდა და სამართლებრივად იზიარებდა მერიის პოზიციას. მოპასუხის განმარტებით, სს-ას არც წილების გადაცემის პროცესში და არც შემდეგ აღნიშნული ფაქტი სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, სურდა მის

მფლობელობაში არსებული წილების მერიისათვის უსასყიდლოდ გადაცემა, ამდენად, დაუსაბუთებელია, საკასაციო სასამართლოს მიერ 14.11.2012წ. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მოპასუხის პრეტენზია შეეხო აღძრული სარჩელის ხანდაზმულობასაც (იხ. შესაგებელი; ასევე, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება).

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, მერიას 5 339 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა, ხოლო დაკმაყოფილებული მოთხოვნის შესაბამისად, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 2000 ლარის გადახდა იურიდიული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, ასევე, სახელმწიფო ბაჟი - 4137.5 ლარი. სს-ას უარი ეთქვა მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

11. სასამართლომ დავის მოსახლესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 317-ე, 976.1. „ა“, 979.1, 128.3.-ე, 411-ე, 412-ე მუხლები და განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების შესატყვისად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს რაძენიმე პირობა, კერძოდ, მოპასუხე უნდა გამდიდრდეს; მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ, ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება. რომელიმე ამ პირობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიხედვით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

12. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სს ითხოვდა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი შედეგები-დან გამომდინარე, მოპასუხისათვის 6 351 000 აშშ დოლარის დაკისრებას, რომელიც მერიამ მიიღო ბათილი გარიგების საფუძვლზე მიღებული ქონების რეალიზაციით.

13. სასამართლოს დასკვნით, სახეზე ის მდგომარეობა, რომ მოპასუხეს გასხვისებული აქვს დასაბრუნებელი წილი, რის გამც მოსარჩელეს სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უნდა აუნაზღაურდეს მისი ღირებულება.

14. სასამართლომ აუდიტორული დასკვნის (იხ. ამ გადაწყვე-

ტილების მე-7 პუნქტი) გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფასი წარმოადგენს მხარეთა მიერ წილის მიმართ არსებული ინტერესის გათვალისწინებით შეთანხმებულ ფასს და არა წილის რეალურ ღირებულებას. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ წილის ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი რეალური ღირებულება და არა ის ღირებულება, რა ფასიც მხარებმა დააფიქსირეს ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

15. სასამართლომ არ გაიზიარა მერიის პრეტენზია, რომ გარიგებათა ბათილობის მოთხოვნით სარჩელის აღძვრა აქციონერების და არა თავად სს-ის მიერ ადასტურებდა, საწარმოს კუთვნილი წილების უსასყიდლო განკარგვის თაობაზე მოსარჩელის ნამდვილი ნების არსებობას. სასამართლოს მსჯელობით, ის გარემოება, რომ სს-ას არ ჰქონდა წილის უსასყიდლოდ გადაცემის სურვილი დადასტურებული იყო სს-ისა და მოპასუხის წინააღმდეგ სს-ის აქციონერთა მიერ აღძრული სარჩელით და ამ დავაზე მიღებული საბოლოო შედეგით, რაც ასახულია საქართველოს უზნენაში სასამართლოს 14.11.2012წ. გადაწყვეტილებაში (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი).

16. სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა სს-ის 976-ე-979-ე მუხლებზე, შესაბამისად, მოპასუხის მტკიცება, რომ 2005 წლის 4 ნოემბრის კრების ოქმისა და მის საფუძველზე გაფორმებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელი აღძრა არა სს-ამ, არამედ მისმა აქციონერებმა, მოსარჩელეს (სააქციო საზოგადოებას) არ ართმევდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

17. სასამართლომ არ გაიზიარა მერიის მტკიცება, რომ სასარჩელო მოთხოვნა განხორციელებადი არ იყო, რადგან მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2005 წლიდან, როდესაც მოპასუხეს უსასყიდლოდ გადასცა კუთვნილი წილები, რაც სარჩელის ხანდაზმულობას ადასტურებდა. სასამართლომ, სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით, ხანდაზმულობის საერთო, ათწლიან ვადაზე იმსჯელა, რომელიც დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს სპეციალურ ვადას, განსახილველ შემთხვევაში კი, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტსაც უკავშირდებოდა. ამდენად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის სარჩელის აღძვრიდან (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი) ათვლის შემთხვევაშიც კი, 10-წლიანი ვადა გასული არ იყო.

18. მოსარჩელის მოთხოვნა, დივიდენდის სახით, მოპასუხის

მიერ მიღებული 600 000 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების შესახებ, სასამართლომ უარყო ამ განჩინების მე-6 პუნქტში დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით.

19. სასამართლომ, ასევე არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, მის სასარგებლოდ, გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის წლიური 6%-ის ოდენობით, მიუღებელი შემოსავლის სახით, მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, რადგან სსკ-ის 411-ე, 412-ე მუხლებზე დაყრდნობით, სს-ამ ვერ დაამტკიცა, თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შესაძლებლობა.

20. საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მერიამ (პირველი აპელანტი) მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სს-ის სარჩელის უარყოფა. სააქციო საზოგადოებამ (მეორე აპელანტი) ნაწილობრივ გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება იმგვარად, რომ მოპასუხეს დაკისრებოდა 1 012 000 (ერთი მილიონ თორმეთი ათასი) აშშ დოლარი. მოსარჩელემ მოითხოვა, ასევე, სარჩელის აღძვრის დღიდან მერიისათვის დაკისრებული თანხის წლიური თანხის 6%-ის დაკისრება მოპასუხისათვის და იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება. დივიდენდის დაკისრების ნაწილში, აპელანტს მოითხოვნა არ დაუყენებია. სააქციო საზოგადოებამ გაასაჩივრა, ასევე, საქალაქო სასამართლოს 16.01.2015ნ. საოქმო განჩინება.

21. მოპასუხემ (პირველი აპელანტი) შემდეგ სააპელაციო არგუმენტებზე მიუთითა:

21.1. დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სსკ-ის 317-ე და 976.1. „ა“ მუხლების საფუძველზე, მოპასუხისათვის დასაპარუნებელი წილების ღირებულების დაკისრების თაობაზე, რადგან სამიქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე მხარისათვის ქონების ღირებულების დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას, ასევე, აღნიშნული ვალდებულების გამომრიცხავ გარემოებას. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, კერძოდ, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხეს, როგორც მიმღებს, შეძლო ეგარაუდა, რომ შემსრულებელს (სს-ას) სურდა გადაცემა და ასეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, უკვე აღარ ენიჭება

მნიშვნელობა 976-ე მუხლის პირველი ნაწილის პირობებს, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ უზენაესი სასამართლოს 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი აქციონერთა კრების ოქმი და მოპასუხესა და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულებები. მოპასუხემ მიუთითა იმავე გარემოებებზე, რაც მის შესაგებელშია დაფიქსირებული (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი);

21.2. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არ არსებობდა უკან დაბრუნების მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხავი გარემოებები. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი, ამასთან, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის შეჯასებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებები.

22. მოსარჩევემ (მეორე აპელაციო) სააპელაციო საჩივარში შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

22.1. გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა სწორედ ის სიკეთე, რაც რეალურად მიიღო მოპასუხემ მოსარჩელის კუთვნილი ქონების რეალიზაციის შედეგად და არა ის ციფრები, რაც აუდიტორულ შეფასებებშია ასახული. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურებისა და მისი ოდენობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, პირველ რიგში, დაკავშირებულია თვით ამ ქონების თავისებურებებთან, მის ბრუნვაუნარიანობასთან და საშუალო მესაკუთრის მიერ ამ ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო მიზნებით მოხმარებასთან. ფულადი ვალდებულების დარღვევის დროს, თავად ფულის თავისებურებიდან გამომდინარე, იგი განსხვავებული უნდა იქნეს სხვა ქონებრივი ურთიერთობის ობიექტებისგან. ამ დროს მხედველობაშია მისაღები ფულის უნიკალური თვისება, რომელსაც ყოველთვის შეუძლია სარგებლის მოტანა. იმის გათვალისწინებით, რომ დავის საგანს მოპასუხისთვის სწორედ ფულადი თანხის დაკისრება წარმოადგენდა, სარჩელის აღმკრის დღიდან, გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულად გადახდამდე, სასამართლოს მოპასუხისთვის უნდა დაეკისრებინა საპანკო ანაბრის საპროცენტო განაკვეთი წლიური 6%, რადგან მერიის მიერ ფულის დაბრუნების შემთხვევაში, სს შეძლებდა სადაცო თანხიდან, მისი დეპოზიტზე განთავსებით, მინიმალური შემოსავლის მიღებას;

22.2. არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015

წლის 16 იანვრის საოქმო განჩინება, რომლითაც მოსარჩეულეს უარი ეტქვა იურიდიული დახმარებისთვის განეული ხარჯის გა- ნევის დამადასტურებელი მტკიცებულებების საქმეზე დართვა- ზე. აღნიშნული დოკუმენტი სასამართლოში წარდგენილია გა- დაწყვეტილების გამოცხადებამდე, ამასთან, ამ მტკიცებულე- ბით არ მომხდარა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა ან რაიმე სა- ხით ცვლილება, რაც არათანაბარ პირობებში ჩააყენებდა მოპა- სუხეს და დაარღვევდა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს.

23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ- მეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განჩინებით მოსარჩე- ლისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილ- და, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

24. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამარ- თლოს დასკვნები და შეფასებები საქმის ფაქტობრივ და სამარ- თლებრივ საკითხებთან დაკავშირებით (სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ მუხლი), დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემო- ები და, სსკ-ის 385-ე მუხლის და 976.1. მუხლის „გ“ ქვეპუნ- ქტის საფუძველზე, განმარტა, რომ კონდიქციური ვალდებუ- ლების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამ- დიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდან- ვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნე- ლობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ რის შედეგად დადგა უსა- ფუძლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქ- მედებს, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქ- მედების შედეგად ან განხორციელდა თუ არა იგი მათი ნების საჩინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართლურ- თიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინ- დისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციუ- რი ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მი- ერ მეორის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებო- ბის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონება იზრდება მეორის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებუ- ლებების უპირველესი ფუნქცია კრედიტორის ადრინდელ ქო-

ნებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფაა. ქონების ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში კი, უნდა ანაზღაურდეს ქონების ის ღირებულება, რაც მას რეალურად გააჩნდა.

25. სასამართლომ არ გაიზიარა მერიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახეზე იყო სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები /„უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა“/, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები და მითითებული ნორმის შესაბამისად, შეუძლებელია, მას დაეკისროს უკან დაბრუნების ვალდებულება.

26. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში შეუძლებელი იყო მითითებული ნორმის გამოყენება და განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ბათილი გარიგების შედეგები ეხება მესამე პირის ინტერესებს, ზემოთ მითითებული ნორმის გამოყენება შეუძლებელია. თუ დავა არ მოიცავს მხოლოდ დავის უშუალო მონაწილეების ინტერესებს და მხარეს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა ბათილი გარიგების საგნის მიმღებისათვის გადაცემა, უსაფუძვლო გამდიდრების საგნის უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია.

27. სასამართლომ იმსჯელა, რომ იმ მოცემულობაში, როდესაც მოსარჩელის აქციონერებმა 2008 წელს დაიწყეს დავა სასამართლოში მოპასუხისა (მერია) და მოსარჩელის (სს) წინააღმდეგ, სს-ის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობისა და მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის დადებული წილის დამობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რათა აქციონერთა ინტერესის გათვალისწინებით, მოსარჩელის წილები სხვა საზოგადოებებში, ერთ-ერთ პარტნიორს არ გადასცემოდა, მოპასუხეს არ უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ საზოგადოების სურვილი იყო, მერიისათვის წილების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

28. სასამართლომ ამ გადაწყვეტილების მე-4, მე-7 პუნქტები მითითებული გარემოებებისა და სსკ-ის 979-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო არა წილების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახდის ვალდებულება, არამედ თითოეულ საწარმოში არსებული წილის რეალური ღირებულების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

29. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სა-სამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, ზიანის ანაზღაურების სახით, მიუღებელი შემოსავ-ლის დაკისრების თაობაზე, იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, კონკრეტული ზიანის არსებობა, რაც სავარაუ-დო იყო მოპასუხისათვის და წარმოადგენდა მოპასუხის ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლომ ასე-ვე აღნიშნა, რომ ვინაიდან წილის მიღების შედეგად მოპასუხეს არ მიუღია დივიდენდები. გაუგებარი იყო, თუ რა სახით შეიძ-ლებოდა თანხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებით, სარგებ-ლის მიღება.

30. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვე-ტილებით, სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამი-სად, მართებულად და იყო განაწილებული მხარეთა შორის სარჩელ-ზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და იურიდიული მომსახურე-ბისთვის განეული ხარჯები.

31. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

32. მოპასუხებ (პირველმა კასატორმა) მოითხოვა გასაჩივ-რებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მი-ღებით, სარჩელის უარყოფა შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით:

32.1. სასამართლომ არ იმსჯელა საქმისათვის მნიშვნელო-ბის მქონე მთელ რიგ გარემოებებზე, ხოლო მოპასუხის არგუ-მენტაცია არასწორად შეაფასა, რის გამოც გასაჩივრებული გან-ჩინება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული და მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებ-რიგი შეფასება შეუძლებელია.

32.2. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 976-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, მოცემულ შემთხვევაში არსებობს სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, კერძოდ, საქმეში არსებუ-ლი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხეს, როგორც მიმღებს, შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა და ასეთი გარემოებების არსებობის შემთხვე-ვაში, უკვე მნიშვნელობა აღარ ენიჭება სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობებს, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის №ას-1194-1455-09 გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობი-ლი აქციონერთა 04.11.2005ნ. კრების ოქმი და მის საფუძველზე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 30.12.2005ნ. გაფორმებუ-

ლი ხელშეკრულებები.

32.3. მერიისათვის (მოპასუხისათვის) წილების დათმობა მოხდა თავად სააქციო საზოგადოების (მოსარჩელის) გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს იგი საზაფლოდ არ გაუხდია, პირიქით, წილის დათმობის შესაბამისი ხელშეკრულებები გააფორმა მოსარჩელესთან და პრეტენზია არ გამოუთქვამს. მერიისათვის კუთვნილი წილების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებების დადებამდე, სააქციო საზოგადოებას კანონმდებლობით მინიჭებული ჰქონდა უფლება, მიემართა სასამართლოსათვის, თუ თვლიდა, რომ სს-ის პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით ირლვეოდა მისი, როგორც სუბიექტის კანონიერი უფლება და ინტერესი, თუმცა, აღნიშნული ქმედების ნაცვლად, მოსარჩელემ მოპასუხეს კიდევ ერთხელ დაუდასტურა წილების გადაცემის მზადყოფნა და უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც თავად განსაზღვრა აღნიშნული წილების სამართლებრივი ბედი;

32.4. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ 04.11.2005წ. აქციონერთა კრების ოქმისა და მის საფუძველზე 30.12.2005წ. გაფორმებული ხელშეკრულებების გაუქმების მოთხოვნით, 2008 წელს სასამართლოს მიმართა არა სააქციო საზოგადოებამ, არამედ საწარმოს აქციონერებმა, უფრო მეტიც, აღნიშნული დავის ფარგლებში, საზოგადოება (მეორე კასატორი, მოსარჩელე) წარმოადგენდა საკუთარი აქციონერების პროცესუალურ მოწინააღმდეგ მხარეს და სამართლებრივად იზიარებდა მერიის (პირველი კასატორის, მოპასუხების) პოზიციას. პირველი კასატორის მტკიცებით, მითითებული გარემოებები ადასტურებს, რომ მერიას (მოპასუხეს) ჰქონდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სააქციო საზოგადოებას (მოსარჩელეს, მეორე კასატორს) სურდა მისთვის საკუთრებაში წილების უსასყიდლოდ გადაცემა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძვლიანობასა და მისი დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას. პირველ კასატორს მიაჩნია, რომ ამ ფაქტობრივ-სამართლებრივ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლოს ის კი არ უნდა განემარტა, რომ სააქციო საზოგადოებას ჰქონდა სასამართლოსათვის მიმართვისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, არამედ დადგენილად უნდა მიეჩნია, რომ ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე უსაფუძვლო იყო და უნდა განემარტა, თუ რატომ არ არსებობდა სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“

ქვეპუნქტის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები;

32.5. სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილზე „თუ ორმხრივი ხელ-შეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთ-ერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლის გამო, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების ვალდებულება, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლიც საფუძველზეც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი“ მითითებით, პირველი კასატორი (მერია) აღნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტი და სამართლებრივი ნორმა არ შეუფასებია არცერთი ინსტანციის სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს არ განუმარტავს სადაც ვო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად რატომ არ გამოიყენა მითითებული ნორმა;

32.6. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ სსკ-ის 383-ე მუხლის მიხედვით, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო ფულის ერთეულია ლარი, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე აღნიშნავს, რომ თუ სასამართლოს მიაჩნდა, რომ არსებობდა სააქციო საზოგადოების სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი, მაშინ, კანონმდებლობის შესაბამისად, მოპასუხისთვის თანხის გადახდა უნდა დაეკისრებინა ეროვნულ ვალუტაში, უსასყიდლოდ წილების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების დროს არსებული კურსის მიხედვით.

33. სააქციო საზოგადოებამ (მოსარჩელემ, მეორე კასატორმა) საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, სარჩელის დაუქმაყოფილებელ ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი და მოპასუხეს დაეკისრება 1 021 000 აშშ დოლარის გადახდა, სარჩელის აღძვრის დღიდან გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულ ანაზღაურებამდე, გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის წლიური 6%-ის ანაზღაურება, წარმომადგენლის იურიდიულ მომსახურებაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი – 14 610 ლარის, ხოლო სააპელაციო სასამართლოში გადახდილი – 115 200 აშშ დოლა-

რისა და 7 734.90 ლარის დაკისრება, ასევე საქმის წარმოებაზე სამივე ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, სულ 20 000 ლარის (5000+7000+8000) ანაზღაურება მოპასუხის მიერ. მოსარჩელემ შემდეგ საკასაციო არგუმენტებზე მიუთითა:

33.1. გასაჩივრებულ ნაწილში განჩინება არასაკმარისადაა დასაბუთებული, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა სამართლის ცალკეული ნორმა, რაც განჩინების ნაწილობრივ გაუქმების საფუძველია. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 979-ე, 411-ე, 412-ე მუხლები, აგრეთვე, სსკ-ის 47-ე მუხლი. ერთი მხრივ, განავითარა მსჯელობა, რომ სსკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან სხვა ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით, ხოლო, მეორე მხრივ, არ გაითვალისწინა ის რეალობა, რომ მოპასუხებ სამ სხვადასხვა სანარმოში არსებული წილის განკარგვის (გაყიდვის) შედეგად, საერთო ჯამში, მიიღო 6 351 000 აშშ დოლარი, რაშიც გამოიხატა კიდეც მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრება;

33.2. კონდიციური ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს, რომ პირი, რომელმაც ქონება უსაფუძვლოდ მიიღო, მოვალეა დააბრუნოს ან აანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, თუ რა სიკეთე, სარგებელი მიიღო ქონების უსაფუძვლოდ მიმღებმა პირმა უსაფუძვლოდ მიღებული სიკეთის განკარგვის გზით და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც ურთიერთობის საბოლოო შედეგის მიხედვით უნდა გადაწყდეს;

33.3. საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი სს-ის აქციონერთა კრების 04.11.2005წ. ოქმი და მის საფუძველზე 30.12.2005წ. გაფორმებული წილების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებები. ასევე დადასტურებულია ის გარემოება, რომ მოპასუხებ მიღებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხა, სულ 6 351 000 აშშ დოლარი, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ;

33.4. სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნის დაქმაყოფილებისას მხედველობაში უნდა მიეღო სწორედ ის სიკეთე, რაც რეალურად იქნა მიღებული მოსარჩელის კუთვნილი ქონების (წი-

ლების) უსაფუძვლოდ მიმღები პირის მიერ და არა ის ციფრები, რაც ფიგურირებს საქმეში არსებულ აუდიტორულ შეფასებებში, რადგანაც მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრება გამოიხატა სწორედ იმ სიკეთის მიღებაში, რაც მან რეალურად მიიღო წილების ნასყიდობის შედეგად. ჯამური მოცულობით ამ სიკეთები 6 351 000 აშშ დოლარი შეადგინა;

33.5. სასამართლომ ასევე არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლებს, როდესაც მიუთითა, რომ თითქოსდა მოსარჩელემ ვერ დასაბუთა თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შესაძლებლობა. ამასთან აღნიშნა, რომ ვინაიდან წილის მიღების შედეგად მოპასუხეს არ მიულია დივიდენდები, გაუგებარია, თუ რა სახით შეიძლებოდა თანხის საბანკო ანგარიშზე განთავსების გზით სარგებლის მიღება;

33.6. დივიდენდის მიუთვნების ნაწილში მოსარჩელეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღარ გაუსაჩინორებია, შესაბამისად, დივიდენდის მიუთვნება არ წარმოადგენდა დავის საგანს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, მიიღო თუ არა მოპასუხემ დივიდენდი წილის ფლობიდან გამომდინარე, აღნიშნულს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მოსარჩელის იმ მოთხოვნის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას, რომლითაც სააქციო საზოგადოება ითხოვდა და ითხოვს, რომ მოპასუხეს, მის სასარგებლოდ, გადახდეს სარჩელის აღძვრის დღიდან გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდამდე, საბანკო ანაბრის საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 6%-ის მოცულობით, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნა, თავისი არსით, არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, იმ მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა, რომელსაც საწარმო მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების პირობებში, თუკი მოპასუხე დავალიანების თანხას დროულად გადაუხდიდა მოსარჩელეს და შეესაბამება სსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლების მოთხოვნებს;

33.7. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ზიანის ანაზღაურებისა და მისი ოდენობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, პირველ რიგში, დაკავშირებულია თვით ამ ქონების თავისებურებებთან, მის ბრუნვაუნარიზობასთან და „საშუალო“ მესაკუთრის მიერ ამ ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო მიზნებით მოხმარებასთან, ანუ ამ ქონების თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს „საშუალო“ მესაკუთრის მიერ, მეურნეობის სათანადო გაძლიერებით, სარგებლის მოტანა. „საშუალო“ მესაკუთრეში ივარაუდება მესაკუთრე, რომელსაც

შეუძლია აღნიშნული ქონებიდან მიიღოს სარგებელი თავისი პირადი და განსაკუთრებული თვისებების გარეშე, სარგებელი, რომლის მიღება შესაძლებელია ხსნებული ქონების ჩვეულებრივი მოხმარების შედეგად. ფულადი ვალდებულების დარღვევის დროს, თავად ფულის – ქონების თავისებურებებიდან გამომდინარე, იგი უნდა განვასხვავოთ სხვა ქონებრივი ურთიერთობის ობიექტებისაგან. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფულის უნიკალური თვისება, ფული, როგორც საყოველთაო ექვივალენტი, შეიძლება გაიცვალოს ქონებრივი ურთიერთობის ნებისმიერ ობიექტზე. ამ თვისებიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ ფულად სახსრებს ყოველთვის შეუძლიათ სარგებლის მოტანა;

33.8. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად გადაანანილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთიც: როდესაც საკითხი შეეხება იმგვარი ქონების მიღებას, როგორიცაა ფული, ვალდებულების დამრღვევმა უნდა დაადასტუროს სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, რომ ქონება (ფული) „დაზარალებულს“ არანაირ სარგებელს არ მოუტანდა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-597-565-2014), რაც მოპასუხეს არ დაუდასტურებია საქმის განხილვისას;

33.9. სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მოსარჩელემ გაასაჩივრა სასამართლოს 16.01.2015წ. საოქმო განჩინება, სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებების დართვაზე უარის თქმის შესახებ და მოითხოვა მისი გაუქმება. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა საოქმო განჩინების გასაჩივრების ნანილში წაყენებულ მოთხოვნაზე და მხოლოდ შემაჯამებელი განჩინების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განაცხადა უარი მტკიცებულებების საქმეზე დართვაზე, რაც ასევე უკანონო გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად უთხრა უარი მოსარჩელეს, მისი წარმომადგენლის იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯის დამადასტურებელი მასალების მტკიცებულების სახით დართვაზე, აღნიშნული მასალები სასამართლოს წარედგინა გადაწყვეტილების გამოცხადებამდე. მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდებოდა, რომ მოსარჩელემ წარმომადგენელს იურიდიული დახმარებისათვის გადაუხადა 14 610 ლარი. თავის მხრივ, სასამართლომ სსკ-ის 47-ე მუხლზე დაყრდნობით, მოპასუხეს დააკისრა წარმომადგენლის იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯიდან მხოლოდ 2 000 ლარი (მიუთითა, რომ არაქონებრივი

დავის შემთხვევაში, მოპასუხეს სასამართლო დააკისრებს წარმომადგენლისათვის განეულ ხარჯს 2 000 ლარამდე ოდენობით) და ეს იმგვარ ვითარებაში, როდესაც სასამართლომ საერთოდ უარი განაცხადა 2014 წლის 29 დეკემბერს წარდგენილი, წარმომადგენლისათვის გადახდილი თანხის დამადასტურებელი მტკიცებულებების საქმეზე დართვაზე. ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორს, რადგან თუკი სასამართლომ, არ დაურთო საქმეს წარდგენილი მტკიცებულება, მაშინ მას საერთოდ არ ჰქონდა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრების საფუძველი, თუნდაც 2 000 ლარის ფარგლებში. კასატორი იმაზეც უთითებს, რომ განსახილველი დავა, რა თქმა უნდა არ არის არაქონებრივი დავა, შესაბამისად გაუგებარია, თუ რა საფუძვლით იხელმძღვანელა სასამართლომ მოპასუხისათვის 2 000 ლარის დაკისრებისას. თუ სასამართლომ გადაწყვიტა მოპასუხისათვის მოსარჩელის წარმომადგენლის იურიდიული მომსახურების ხარჯის დაკისრება, მაშინ ეს სრულად უნდა მომხდარიყო, რადგან 14 610 ლარი, სრულად თავსდება დავის საგნის ლირებულების 4%-ის ფარგლებში; კასატორის მტკიცებით, მოსარჩელის წარმომადგენლის იურიდიულ მომსახურებაზე განეული ხარჯის დამადასტურებელი მასალების წარდგენით არ მომხდარა სასარჩელო მოთხოვნის რაიმე სახის ცვლილება, მოთხოვნა საპროცესო ხასიათის იყო და არ ცვლიდა დავის არსა ან/და სარჩელის მოცულობას;

33.10. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ამ ინსტანციის სასამართლოში აპელანტის მიერ წარმომადგენლის იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილი ხარჯების – 115 200 აშშ დოლარისა და 7 734.90 ლარის – მონინააღმდეგისათვის დაკისრების თაობაზე, შესაბამისი მტკიცებულებები წარდგენილი იქნა სააპელაციო შესაგებელთან ერთად;

33.11. კასატორი მოითხოვს, რომ საკასაციო საჩივარზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დროს, სასამართლომ იმსჯელოს მოსარჩელის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის გაღებულ ხარჯებზე და მოპასუხეს დაკისროს 14 610 ლარი, ასევე საქმის სააპელაციო ეტაპზე წარმოებისას, წარმომადგენლისათვის გადახდილი 115 200 აშშ დოლარი და 7 734.90 ლარი.

34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 17 ივნისს განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის მასალების შესწავლის, მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის შედეგად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით გაანალიზებით, მიიღო გადაწყვეტილება პირველი კასატორის (მოპასუხის) მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მეორე კასატორის (მოსარჩელის) საკასაციო საჩივრის უარყოფის თაობაზე, შემდეგი არგუმენტაციით:

35. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონტებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მერიის საკასაციო პრეტენზია დასაბუთებულია, ხოლო სააქციო საზოგადოებას არ წარმოუდგენია კვალიფიციური საკასაციო საჩივარი.

36. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სადაც სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც ეხება სააქციო საზოგადოების, რომლის 50,1% ნილის მფლობელი იყო მერია (პირველი კასატორი), აქციონერთა სამეთვალყურეო საბჭოს 2005 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც გადაწყდა სამ სხვა სანარმოში საზოგადოების კუთვნილი წილების გასხვისება, რაც განხორციელდა კიდევ იმავე წლის 4 ნოემბრის კრებაზე (იხ. ამ გადაწყვეტილების 1-3 პუნქტები).

37. საქმის მასალებშია საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დგინდება:

37.1. მინორიტარმა ანუ მციურე აქციონერებმა სარჩელი აღდრეს ორი მოპასუხის – სააქციო საზოგადოებისა და მერიის წინააღმდეგ (რომლებიც ამჟამად განსახილველ დავაში პროცესუალური მოწინააღმდეგები არიან; იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) იმ საფუძვლით, რომ სააქციო საზოგადოებამ 2005 წლის 4 ნოემბერს გამართულ საერთო კრებაზე, 51,9% წი-

ლის მქონე პარტნიორების მეშვეობით, მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების სამ სხვა საწარმოში კუთვნილი წილების გასხვისების შესახებ, ხოლო აღნიშნულ კრებაზე არ მონაწილეობდნენ მოსარჩელეები (ე.წ. მცირე აქციონერები);

37.2. იმავე დავაში მოპასუხეთაგან მეორეს – მერიას არ ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო ზემოხსენებულ საერთო კრებაში, რადგან საკითხი მასთან ხელშეკრულებების დადებას ეხებოდა;

38. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.11.2012 წ. გადაწყვეტილებით დგინდება, რომ არც პირველი და არც მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს ე.წ. მცირე აქციონერთა სარჩელი იმ დასაბუთებით, რომ სადაც კრების ოქმით, რომელიც 2005 წლის 4 ნოემბერს შედგა, დასტურდებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის – საზოგადოების ქონების გასხვისების თაობაზე – განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას, კრებაზე მონაწილეობდა მერია (ამჟამად განსახილველი დავის პირველი კასატორი, მოპასუხე), როგორც 50,1%-ის მფლობელი აქციონერი და სს „ბანკი რ-ა“, როგორც 1,8%-ის მფლობელი აქციონერი. საერთო ჯამში, ხმის უფლების კაპიტალის 51,9% აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება.

39. საკასაციო სასამართლოს 14.11.2012 წ. გადაწყვეტილებაში ასახულია რომ სადაც იყმში არ იყო მითითებული, რომ დამსწრეთაგან რომელიმე აქციონერი წინააღმდეგი იყო, ან თავი შეიკავა გადაწყვეტილების მიღებისაგან. საპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელეები, რომელიც 15,3%-ის მფლობელი, უმცირესობაში მყოფი აქციონერები იყვნენ, იმ შემთხვევაშიც ვერ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, თუნდაც მერიას (მაჟორიტარ აქციონერს) არ მიეღო კრებაში მონაწილეობა. ამ გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მინორიტარ აქციონერებს არ გააჩნდათ საერთო კრების სადაც იქმისა და მის საფუძველზე განხორციელებული წილების დათმობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მიმართ იურიდიული ინტერესი. სააპელაციო სასამართლომ იმაზეც იმსჯელა, რომ მოპასუხე სააქციო საზოგადოების უმცირესობაში მყოფი აქციონერები მოითხოვდნენ 2005 წლის 30 დეკემბრის იმ ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, რომლითაც სამ სხვადასხვა შპს-ში გასხვისდა სს-ის კუთვნილი წილები, ანუ აღნიშნული ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, უკავშირდებოდა დამოუკიდებელი სუბიექტის – სააქციო სა-

ზოგადოების ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. სააპელაციო სასამართლომ, ამ კონტექსტში, მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სადავო გარიგებების დადებით ზიანი მიადგა სააქციო საზოგადოებას, ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლებამოსილება გააჩნდა თავად სააქციო საზოგადოებას. როგორც 14.11.2012წ. გადაწყვეტილებაშია მითითებული, მინორიტარ აქციონერთა სარჩელში, მერიასთან ერთად, მოპასუხედ დასახელებული სააქციო საზოგადოება კი, „არათუ სადავოდ ხდიდა ხელშეკრულებებს, არამედ იგი, როგორც მოპასუხე უარყოფდა აქციონერთა მიერ აღძრულ სარჩელს.“

40. საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ 14.11.2012წ. გადაწყვეტილებაში ასახულია სააპელაციო სამართლნარმოების ეტაპზე, სასამართლოს მსჯელობა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შესაძლებლობაზე, სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ, აქციონერმა აღძრას სარჩელი დასახელებული ნორმის წინაპირობების არსებობისას, რაც თავისი არსით, დერივატიული სარჩელის უფლებას გულისხმობს, თუმცა, როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს, მოცემულ შემთხვევაში არ იყო დაცული კანონით დადგენილი პირობება.

41. საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით დაქმაყოფილდა სააქციო საზოგადოების 15,3%-ის მფლობელი წილის აქციონერთა (მოსარჩელების) საკასაციო საჩივარი, რომელიც აღძრული იყო ამჟამად განსახილველი დავის პირველი (მერია) და მეორე (სააქციო საზოგადოებს) კასატორის წინააღმდეგ და ბათილად იქნა (ცნობილი სს-ის 2005 წლის 4 ნოემბრის აქციონერთა კრების ოქმი და მის საფუძველზე იმავე წლის 30 დეკემბრს, სს-სა და მერიას შორის პირველ, მეორე და მესამე საწარმოში სააქციო საზოგადოების კუთვნილი წილების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები (იხ. ამ გადაწყვეტილების 2-5 პუნქტები). შითითებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააქციო საზოგადოების კრების ოქმის დღის წესრიგის მეორე საკითხი შეეხებოდა მერიასთან დასადებ გარიგებას, კერძოდ, ამ უკანასკნელისათვის სამი სხვა საწარმოს (იხ. მე-2 პუნქტი) საწესდებო კაპიტალში სააქციო საზოგადოების კუთვნილი წილების უსასყიდლოდ გადაცემასა და შესაბამისი თანხმობის გაცემას. ამ გარემოების გათვალისწინებით, მერია არ იყო უფლებამოსილი, კენჭისყრაში მიეღო მონაწილეობა.

42. სადავო არაა, რომ საკასაციო სასამართლოს ზემოხსენე-

ბული გადაწყვეტილებით 15,3% წილის მფლობელი, უმცირესობაში მყოფ აქციონერთა, როგორც მოსარჩელეთა, პროცესუალური მოწინააღმდეგები, ანუ მოპასუხეები იყვნენ მოცემული დავის მხარეები – პირველი და მეორე კასატორები, რომლებიც ამ შემთხვევაში ერთმანეთის წინააღმდეგ ასაჩივრებენ სააპელაციო სასამართლოს განჩინებას და განსახილველ დაგაში მოსარჩელე არის მეორე კასატორი, ხოლო მოპასუხე – პირველი კასატორი.

43. საკასაციო სასამართლოს 14.11.2012წ. გადაწყვეტილებაში (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-5 და 37-ე პუნქტები), სადაც დღევანდელი დავის პროცესუალური მოწინააღმდეგები მოპასუხეები იყვნენ და იმხანად ერთიანი პაზიცია ჰქონდათ მათ წინააღმდეგ სააქციო საზოგადოების (მეორე კასატორის) 15,3%-იანი წილის მფლობელი აქციონერების მიერ აღძრულ სარჩელზე, თავს სწორედ იმით იცავდნენ, რომ დაუსაბუთებელი იყო ე.წ. მიხორიტარ აქციონერთა (მოსარჩელეთა) მოთხოვნა სააქციო საზოგადოების 2005 წლის 4 ნოემბრის კრების ოქმისა და მერიასა და სააქციო საზოგადოებას შორის წილების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობაზე (იხ. ამ გადაწყვეტილების 2-3 პუნქტები და 39-ე პუნქტის ბოლო წინადადება).

44. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად წილის მფლობელი არის მეორე კასატორი, ხოლო მოპასუხე – პირველი კასატორი.

ტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ასევე სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლ განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩევლო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადაც გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (სსკ-ის 106-ე მუხლის განმარტების თაობაზე იხ. სასამართლო პრაქტიკა: სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015 წ.) – იხ. სუსგ №ას-58-56-2016, 26.02.2016წ.

45. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უხდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს. „გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადაც მიის სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი“ (სუსგ №ას-710-2011-09, 07.09.2009წ.). ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილების დავის საგანი იყო სს-ის ე.წ. მცირე აქციონერთა მოთხოვნა სს-ის 2005 წლის 4 ნოემბრის კრების ოქმისა და მის საფუძველზე იმავე წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა. სადაც კრების ოქმით დასტურდებოდა, რომ საზოგადოების ქონების გასხვისების თაობაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა-

სა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ 50,1%-ის მფლობელი აქციონერი – მერია და 1,8%-ის მფლობელი აქციონერი. სარჩელის დაკმაყოფილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მერიას, როგორც მაჟორიტარ აქციონერს, ინტერესთა კონფლიქტის მოტივით, არ ჰქონდა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, რადგან მასთან დასადებ გარიგებას ეხებოდა საკითხი (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-5, 37-ე-41-ე პუნქტები). მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ის ფაქტია პრეიუდიციული ძალის მატარებელი, რომ სს, რომელიც შერიასთან ერთად, მოპასუხე იყო მინორიტარ აქციონერთა მიერ ინიცირებულ დავაში, საკუთარ პოზიციას სამართლებრივად იცავდა და სადაცოდ არ ხდიდა 2005 წლის 4 ნოემბრის კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას სამ სხვა სანარმოში კუთვნილი წილების გასხვისების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებს. განსახილველი დავის მეორე კასატორი (მოსარჩელე), პირველ კასატორთან (მოპასუხე) ერთად, პროცესუალურად მოსარჩელის მოპასუხის სტატუსით მონაწილეობდა და ამჟამად, როდესაც საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილება არ არის გაუქმებული, ამ გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ შეფასებას, რომელიც სარეზოლუციო წანილში აისახა – სადაცო კრების ოქმისა და გარიგებების ბათილად ცნობის სახით, მოსარჩელე საკუთარი მოთხოვნის ფაქტობრივ წინაპირობად წარმოაჩენს (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი). „ფაქტების პრეიიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება) – იხ. სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015წ.

46. საკასაციო სასამართლოს მიერ ამჟამად განსახილველ დავაში სარჩელის ფაქტობრივი წინაპირობაა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სს-ის (მეორე კასატორის) მიერ საკუთარი 50,1%-იანი პარტნიორის (მერიის, პირველი კასატორის) წინააღმდეგ აღძრული სარჩელი. საქციო საზოგადოება საკუთარ სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებს ამ გადაწყვეტილების მე-5 და 37-ე პუნქტებში მითითებულ, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესუ-

ლი გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებზე, რაც დაუსაბუთებელია, საკასაციო სასამართლოს 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით დასრულებულ და ამჟამად განსახილებელ დავაში, მისი პროცესუალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსარჩელის მოთხოვნა ვერ დაეფუძნება საკასაციო სასამართლოს 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან აღნიშნული ფაქტები უკვე განხილული დავის პირველ და მეორე მოპასუხებს უკავშირდება, ანუ მოსარჩელის წინააღმდეგ ადრე თანაბარ პროცესუალურ პოზიციაში მყოფ მხარეებს. შესაბამისად, ყოფილი მოპასუხეების წინააღმდეგ გადაწყვეტილ დავაში, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე (სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილი), დადგენილი ფაქტები და გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი ვერ გახდება მოპასუხეთაგან ერთ-ერთისათვის, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სტატუსით მოდავე მხარის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლი მოპასუხის (ყოფილი მაჟორიტარი აქციონერის) წინააღმდეგ, ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოცემული დავის მოსარჩელე (მეორე კასატორი), რომელიც ადრე განხილული დავის მოპასუხე იყო, მერიასთან (პირველ კასატორთან) ერთად, „არათუ სადაცოდ ხდიდა ხელშეკრულებებს, არამედ იგი, როგორც მოპასუხე უარყოფდა აქციონერთა მიერ აღძრულ სარჩელს“ (იხ. ამ გადაწყვეტილების 39-ე პუნქტის ბოლო წინადადება).

47. უსაფუძვლო გარიგების მომწერიგებელი ნორმების გამოყენებისას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11-16 და 24-28 პუნქტები), სამართლებრივად მნიშვნელოვანია მოთხოვნის მარტივი ელემენტების შემოწმება: 1. მოპასუხის გამდიდრება; 2. გამდიდრების შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი და 3. მატერიალურ სიკეთეთა/აქტივების ასეთი გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა. დასახელებულთაგან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მესამე ელემენტის შეფასებას, ანუ რა წინაპირობების არსებობისას ვერ იქნება გამართლებული მატერიალურ სიკეთეთა/აქტივების ადგილმონაცვლეობა.

48. განსახილველ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებამ (მეორე კასატორი) სასარჩელო მოთხოვნა (იხ. მე-8 პუნქტი) იმას დააფუძნა, რომ საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი სს-სა და მერიას შორის 30.12.2005წ. დადებული ხელშეკრულებები (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები),

ხოლო შესრულების მიმღები (მერია) იმიტომ არის უსაფუძვლოდ გამდიდრებული (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი), რომ სახელშეკრულებო ვალდებულება არ არსებობდა. მოსარჩელის მტკიცებით, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ არსებობს ნამდვილი ხელშეკრულებები, მას წარმოეშვა უფლება, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით დააყენოს მოთხოვნა მოპასუხის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სსკ-ის 266-ე მუხლი), სააქციო საზოგადოებასთან ერთად, მოპასუხე იყო მინორიტა ინიციატივით დაწყებულ და 2012 წელს დასრულებულ დავაში. იმის გამო, რომ მერიამ გაასხვისა სამი საწარმოს წილი (იხ. მე-4 პუნქტი), სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მოსარჩელემ მოითხოვა გაბათილებული ხელშეკრულებების საფუძვლზე, მოპასუხის მიერ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის დაბრუნება. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. ამ გადაწყვეტილების 24-28 პუნქტები), რომ რადგან სს-ის მინორიტარმა აქციონერებმა 2008 წელს დაიწყეს დავა მოცემული დავის სუბიექტების – სს-ისა და მერიის, როგორც მოპასუხების წინაღმდეგ, საზოგადოების პარტნიორთა კრების ოქმისა და სს-სა და მერიის შორის დადებული წილთა დათმობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რათა ე.ნ. მცირე აქციონერთა ინტერესის გათვალისწინებით, სს-ის წილები სხვა საზოგადოებში, ერთ-ერთ პარტნიორს არ გადასცემოდა, მერიას (მოპასუხეს) არ უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ საზოგადოების სურვილი იყო, მერიისათვის წილების საკუთრებაში უსასყიდლოდ დაბრუნება.

49. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოტანილი დასკვნის (იხ. 37.2 ქვეპუნქტი) გათვალისწინებით, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მერიას, როგორც იმსანად სს-ის 50,1%-ის მფლობელ მაჟორიტარ აქციონერს, სამი სხვა საწარმოს საწესდებო კაპიტალში (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტები) სს-ის კუთვნილ წილზე იურიდიულად ჰქონდა უფლება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 14.11.2012წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი იურიდიული შედეგის სააქციო საზოგადოების ფაქტობრივ წინაპირობად გამოყენება მერიის წინააღმდეგ, რომელიც დასახელებულ დავაში მოსარჩელესთან ერთად მოპასუხის პროცესუალური სტატუსით მო-

ნაწილეობდა, თითქოსდა მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრების გამო, გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნით, დაუსაბუთებელია პროცესუალურ-სამართლებრივი მოტივაციისა და აქედან გამომდინარე მატერიალური საფუძვლის გათვალისწინებით.

49. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩინა მოსარჩელის საკასაციო განაცხადში მითითებული საფუძვლები, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარს (იხ. 32.3-32.4 ქვეპუნქტები) აკმაყოფილებს და აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, უარყოფილია სააქციო საზოგადოების საჩივარი.

50. პირველი კასატორი (მოპასუხე) გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო მეორე კასატორს (მოსარჩელეს) გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მესამე პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
4. სს „თ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. სს „თ-ის“ (ს/კ 2..) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის გადახდა;
6. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. სარჩელის უზრუნველყოფა

### გაცდებაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

#### განვითარება

№ას-926-891-2016

20 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების  
გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა კოლეგიის 2015 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყო-  
ფილდა დ. ქ-ის (შემდეგში: მოსარჩელე) მოთხოვნა ნ. კ-ის (შემ-  
დეგში: მოპასუხე/ან მშენებელი, თავდაპირველი მესაკუთრე,  
საჩივრის ავტორი) მიმართ და ამ უკანასკნელს დაევალა ქ. თბი-  
ლისში, ...-ის ქ.№38/№36-ში (საკადასტრო კოდი №...) მდებარე  
სახლის დარჩენილი კედლისა და საძირკვლის დემონტაჟის არა  
მეტანიკური, არამედ ხელით შესრულება და ასაშენებელი სახ-  
ლის ქვაბულის ამოღებამდე ქ. თბილისში, ლ-ის ქ.№...-ში მდება-  
რე სახლის (საკადასტრო კოდი ...) იმ კედლისა და ფუნდამენ-  
ტის გამაგრება, რომელიც ასაშენებელი სახლის საძირკვლებს  
ებჯინებოდა შპს „ვ-ის“ 2014 წლის 23 ოქტომბრის დასკვნისა  
და შპს „ლ-ოს“ მიერ შედგენილი პროექტის შესაბამისად;

2. გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოქმედების შესასრუ-  
ლებლად მოპასუხეს დაუდგინდა ვადა და განემარტა, რომ თუ-  
კი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვა-  
დაში არ ჩაატარებდა ქ. თბილისში, ლ-ის ქ.№...-ში მდებარე, მო-  
სარჩელის საკუთრებაში არსებული სახლის კედლისა და ფუნ-  
დამენტის გასამაგრებელ სამუშაოებს, შპს „ვ-ის“ 2014 წლის 23  
ოქტომბრის დასკვნისა და შპს „ლ-ოს“ მიერ შედგენილი პროექ-  
ტის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, ეს მოქმედე-  
ბა შეესრულებითა მოპასუხისგან აუცილებელი ხარჯების ანაზ-  
ღაურებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის,  
შემდეგში სსსკ-ის, 254-ე მუხლის პირველი ნაწილი).

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

4. სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების განცხადებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოპასუხისათვის ქ. თბილისში, ვ-ის №...-ში მდებარე სახლთან დაწყებული მშენებლობის აკრძალვა და მის მიერ მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრება სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი წესის საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებით (სსსკ-ის 191-ე, 194-ე მუხლები).

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს აეკრძალა ქ. თბილისში, ვ-ის №...-ში მდებარე სახლთან დაწყებული მშენებლობა და მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრება სასამართლო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებით.

6. სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაზე მოპასუხის წარმომადგენელმა საჩივარი წარადგინა, რა დროსაც მოითხოვა განჩინების გაუქმება ან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მისი მარნებლისათვის მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა მოსარჩელის მხრიდან 500 000 ლარის დეპონირებით (სსსკ-ის 195-ე და 199.1 მუხლები).

7. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მშენებლობის შეჩერებით, ზოგადად, დავის გადაწყვეტამდე მოწინააღმდეგე მხარესაც ზიანი ადგებოდა, რის გამოც გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების გათვალისწინებით იყო მიღებული. მისი მოსაზრებით, გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლო სსსკ-ის 199-ე მუხლის დანაწესთან დაკავშირებით არაფერს განმარტავდა. საქმეზე წარდგენილი არაერთი დოკუმენტით იკვეთებოდა, რომ მშენებლობის შეჩერება უდავოდ ზიანის მომტანი იქნებოდა და მოწინააღმდეგე გე მხარის ინტერესებს შელახავდა. ამ გარემოებაზე დაყრდნობით საჩივრის ავტორმა დაუსაბუთებლად მიიჩნია გასაჩივრებული განჩინება. ამ უკანასკნელმა ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ განცხადების წარდგენის დროისათვის ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შეცვლილი იყო. ახალ შემძენს მშენებლობის ნებართვა მიღებული ჰქონდა და სადავო სა-

მუშაოები უკვე ჩატარებული იყო.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე მოპასუხის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა შპს „დ-ო“ (შემდეგში უფლებამონაცვლე, ან მესაკუთრე). აღნიშნულიდან გამომდინარე, საალსრულებო ფურცელში მოვალედ მიეთითა მოპასუხის უფლებამონაცვლე (სსსკ-ის 92-ე მუხლი).

9. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოიგზავნა (სსსკ-ს 197<sup>1</sup> მუხლი).

10. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე წარდგენილი განცხადება საჭიროებდა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას, რომელიც სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაში დაარწმუნებდა.

11. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები და-საბუთებული ვარაუდის საფუძველს ქმნიდა, რომ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გადაწყვეტილების აღსრულებას გააძნელებდა ან მის აღსრულებას შეუძლებელს გახდიდა, ან ისეთ ზიანს გამოიწვევდა, რომელიც მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით კომპენსირებული ვერ იქნებოდა.

12. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს და განმარტა („თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხების შეიძლება ზარალი მიადგეს, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე“), რომ სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ზიანის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობის შემთხვევაში, ზიანი მოპასუხის მტკიცების საგანმი შემავალი გარემოება ხდება, მან უნდა ამტკიცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისი უფლებები დაუშვებლად ილახება და ზიანი ადგება ან მისთვის ზიანის მიყენება გარდაუვალია. სააპელა-

ციონ სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხისთვის ზიანის მიყენების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეზე არ წარდგენილა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია საჩივრის ავტორის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, მისი მარნმუნებლისათვის მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელის მხრიდან 500 000 ლარის დეპონირების შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. მოცემულ შემთხვევაში, უფლებამონაცვლე სადაცვოდ ხდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივნისის განჩინების კანონიერებას, რომლითაც მიწის ნაკვეთის თავდაპირველ მესაკუთრეს აეკრძალა ქ. თბილისში, ვ-ის ქ.№...-ში მდებარე სახლთან დაწყებული მშენებლობა და მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრება სასამართლო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებით.

15. წარმოდგენილი საჩივრით მოპასუხე დასახელებული განჩინების გაუქმების მოთხოვნას ორ მთავარ არგუმენტზე დაყრდნობით ასაბუთებს:

15.1. მოპასუხე მოსარჩელის მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ წარმოადგენს; საჩივრის ავტორს, როგორც აღნიშნული ნაკვეთის ამჟამინდელ მესაკუთრეს, მშენებლობის ახალი ნებართვა აქვს, ხოლო სადაცვო სამუშაოები კი – უკვე შესრულებული.

15.2. საქმეზე წარდგენილი არაერთი დოკუმენტი ადასტურებდა, რომ მშენებლობის შეჩერება მოპასუხისთვის უდაცვოდ ზიანის მომტანი იქნებოდა და ამ უკანასკნელის ინტერესებს შელახავდა. აქედან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მოსარჩელისთვის უნდა მოეთხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა.

16. საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი ისაა, რომ მან პირის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებე-

ბისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები უნდა შექმნას. მართალია, სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით და მოითხოვოს, რომ მოპასუხეს დაუზესდეს გარევეული სახის შეზღუდვები დავის საგნის [მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით] განკარგვასთან მიმართებით, მაგრამ მან სათანადოდ უნდა დაასაბუთოს ასეთი შეზღუდვის აუცილებლობა. წარმოდგენილი/ან მომავალში მის მიერ წარმოსადგენი სარჩელის შინაარსი შალალი ალბათობით უნდა იძლეოდეს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნას გააჩნია პერსპექტივა და მასში მითითებული ფაქტობრივი წინაპირობების განხორციელების [შესრულების] შემთხვევაში, სწორედ ის სამართლებრივი შედეგი დადგება, რისი ინტერესიც გააჩნია მოსარჩელეს, ანუ მხარის მოთხოვნა შეიძლება, დაკმაყოფილდეს („სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე სსსკ-ის 191(1)-ე მუხლის ბოლო ორი წინადადება“) (იხ. სუსგ №ას-759-718-2015 28 ივნისი 2015 წელი).

17. განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნების (იხ. წინამდებარე განჩინების 1.2 პუნქტები) მატერიალურსამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 176-ე მუხლი.

18. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის იმ ღონისძიების მიზანშეწონილობის საკითხის გასარკვევად, რომელიც შეეხება მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრებას, უნდა დადგინდეს, რეალურად უფლებამონაცვლემ მართლაც შეასრულა თუ არა აღნიშნული მოქმედება, როგორც ამაზე თავად მიუთითებს. დადებით შემთხვევაში, ყოველგვარი აზრი ეკარგება სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიების არსებობას, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებით უფლებამონაცვლისათვის მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგრების აკრძალვა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, საპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საჩივრის ავტორის მიერ საქმეზე წარმოდგენილი დასკვნა ქ. თბილისში, ი-ის ქ. №...-ში მშენებარე 6-სართულიანი საცხოვრებელი სახლის ხელოვნური საძირკვლის სიმკრივის განსაზღვრის შესახებ; ამ დასკვნით ირკვევა, რომ დასკვნის შემდგენმა გეოლოგმა, 2016 წლის 30-31 ივნისს, ქ. თბილისში, ი-ის

(ყოფილი ...-ის) ქუჩის №...-ში საცხოვრებელი სახლის ასაგებად გამიზნულ ქვაბულში განსაზღვრა ხელოვნურად მომზადებული საფუძვლის სიმკვრივე და მიღებული შედეგის საფუძველზე და-ასკვნა, რომ გამოკვლეული საფუძვლის მოწყობის სამუშაოები შესრულებულია ხარისხიანად. გარდა ამისა, საყურადღებოა საქ-მები არსებული სამუშაოების აქტი, სადაც მითითებულია, რომ ქ. თბილისში, ვ-ის ქ.№...-ში არსებული ობიექტის სამეზობლო მიჯ-ნებზე „შპუნტური“ კედლები აშენდა არსებული პროექტის, სამ-შენებლო ნორმებისა და ტექნოლოგიური პირობების სრული დაც-ვით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დაადგინოს: მოპასუხებ მოსარჩელის სახლის საძირკველი ნამდვილად გაამაგრა თუ არა; დადებით შემთხვევაში, მის მიერ ჩატარებული სამუშაო ხომ არ ეწინააღმდეგება მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასა-მართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ მეთოდებს. იმ შემთხვე-ვაში, თუკი მოპასუხეს მოსარჩელის სახლის საძირკვლის გამაგ-რების სამუშაოები სათანადო წესით აქტის ჩატარებული, სააპე-ლაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს, სარჩელის უზრუნ-ველყოფის მითითებული ღონისძიების გამოყენების მიზანშემო-ნილობის საკითხი.

19. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ, საჩივრის ხე-ლახლა განხილვისას, უნდა შეაფასოს, თუ რამდენად შეუშლის ხელს განსახილველ საქმეზე მომავალში მისაღები გადაწყვე-ტილების აღსრულებას მოთხოვნილი უზრუნველყოფის საჭა-ლების – ქ. თბილისში, ვ-ის ქ.№...-ში მდებარე სახლთან დაწყე-ბული მშენებლობის აკრძალვის გამოუყენებლობა.

20. იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო სასამართლო მიიჩ-ნებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, კერძიდ, ქ. თბილისში, ვ-ის ქ.№...-ში მდებარე სახლთან დაწყებული მშე-ნებლობის აკრძალვის გამოუყენებლობამ, შეიძლება, სარჩელ-ზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებას ხელი შეუშალოს, მან უნდა იმსჯელოს მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამოწვეული ზა-რალის ანაზღაურების (უზრუნველყოფის გარანტიის) გამოყე-ნების აუცილებლობაზე („თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარ-ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუ-ხეს შეიძლება ზარალი მიადგეს, მას შეუძლია გამოიყენოს სარ-ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოს-თხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზ-რუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზა-რალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გა-

რანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგები მხარის განცხადების საფუძველზე"). სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია დიდი აღმართობით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოწინააღმდეგები მხარის მოთხოვნა ასეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ხოლო მეორე მხარემ (ამ შემთხვევაში მოსარჩელემ) უნდა გააქარწყოლოს ეს ვარაუდი. მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების არსებობის აღმართობა, რომ მშენებლობის შეჩერებით უფლებამონაცვლეს ზიანი ადგება, რათქმა უნდა, გადაწონის ვარაუდს მისი არარსებობის, ანუ იმის შესახებ, რომ მას ასეთი ზიანი არ ადგება. ამდენად, ის ფაქტი, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად უფლებამონაცვლისათვის მშენებლობის აკრძალვაა დადგენილი, მისთვის გარკვეული ზარალის წარმოშობას უკვე დიდი აღმართობით ასაბუთებს.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს საპელაციო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

21. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქადაჭი საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 197<sup>1.4</sup> მუხლით, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „დოს“ (ნ. კ-ის უფლებამონაცვლის) საჩივარი ნაწილობრივ დაქმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქადაჭი საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განჩინება და ამ განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ნ. კ-ეს აკრძალა ქ. თბილისში, ვ-ის №....ში (საკადასტრო კოდი: №...) მდებარე სახლთან დაწყებული მშენებლობა და დ. ქ-ის სახლის საძირკვლის გამაგრება სასამართლო გადაწყვეტილების სანინააღმდეგო მეთოდების გამოყენებით;

3. საქმე, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დ. ქ-ის განცხადების ხელახლა განსახილველად, დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით

## განხილვა

№ას-908-874-2016

5 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

### აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილ-და შპს „უ-ს“ (შემდეგში: მოსარჩელე ან საწარმო) განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 196-ე მუხლი) და ი/მ თ. ბ-ს (შემდეგში: მოპასუხე, საჩივრის ავტორი ან განმცხადებელი) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თ-ი, ნ-ის ქუჩა, სოს გზის ქვედა სადგურის მიმდებარედ, დ-ის მე-3 ქუჩა №7, ს/კ ...) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. განჩინება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

2. საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვალს განცხადებით მიმართა მოპასუხებ და მოითხოვა, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების სახით, მოსარჩელეს დაკისრებოდა 55 200 (ორმოცდათხუთმეტი ათას ორასი) აშშ დოლარის საერთო სასამართლოების სადებოზიტო ანგარიშზე განთავსება სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 მარტის განჩინებით მოპასუხის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

4. მოპასუხებ 2016 წლის 7 მარტს კვლავ წარუდგინა სასამართლოს განცხადება და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც სასამართლოს იმავე წლის 21 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

5. საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განჩინებით მოპასუხებ უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი

სახის მეორეთი შეცვლის მოთხოვნით წარდგენილ საჩივარზე, ხოლო იმავე სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის განჩინებით განუხილველად დარჩა მოპასუხის შუამდგომლობა, რომლითაც იგი ანალოგიურ მოთხოვნას აყენებდა.

6. საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 მაისის განჩინებით განუხილველად დარჩა მოპასუხის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე იმ დასაბუთებით, რომ სსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ერთი და იმავე შინაარსის განცხადებით რამდენჯერმე მიმართა მოპასუხემ, ასევე სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე დააყენა იგივე შინაარსის შუამდგომლობა (იხ. 3-5 პუნქტები). მოპასუხემ რამდენჯერმე წარუდგინა სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ერთი და იგივე შინაარსის განცხადებები, რაც ზემოხსენებული ნორმის საფუძვლზე, განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით საწარმოს სარჩელი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ამ უკანასკნელს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიღებული 6 774 ლარის გადახდა. მოსარჩელის მოთხოვნა ქირის – 17 484 ლარის, ასევე, მიყენებული ზიანის სახით 14 742 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე შხარები.

9. მოპასუხემ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზეც მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა (იხ. მოპასუხის განცხადება და სასამართლოს განჩინება)

10. აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, რაც სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა და

საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

11. საქმის მასალებშია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინება, რომლის საფუძველზე მოსარჩელის სააპელაციო სააპელაციო განვითარებული იქნა დატოვებული სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

12. მოსარჩელემ კერძო საჩივარი წარმოადგინა და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინების გაუქმება.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებებით მოსარჩელის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ასევე, უარყოფილი იქნა მოპასუხის საჩივარი.

14. 2016 წლის 8 დეკემბერს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მოპასუხის წარმომადგენელმა მ. რ-მა, მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა. განცხადების განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის აღსრულებადი, ვინაიდან სადაცომ მხოლოდ 6 744 ლარი, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხე მზად არის 3 დღის ვადაში სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსოს ეს თანხა, რაც გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილებს მოსარჩელეს.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, მოპასუხის განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა, განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში, უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა მის მიერ ხელმოწერილი, დაზუსტებული მოთხოვნითა და დაზუსტებული სამართლებრივი საფუძვლების მითითებით შედგენილი განცხადება ან წარმომადგენლის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანების დამადასტურებელი მტკიცებულება და მისთვის კანონით დადგენილი წესით მინიჭებული მინდობილობა.

16. განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება განცხადებელს გაეგზავნა 2016 წლის 21 დეკემბერს. ამ უკანასკნელმა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ ეთანხმება წარმომადგენლის განცხადებას (იხ. ამ განჩინების მე-14 პუნქტი) საგარანტიო თანხის

განთავსების შესახებ და ითხოვს განცხადების განხილვას უმოკლეს დროში. 29 დეკემბერს მოპასუხემ წარმოადგინა განცხადება თანდართული სალაროს შემოსავლის ორდერით, რომლითაც დასტურდება, რომ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულია 6 780 (ექვის ათას შეიდას ოთხმოცი) ლარი, როგორც მოპასუხის საგარანტიო თანხა, საქმეზე №ას-908-874-2016.

17. საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 3 იანვრის განჩინებით, წარმოდგენილი განცხადება წარმოებაშია მიღებული, რადგან განცხადებელმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი სრულად გამოასწორა.

18. მოპასუხის განცხადების შინაარსისა და მისი განხილვის თარიღის შესახებ ეცნობა მოსარჩელესაც.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მოპასუხის განცხადების დასაბუთებულობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

19. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს წინამდებარე განჩინების 1,2,8, 11-13 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე და მოპასუხის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც საკასაციო სამართალწამოების ეტაპზეა წარმოდგენილი, სსკ-ის 196-ე მუხლს მოიხმობს, რომელიც ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, აღნიშნული კი საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დაიშვება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუმცა, ეს არ ის მხარის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (იხ. სუსგ №ას-498-478-2016, 28.07.2016წ.). მითითებული ნორმის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია, რომ „ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე“.

20. განსახილველ შემთხვევაში, დავა სწორედ ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარეობს და კანონით დასაშვები უზრუნველყოფის ღონისძიების ზომად თანხის დეპოზიტზე განთავსება მიიჩნევა. ამსათან, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კერძო საჩივრი არ დაკმაყოფილდა საქართველოს უზენაესი

სასამართლოს 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით (იხ. მე-13 პუნქტი), ხოლო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება, ამდენად, იგი იური- დიულ ძალას იძენს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისთა- ნავე.

21. მოპასუხემ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ მან უკვე განათავსა მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული გა- დაწყვეტილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი თანხა სადე- პოზიტო ანგარიშზე, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის ტოლფასი ღირებულების უზრუნველყოფის სახით შესაძლებელია, უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონის- ძიების ერთი სახის მეორით შეცვლა, თუკი ეს სრულად უზრუნ- ველყოფს კრედიტორის ინტერესის დაკმაყოფილებას.

22. საკასაციო სასამართლოს, მხარეთა ლეგიტიმური ინტე- რესების შეპირისპირების გათვალისწინებით, გამართლებულად მიაჩნია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეც- ვლა სსკ-ის 196-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, რადგან მოსარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის ტოლფასი ფულა- დი თანხა რეალურად არის განთავსებული სადეპოზიტო ანგა- რიშზე, რაც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებასა და მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული გადაწყვეტი- ლების აღსრულებას უზრუნველყოფს. ამდენად, მოპასუხემ მართებულად გამოიყენა საპროცესო კოდექსით დადგენილი სა- მართლებრივი შესაძლებლობა.

23. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე არ დააკმა- ყოფილა მხარის შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღინისძიე- ბის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე და მიუთითა: „მო- ცემულ შემთხვევაში, მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინ- ტერესების ბალანსის გონივრულად შეფასებისას, სასამართლო- სათვის ამოსავალი პრინციპია გადაწყვეტილების აღსრულება- დობა, რაც რეალური უნდა იყოს. მოპასუხის შეთავიზება ეხება არა არსებულ ფაქტს – სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტა- ნას, არამედ მომავალ მოქმედებას, რაც უზრუნველყოფილი გა- დაწყვეტილების აღსრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს“ (სუსგ №ას-498-478-2016, 28.07.2016წ.). სსკ-ის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა არის სასამართლოს უფლებამოსი- ლება და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშე- წონილობით“ (სუსგ №ას 1165-1095-2015, 25.11.2015წ.).

24. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ წარმოადგინა უტ-ყუარი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მნიშვნელოვნად შეცვლილ გარემოებას, რომ მოსარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის ტოლფასი ფულადი თანხა განთავსებულია სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, რაც ადასტურებს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის მიზანშეწონილობას.

25. ზემოაღნიშნული მოტივაციის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მოპასუხის განცხადების დასაბუთებულობის ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები შესრულებულია და უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 196-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი/მ თ. ბ-ის განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე, დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიცვალოს სისის საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხით – 6 780 ლარი, როგორც თ. ბ-ის საგარანტიო თანხა, საქმეზე №ას-908-874-2016;

3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე თ. ბ-ს (პ/ნ ...) აეკრძალა, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: თ-ი, ნ-ის ქუჩა, ს-ოს გზის ქვედა სადგურის მიმდებარედ, დ-ის მე-3 ქუჩა №7, საკადასტრო კოდი: №-... – გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. დაუსწრებელი გადაცევაფილება

დაუსწრებელი გადაცევაფილების გაუძმება  
სასარჩევო მოთხოვნის მართვაშორმის  
დაუსაბუთებლობის გამო

### განჩინება

№ას-589-564-2016

16 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, იძულებითი გა-  
ნაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ. გ-მა (შემდეგში: მოსარჩევე ან აპელანტი ან დასაქმე-  
ბული) ქ. თბილისის №... საშუალო სკოლაში, რომელიც 2012 წლის  
19 აგვისტოდან წარმოადგენს სსიპ-ს, (შემდეგში: მოპასუხე ან  
მონინალმდევე მხარე ან სკოლა) მუშაობა დაიწყო მათემატი-  
კის მასწავლებლად 1994 წლის 01 სექტემბერს.

2. 2011 წლის 01 ივნისს, დასაქმებულსა და დამსაქმებელს  
შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება (ბოლო), რომლითაც მო-  
სარჩევე დასაქმდა მათემატიკის მასწავლებლად. მისი საგაკ-  
ვეთილო საათების რაოდენობად განისაზღვრა 21სთ., ხოლო ყო-  
ველთვიურ შრომის ანაზღაურებად – 415,80 ლარი. მხარეთა შო-  
რის 2011 წლის 01 ივნისს დადებული შრომითი ხელშეკრულე-  
ბის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 01 ივნისამდე.

3. მოპასუხე სკოლის დირექტორმა 2012 წლის 26 ივნისს გა-  
მოსცა ბრძანება №..., რომლის თანახმად, „...გაკვეთილზე მოს-  
წავლეთათვის სიტყვიერი შეურაცხმყოფელი საუბრის, საგაკ-  
ვეთილო დროის არამიზნობრივად გამოყენებისა და მასწავლებ-  
ლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო“, მოსარ-  
ჩელეს გამოეცხადა საყვედური. ბრძანებას საფუძვლად დაე-  
დო: მ. კლასის მშობლების 2012 წლის 19 ივნისის განცხადება და  
მოსარჩელის 2012 წლის 21 ივნისის მოხსენებითი ბარათი.

4. მოსარჩევე ლ. გ-ს მოპასუხე სკოლის 2012 წლის 26 ივნი-

სის №... ბრძანება, მისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ, სადაცოდ არ გაუხდია.

5. 2011-2012 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში მოპასუხე საჯარო სკოლაში მათემატიკის საგნის საათები განაწილებული იყო 07 მასწავლებელზე. მათგან, 2012 წლის ივლისის თვისათვის, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება (საყვედური) გამოყენებული იყო მხოლოდ მოსარჩელის მიმართ.

6. მოსარჩელე არ არის სერტიფიცირებული მასწავლებელი.

7. 2011-2012 სასწავლო წლის II სემესტრის ბოლოს, მოპასუხე სკოლისათვის და მისი პედაგოგიური კოლექტივისათვის ცნობილი იყო, რომ მომავალი, 2012-2013 სასწავლო წლისათვის, სხვადასხვა საგანში, შემცირდა საგაკვეთოლო საათების რაოდენობა. რამდენიმე საგნის კათედრის წევრები შეთანხმდნენ საათების ერთმანეთში გადანაწილებაზე. ამგვარ შეთანხმება არ შედგა მათემატიკის მასწავლებლებს შორის.

8. 2012 წლის 02 ივლისის სკოლის დირექტორის №... ბრძანებით (შემდეგში: სადაცო ბრძანება) მოსარჩელეს 2012 წლის 01 ივლისიდან შეუწყდა შრომითი ურთიერთობა, 2011 წლის 01 ივლისს დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ სადაცო ბრძანების ბათილად ცნობისა და 2012 წლის 01 ივლისი-დან, მოცემულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის გადახდის დაკისრების მოთხოვნით მოსარჩელის ყოველთვიური ხელფასის ოდენობის (415.80 ლარი) გათვალისწინებით

10. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 54-ე, 409-ე, 411-ე; სშკ-ის 44-ე, 32-ე მუხლები.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 სექტემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სამსახურში მათემატიკის მასწავლებლის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნაზე შეწყდა სამოქალაქო საქმის ნარმოება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 272.1.„გ“ მუხლი).

12. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელეს აქვს მუშაობის 18-წლანი სტაჟი და იგი ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა თავის პროფესიას. ამასთან, იგი გამოირჩევა მაღალი სამოქალაქო შეგნებით და პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას, რო-

გორც კვალიფიციურ და გამოცდილ პედაგოგს, ყოველთვის კარგად ესმოდა პოლიტიკისა და სასწავლო პროცესის ერთმანეთში აღრევის დაუშვებლობა. ამასთან, იგი ყოველთვის ამახვილებდა ყურადღებას სკოლაში არსებულ პრობლემებზე. მისი ასეთი საქმიანობა მიუღებელი აღმოჩნდა მისი სკოლის დირექტორი-სათვის, რის გამოც, იგი გათავისუფლდა სამსახურიდან.

13. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო და იგი არ იყო მოტივირებული პოლიტიკური ნიშნით (დისკრიმინაცია).

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ბრძანების ბათილად ცნობის და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

15. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 08 მაისის განჩინებით სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2015 წლის 29 ივლისს.

17. აღნიშნული განჩინება მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა იურიდიულ მისამართზე – თბილისი, ... ქუჩა №7. შეტყობინების ბარათით, გზავნილის ჩაბარების თაობაზე ირკვევა, რომ შეტყობინება ჩაპბარდა უფლებამოსილ პირს 2015 წლის 22 მაისს.

18. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 ივლისის სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე), რის გამოც, აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2012 წლის 01 ივლისიდან 2013 წლის 01 სექტემბრამდე ასანაზღაურებელი თანხა 5405.4 ლარის ოდენობით; სარჩელი ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილი].

19. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად სასამართლომ მიუთითა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სასამარ-

თლოს მთავარი სხდომის თაობაზე ეცნობა სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე პროცესზე გამოუცხადებელ მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია.

20. პალატამ გაიზიარა აპელანტის პოზიცია და მოწინააღმდეგი მხარის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად მიიჩნია სააპელაციო საჩივარსა და სარჩელში მითითებული შემდეგი გარემოებები:

- მოსარჩელემ სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მუშაობა დაიწყო 1994 წლის 01 სექტემბერს;
- მოსარჩელესა და სკოლას მორის გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება №05-029 (2011 წლის 01 ივლისი);
- ხელშეკრულებით მოსარჩელის საგაკვეთოლო საათების რაოდენობა განისაზღვრა 21სთ-ით, ხოლო ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ოდენობად – 415,80 ლარი.
- მხარეთა შორის 2011 წლის 01 ივლისს დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 01 ივლისამდე.

- 2012 წლის 01 ივლისიდან 2013 წლის 01 სექტემბრამდე ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა ყველა მასწავლებლთან, გარდა მოსარჩელისა და იმ 7 მასწავლებლისა, რომელსაც არ მოუთხოვიათ ვადის გაგრძელება.

- მოსარჩელე პედაგოგობის პარალელურად იყო საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება, სხვადასხვა დროს, გამოხატავდა თავის პოზიციას ისანი-სამგორის რაიონში განათლების სფეროს (სკოლის, ბაგა-ბაღის) ზოგიერთ საკითხზე, რომელსაც ის მიიჩნევდა ნაკლად.

- მოსარჩელე არის მპგ (თ-ის) წევრი 2012 წლის 22 იანვრიდან;

- მოსარჩელე ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, აძლევდა ინტერვიუებს გაზეთებსა და ტელევიზიებს, რაც გახდა მისთვის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის მიზეზი;

- გაზეთ „ა-ს“ 2012 წლის №45 (14.06-18.06.2012 წ) გამოშვების 22-ე გვერდზე დაიბეჭდა ინტერვიუ მოსარჩელესთან. სტატიაში საუბარი იყო ისანი-სამგორის განათლების ორგანოებზე საკრებულოს დეპუტატის გავლენაზე და მოპასუხე სკოლაში სხვადასხვა დროს მომუშავე დირექტორების არაკანონიერ ქმედებებზე, სკოლაში ანტისანიტარულ პირობებზე და ა.შ, რაც გახდა მასთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის მიზეზი.

– მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა სადაც ბრძანებით;

– 2012 წლის ოქტომბრის თვეში მათემატიკის მასწავლებელ ე. ა-ას სკოლიდან წასვლის გამო ვაკანტურ ადგილზე ჩატარდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ სერტიფიცირებულ პედაგოგს. კონკურსის შედეგად მათემატიკის მასწავლებლად გამოსაცდელი ვადით დაინიშნა ლ. კ-ე. მოსარჩელეს კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია.

– მოსარჩელესთან ხელშეკრულების გაუგრძელებლობა არ ყოფილა გამოწვეული იმით, რომ სკოლას არ სჭირდებოდა მათემატიკის მასწავლებელი. მოსარჩელის გათავისუფლების შედეგად სკოლაში მიღებული იქნა ახალი მათემატიკის მასწავლებელი სხვა ცხრა მასწავლებელთან ერთად.

– მოსარჩელისათვის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი ატარებდა დისკრიმინაციულ ხასიათს. სკოლის ყველა სხვა თანამშრომელთან დადებულ ხელშეკრულებებს იმ პერიოდში გაუვიდა ვადა, თუმცა, ყველასთან გაგრძელდა შრომითი ურთიერთობა მოსარჩელის გარდა. ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით მოსარჩელისადმი განხორციელდა დისკრიმინაციული მიდგომა მაშინ, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადა ერთდროულად გაუვიდა რამდენიმე ათეულ მასწავლებელს, მხოლოდ მას აღარ გაუგრძელდა კონტრაქტი. ამგვარი განსხვავებული მიდგომის საფუძველი გახდა მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტივობა.

21. დამტკიცებულად იქნა რა მიჩნეული, რომ მოსარჩელესთან ხელშეკრულების გაგრძელების უარი გამოწვეული იყო მის მიმართ დირექციის მხრიდან არათანაბარი დამოკიდებულებით და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა თანხის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში იურიდიულად ამართლებდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს. შესაბამისად, მოთხოვნა ამ ნაწილში, უნდა დაკმაყოფილებულიყო და სკოლას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 2012 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის პირველ სექტემბრამდე ყოველდღიურად ასანაზღაურებელი თანხა 415.80 ლარის ოდენობით, როგორც მის მიმართ დამდგარი ზიანი 5405,4 ლარის ოდენობით.

22. სასარჩელო მოთხოვნას ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში კი, არ ამართლებდა სარჩელში მითითებული გარემოებები, კერძოდ, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მო-

მენტში მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა ვადის გასვლა. სკოლასა და მოსარჩელეს შორის 2011 წლის 01 ივნისს დადებული №05-029 შრომით ხელშეკრულების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2012 წლის 01 ივნისი.

23. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო დაუსწებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური საფუძველი, რის გამოც, სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, უნდა გაუქმებულიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებული ყოფილიყო ახალი გადაწყვეტილება სააპელაციის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ (სსკ-ის 230.2 მუხლი).

24. 2015 წლის 29 ივნისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მოწინააღმდეგე მხარემ, რომელმაც მისი გაუქმება და საქმისწარმოების განახლება მოითხოვა [სსკ-ის 372-ე და 236-ე მუხლები]. მოპასუხებმ მიუთითა, რომ სკოლა ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ისანი-სამგრის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ, სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლობას სასამართლოში. კონკრეტულ შემთხვევაში, რესურსცენტრის უფროსს სპეციალისტს (იურისტს) მიეცა ანაზღაურებადი შევბულება ორსულობისა და მშობიარობის გამო 2015 წლის 27 აპრილიდან 2015 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, მან ვერ განახორციელა შესაბამისი რეაგირება და ვერ გამოცხადდა 2015 წლის 29 ივნისის სასამართლო სხდომაზე, იმის გათვალისწინებით, რომ მას არ ჰქონდა შესაბამისი ცოდნა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორცილების თაობაზე და ვერ განსაზღვრა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით სააპელაციო მოთხოვნა არ იყო სამართლებრივად დასაბუთებული.

25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 05 მაისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

26. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. მოწინააღმდეგე მხარის საჩივარში მითითებული გარე-

მოებები არ წარმოადგენდა მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონისმიერ საფუძველს {სსსკ-ის 233-ე, 241-ე და 215-ე}. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელში და სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას განაცდურის ანაზღაურების თაობაზე {სსკ-ის 230.2 მუხლი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი}, სახელდობრ, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელესთან აღარ გაფრელდა შრომით სამართლებრივი ურთიერთობა სწორედ დისკრიმინაციულ საფუძველზე. რის გამოც, სადაც ბრძანების გაუბათილებლობის პირბებში, შესაძლებელი იყო მოსარჩელესთან ახალი შრომითი ხელშეკრულების დადება, რომელიც მასთან არ გაფორმებულა სკოლის მხრიდან მასთან არათანაბარი დამოკიდებულების გამო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი დისკრიმინაციის ფაქტს, ანუ მასთან ასეთ დამოკიდებულებას ადგილი არ ექნებოდა, ამ უკანასკნელთან ასევე გაფორმდებოდა მომდევნო ერთი წლის ვადით ხელშეკრულება, როგორც ეს სხვა დანარჩენი პედაგოგების შემთხვევაში მხოდა. ამდენად, სადაც ბრძანების იურიდიული ძალის შენარჩუნება ახალი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას ხელს ვერ შეუშლიდა, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში დაკისრებული განაცდური წარმოადგენდა იმ ხელშეკრულების ფარგლებში მისაღებ ანაზღაურებას, რომელიც დაიდებოდა მოსარჩელესთან, მის მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას რომ არ ჰქონოდა ადგილი.

27. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოწინააღმდეგ მხარემ შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

28. კასატორის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში აშკარა ურთიერსაწინააღმეგო დებულებებს აქვს ადგილი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სასარჩელო მოთხოვნა სადაც ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში სასამართლო მიიჩნია იურიდიულად გაუმართლებლად და შესაბამისად, დაადგინა ბრძანების კანონთან შესაბამისობა, თუმცა, გაურკვეველია სასამართლომ რა საფუძვლით დაადგინა ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხის ანაზღაურება.

29. იმავდროულად, კასატორი აღნიშნავს, რომ დასაქმებულთან სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძ-

ველზე შეწყდა შრომითი ურთიერთობა (კონტრაქტის მოქმედების ვადის გასვლის გამო) და ამდენად, გაუგებარია, რა კავშირშია ამ ფაქტობრივ გარემოებასთან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

30. საქართველოს უზენაში სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 09 სექტემბერს განჩინებით კი, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

31. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივარის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

32. სსსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანაბეჭდი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლო-სათვის. მხარეს, რომლის ნინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის ნარმოების განახლება თუ, დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ნინაპირობები.

33. მოცემულ საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ თბილისის საპატელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას სასამართლოს სხდომაზე, რომელიც დანიშნული იყო 2012 წლის ივლისს 11:00 საათზე, არ გამოცხადდა აპელანტი, რომელიც სასამართლო სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო სსკის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და სასამართლო არ იყო ინფორმირებული მისი გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე. ეს გარემოება კასატორს სადაციდ არ გაუხდია და ამდენად, მას საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩ-

ნია.

34. კასატორი სადაცოდ ხდის მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებას და მისი გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებად სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ უმართებულობას მიიჩნევს. შესაბამისად, საკასაციო საჩივარზე სწორედ ამ მიმართულებით იქნება ნამსჯელი წინამდებარე გადაწყვეტილებაში.

35. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ შან დაკარგა ინტერესი, შეენინააღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმაცია). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სარჩელში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

36. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოთხოვნის იურიდიული მართებულობის ნაწილში გასაზიარებელი არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით,

ა) მოსარჩელემ სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მუშაობა დაიწყო 1994 წლის 01 სექტემბერს;

ბ) მოსარჩელესა და სკოლას მორის გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება №05-029 (2011 წლის 01 ივნისი);

გ) ხელშეკრულებით მოსარჩელის საგაკვეთოლო საათების რაოდენობა განისაზღვრა 21 სთ-ით, ხოლო ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ოდენობად – 415,80 ლარი.

დ) მხარეთა შორის 2011 წლის 01 ივნისს დადებული შრომი-

თი ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 01 ივნისამდე.

ე) 2012 წლის 01 ივნისიდან 2013 წლის 01 სექტემბრამდე ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა ყველა მასწავლებელთან, გარდა მოსარჩელისა და იმ 7 მასწავლებლის, რომ-ლებსაც არ მოუთხოვით ვადის გაგრძელება.

ვ) მოსარჩელე პედაგოგობის პარალელურად იყო საზოგადო-ებრივად აქტიური პიროვნება, სხვადასხვა დროს, გამოხატავ-და თავის პოზიციას ისანი-სამგორის რაიონში განათლების სფე-როს (სკოლის, ბაგა-ბაღის) ზოგიერთ საკითხზე, რომელსაც ის მიიჩნევდა ნაკლად.

ზ) მოსარჩელე არის მპგ (თ-ის) წევრი 2012 წლის 22 იანვრი-დან;

თ) მოსარჩელე ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადო-ებრივ საქმიანობას, აძლევდა ინტერვიუებს გაზეთებსა და ტე-ლევიზიებს, რაც გახდა მისთვის ხელშეკრულების გაგრძელე-ბაზე უარის თქმის მიზეზი;

ი) გაზეთ „ა-ს“ 2012 წლის №45 (14.06-18.06.2012 წ) გამოშვე-ბის 22-ე გვერდზე დაიბეჭდა ინტერვიუ მოსარჩელესთან. სტა-ტიაში საუბარი იყო ისანი-სამგორის განათლების ორგანოებზე საკრებულოს დეპუტატის გავლენაზე და შოპასუხე სკოლაში სხვადასხვა დროს მომუშავე დირექტორების არაკანონიერ ქმე-დებებზე, სკოლაში ანტისანიტარულ პირობებზე და ა.შ, რაც გახდა მასთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის მი-ზეზი.

კ) მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა სადაცო ბრძა-ნებით;

ლ) 2012 წლის ოქტომბრის თვეში მათემატიკის მასწავლე-ბელ ე. ა-ას სკოლიდან წასვლის გამო ვაკანტურ ადგილზე ჩა-ტარდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ სერტიფირებულ პედაგოგს. კონკურსის შედეგად მათემატიკის მასწავლებლად გამოსაცდელი ვადით დაინიშნა ლ. კ-ე. მოსარჩელეს კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია.

მ) მოსარჩელესთან ხელშეკრულების გაუგრძელებლობა არ ყოფილა გამოწვეული იმით, რომ სკოლას არ სჭირდებოდა მა-თემატიკის მასწავლებელი. მოსარჩელის გათავისუფლების შე-დეგად სკოლაში მიღებული იქნა ახალი მათემატიკის მასწავ-ლებელი სხვა ცხრა მასწავლებელთან ერთად.

37. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პპ: „ა“-„ლ“-ში აღნიშ-ნული ფაქტიობრივი გარემოებები არ პასუხობს დისკრიმინაცი-ულ საფუძველზე მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლე-

ბის საფუძვლით სადაცო ბრძანების ბათილად ცნობის განმაპირობებელ ყველა წანამძღვარს, სახელდობრ, პპ: „ე“, „ლ“, „მ“ პუნქტების მიხედვით, 2012 წლის 01 ივლისიდან 2013 წლის 01 სექტემბრამდე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ზოგიერთ მასწავლებელთან, მათ შორის, მოსარჩევესთან აღარ გაგრძელდა. იმავდროულად, დადგენილია, რომ სკოლას რეალურად სჭირდებოდა მათემატიკის მასწავლებელი, რომელი საჭიროების მიზნითაც, სკოლაში მიღებული იქნა ახალი მათემატიკის მასწავლებელი. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კი, საფუძვლად ვერ დაედება მოსარჩელის შიმართ, დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძვლით, სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივ დასკვნას, გამომდინარე იქიდან, რომ 2012 წლის ოქტომბრის თვეში სკოლაში მათემატიკის მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე ჩატარდა კონკურსი (წინამდებარე განჩინების პ: „ლ“), რომელშიც მონანილეობის მიღება შეეძლო მოსარჩელესაც. მან მონანილეობა არ მიიღო. ნიშანდობლივია, რომ ჩატარებული კონკურსის წესების მიხედვით მონანილეობა შეეძლო მხოლოდ სერტიფიცირებულ პედაგოგს, რაც ვერ გამოდგება დისკრიმინაციული მოპყრობის სამართლებრივ შეფასებად. ამ სამართლებრივი დასკვნის საფუძველია „შრომის თავისუფლების“, როგორც უფლების შეფარდებითი ბუნება. იმავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესიც სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას ხელი შეუწყოს თავისუფლალი მეწარმეობისა და კონკურსის განვითარებას, ხოლო მე-3 პუნქტი წარმოადგენს ბლანკეტური შინაარსის ნორმას და შრომითი უფლებების დაცვის მომწესრიგებელ ნორმებს ორგანული კანონში სშპ-ში თავმოყრის. აღსანიშნავია, რომ შრომის სამართლი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს ე.წ. „ფავორ პრესტატორის“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლის და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში. დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლების კვლევისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა ღონისძიებები გაატარა დასაქმებელმა, რათა უზრუნველყოფ დასაქმებულისათვის დაკავებული პოზიციის შენარჩუნება. ცხადია, შრომითი ურთიერთობის შენწყვეტის მომწესრიგებელი თითოეული საფუძ-

ვლის გამოყენებამდე, დასაბუთებული უნდა იყოს მისი გამოყენების წინაპირობა. დამსაქმებლის მოთხოვნა კონკურენტულ ადამიანურ რესურსებზე, შრომითი ურთიერთობების დინამიურობისა და შრომით ბაზარზე ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია, თუმცა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოებმა ძალზე ფრთხილად და წინდახედულად უნდა იმსჯელონ სასამართლო კონტროლის ფარგლებში, კონკრეტული დამსაქმებლის გადაწყვეტილებასა და საკადრო პოლიტიკაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ის მოსაზრება, რომ მოსარჩევე არ იყო სერთიფიცირებული პედაგოგი (წინამდებარე განჩინების პპ: „ე“, „ლ“, „მ“), რის გამოც, დამსაქმებლის მიერ დადგენილი საკონკურსო პირობებით მოსარჩელეს შეეზღუდა უფლება, მიზანშეუწონელია. წიშანდობლივია, რომ საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებლის შემთხვევაში, მოსარჩელეს შეეძლო მონაწილეობის მიღება გამოცხადებულ კონკურსში. აღნიშნულის გათვალისწინებით იმგვარი სამართლებრივი დასკვნა, რომ მოსარჩელის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, მიზანშეუწონელია, ხოლო ის გარემოება, რომ მოსარჩევე იყო პოლიტიკური პარტიის წევრი და გარკეულ განცხადებებს აკეთებდა სხვადასხვა საკითხებზე (წინამდებარე განჩინების პპ: „ზ“), არ გვაძლევს მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დასკვნის გაკეთების საფუძველს.

38. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები არ იძლეოდა იმგვარი დასკვნის გაკეთების სამართლებრივ საფუძველს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის არარსებობის პირობებში, მოსარჩელესთან, ისევე, როგორც სკოლის დანარჩენ პედაგოგებთან, დაიდებოდა ახალი შრომითი ხელშეკრულება.

39. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა მოთხოვნის იურიდიული მართებულობის ნაწილში, გაზიარებული ვერ იქნება. აღნიშნული კი, გასაჩივრებული სასამართლო აქტების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

40. სსსკ-ის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესით ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 05 მაისის განჩინება და 2015 წლის 29 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. სასამართლოს გადაწყვეტილება

### გადაწყვეტილების განხარტება

#### განხილვა

№ას-399-372-2017

11 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ.  
წ-ის (შემდეგში: მოწინააღმდეგე მხარე) სააპელაციო საჩივარი  
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ნაწილობრივ შეიცვალა თბილი-  
სის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის  
2015 წლის 05 მარტის გადაწყვეტილება და რ. ბ-ის (შემდეგში:  
კერძო საჩივრის ავტორი) სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობ-  
რივ, ცვლილება შევიდა ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 3 ივლისს  
გაცემულ სააღსრულებო ფურცელში და პირგასამტებლოს ოდე-  
ნობა განისაზღვრა 2011 წლის 5 ნოემბრიდან აღსრულებამდე  
პერიოდისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დასაბრუ-  
ნებელი თანხის 0,1%-ით. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა  
კანონიერ ძალაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016  
წლის 10 თებერვლის განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილ-  
ველად დატოვების თაობაზე). სააპელაციო პალატის 2015 წლის  
15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე 2016 წლის 22 სექტემბერს  
გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მო-  
მართა მოწინააღმდეგე მხარემ, რომელმაც მოითხოვა ზემოაღ-  
ნიშნული გადაწყვეტილების განმარტება შემდეგ გარემოებებ-  
ზე დაყრდნობით:

3. სასამართლომ იმსჯელა პირგასამტებლოს დარიცხვაზე  
არა მხოლოდ აღსრულების ეროვნულ ბიუროში ნოტარიუსის მი-  
ერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის წარდგენამდე, კერძოდ

2014 წლის 4 ივლისამდე, არამედ პირგასამტეხლოს დარიცხვა-ზე 2014 წლის 4 ივლისის შემდგომი პერიოდისთვისაც, კერძოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, რაც თავისთავად გულისხმობს აღსრულების ეროვნულ ბიუროში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 15 ოქ-ტომბრის გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის წარ-დგენის დღეს. საქმის წარმოების განახლების შემდეგ აღმას-რულებელმა ძირითად თანხაზე დარიცხული საურავი დაიანგა-რიშა 2011 წლის 05 ნოემბრიდან 2014 წლის 04 ივლისამდე, კერ-ძოდ კრედიტორის მიერ წოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრუ-ლებო ფურცლის აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენამ-დე და არა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმცხადებელი უთითებს, რომ სააღსრულებო ბი-უროში წარდგენილი გადაწყვეტილება არ სრულდება იმ ფორ-მით, რა გადაწყვეტილებაც სასამართლომ მიიღო, ამასთან აღ-სრულების ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული პასუხის თა-ნახმად, განმცხადებელს განუმარტეს, რომ „სააღსრულებო წარ-მოების“ შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნ-ქტის თანახმად, „იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, რომ-ლებითაც გათვალისწინებულია კრედიტორის მოთხოვნის ზრდა ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა, გარ-და საგადასახადო მოთხოვნის შემთხვევებისა, კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის და-რიცხვა გაგრძელდება იმ დღიდან, როდესაც აღსრულების ეროვ-ნული ბიურო ამ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად დაუბრუ-ნებს კრედიტორს სააღსრულებო ფურცელს“.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2017 წლის 26 იანვრის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამო-ქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვე-ტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1. პუნქტის ის ნაწილი, რო-მელიც ეხება პირგასამტეხლოს დარიცხვის პერიოდს („2011 წლის 5 ნოემბრიდან აღსრულებამდე პერიოდისათვის“) განიმარ-ტა შემდეგი სახით: 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილე-ბის სარეზოლუციო ნაწილის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის პერიოდი მოიცავს 2011 წლის 5 ნოემბრიდან ნოტარიუს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელ-ზე (№140693656) შეჩერებული სააღსრულებო წარმოების გა-ნახლებამდე პერიოდს.

5. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 262-ე მუხლით და აღნიშნა, რომ განსამარტი სარეზოლუციო ნაწილით პირგასამტებლოს დარიცხვის დასრულების მომენტად განისაზღვრა აღსრულების პერიოდი („....პირგასამტებლოს ოდენობა განისაზღვროს 2011 წლის 5 ნოემბრიდან აღსრულებამდე პერიოდისთვის.....“), თუმცა აღსრულების პერიოდი გულისხმობს წოტარიუსის მიერ 2014 წლის 3 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღასრულებლად წარდგენის მომენტს – 2014 წლის 3 ივლისს, თუ ამ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის შესახებ 2015 წლის 15 ოქტომბრის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებო წარმოების განახლების მომენტს. აღნიშნული ბუნდოვანია და იწვევს აზრთა სხვადასხვაობას მისი აღსრულების თვალსაზრისით. ფაქტია, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო (იხ. განცხადებაზე თანდართული აღსრულების ეროვნული ბიუროს 2016 წლის №109430 წერილი), განსახილველ შემთხვევაში, პირგასამტებლოს დარიცხვის დასრულების მომენტად განიხილავს (2011 წლის 5 ნოემბრიდან) 2014 წლის 4 ივლისამდე პერიოდს, ხოლო კრედიტორი (განმცხადებელი), მ. წ-ი, 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, პირგასამტებლოს დარიცხვის დასრულების მომენტად მოიაზრებს (2011 წლის 5 ნოემბრიდან) 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებლად წარდგენის მომენტს.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1. პუნქტის განმარტების ფარგლებში სააპელაციო პალატამ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– ნოტარიუსის მიერ გაცემული №140693656 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება დაიწყო 2014 წლის 3 ივლისს.

– მოვალემ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღდრა 2014 წლის 5 სექტემბერს.

– სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის განჩინებით შეჩერდა ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 3 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება.

– სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის განჩინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 20 ივნისს.

– თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება, კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 10 ოქტომბერიდან.

იმ, დროისათვის, როდესაც რ. ბ-მა სარჩელით (მათ შორის სააღსრულებო ნარმობის შეჩერების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით) მიმართა სასამართლოს (2014 წლის 5 სექტემბერი), ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე 2014 წლის 3 ივნისიდან უკვე დაწყებული იყო სააღსრულებო ნარმობა, რომელიც მოგვიანებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც უკვე აღინიშნა შეჩერდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის განჩინებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება 2011 წლის 5 ნოემბრიდან 2015 წლის 5 მარტამდე პერიოდისათვის პირგასამტებლოს სახით ფიქსირებულად 5,000 აშშ დოლარის დარიცხვის ნაწილში შეიცვალა იმ არგუმენტით, რომ 2011 წლის 5 ნოემბრიდან 2015 წლის 5 მარტამდე პერიოდზე, ფაქტობრივად 40 თვიან ვადაგადაცილებულ პერიოდზე პირგასამტებლოს 5,000 აშშ დოლარით განსაზღვრა არ იყო გონივრული, მაშინ, როცა 2015 წლის 5 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის ამავე გადაწყვეტილებით პირგასამტებლოს დარიცხვა გათვალისწინებული იყო ძირითადი თანხის 0,1%-ით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პირგასამტებლოს დარიცხვის პერიოდად გათვალისწინებული იქნა, არა მარტი 2015 წლის 5 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდი, არამედ 2011 წლის 5 ნოემბრიდან 2015 წლის 5 მარტამდე პერიოდიც. პირგასამტებლოს დარიცხვის დასრულების მომენტის განსაზღვრა (გადაწყვეტილების) აღსრულებამდე პერიოდზე მითითებით გულისხმობს სწორედ სააღსრულებო ფურცელში სასამართლოს გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილებების კვალიბაზე იმ სააღსრულებო ნარმობის განხორციელებას, რომელიც შეჩერებული იქნა სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.

ამდენად, კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების შინაარსიდან ნათელია, რომ პირგასამტებლოს დარიცხვის პერიოდში მოიაზრება არა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად ნარდგენა – 2014

წლის 4 ივლისამდე პერიოდი, არამედ იგულისხმება ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლებამდე (სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) პერიოდი. მაშასადამე, პირგასამტებლოს დარიცხვის პერიოდი მოიცავს 2011 წლის 5 ნოემბრიდან ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე (№140693656) შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლებამდე პერიოდს.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 იანვრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილი იქნა კერძო საჩივარი. კერძო საჩივრის აფტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სსსკ-ის 262-ე მუხლით და არასწორად მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება განმარტებას საჭიროებდა პირგასამტებლოს დარიცხვის პერიოდის განტვრეტის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, სააპელაციო პალატის დასკვნა არასწორია პირგასამტებლოს დარიცხვის პერიოდში მოიაზრება არა ნოტარიუსის მიერ გაცემული საარსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენა, არამედ სააღსრულებო ფურცელზე შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლებამდე პერიოდი (სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით).

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 აპრილის განჩინებით კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი, უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. წ-ის (შემდეგში: მოწინააღმდეგე მხარე) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნა-

წილობრივ: ნაწილობრივ შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 მარტის გადაწყვეტილება და რ. ბ-ის (შემდეგში: კერძო საჩივრის ავტორი) სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ცვლილება შევიდა ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 3 ივლისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში და პირგასამტებლოს ოდენობა განისაზღვრა 2011 წლის 5 ნოემბრიდან აღსრულებამდე პერიოდისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დასაბრუნებელი თანხის 0,1%-ით. აღნიშნული გადაწყვეტილება შვიდა კანონიერ ძალაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 ოქტემბრის განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე). სააპელაციო პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე 2016 წლის 22 სექტემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 იანვრის განჩინებით განხორციელებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1 პუნქტის განმარტების შედეგად {სსკ-ის 262-ე მუხლი] დადგინდა, რომ 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტებლოს დარიცხვის პერიოდი მოიცავს 2011 წლის 5 ნოემბრიდან ნოტარიუს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე შეჩერებული სააღსრულებო ნარმოების განახლებამდე პერიოდს.

11. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიაჩინა, რომ სსკ-ის 262-ე მუხლის ნორმატიული საფუძვლით არასწორად განხორციელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1 პუნქტის განმარტება.

12. საგულისხმოა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2016 წლის 14 ნოემბრის მიწერილობა, რომლის შინაარსიდან გამომდინარე ირკვევა, რომ აღმასრულებელმა დაიწყო სააღსრულებო ნარმოება კრედიტორის 2014 წლის 4 ივლისის განცხადების და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომლითაც განსზღვრული იყო აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა 2011 წლის 5 ნოემბრიდან აღსრულებამდე. იმავდროულად, აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 08 სექტემბრის განჩინების საფუძველზე შეჩერდა ამ სააღსრულებო

წარმოების განხორციელება. მოგვიანებით, ცვლილება შევიდა სა-აღსრულებო ფურცელში და პირგასამტებლოს ოდენობა შეიცვა-ლა, რაც ნაწილობრივ შეიცვალა სააპელაციო სასამართლოს გა-დაწყვეტილებით და საბოლოოდ, პირგასამტებლოს ოდენობა გა-ნისაზღვრა 2011 წლის 5 ნოემბრიდან აღსრულებამდე.

13. ნიშანდობლივის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ სა-ქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი, რომ-ლის მიხედვით იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, რომლე-ბითაც გათვალისწინებულია კრედიტორის მოთხოვნის ზრდა ძი-რითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვის შედე-გად, სააღსრულებო წარმოების დაწყების დღიდან შეწყდება კრე-დიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საუ-რავის დარიცხვა, გარდა საგადასახადო მოთხოვნის შემთხვევე-ბისა. კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა გაგრძელდება იმ დღიდან, როდესაც აღ-სრულების ეროვნული ბიურო ამ კანონის 25-ე მუხლის შესაბამი-სად დაუბრუნებს კრედიტორს სააღსრულებო ფურცელს.

14 მაშასადამე საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ პირგასამტებლოს დარიცხვის დასრულების მომენტის განსაზღვრა (გადაწყვეტი-ლების) აღსრულებამდე პერიოდზე შითითებით გულისხმობს სწორედ სააღსრულებო ფურცელში სასამართლოს გადაწყვეტი-ლებით შეტანილი ცვლილებების კვალობაზე იმ სააღსრულებო წარმოების განხორციელებას, რომელიც შეჩერებული იქნა სწო-რედ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, რასაც შედეგობრივი თვალსაზრისით მივყავართ იქამდე, თითქოს პირგასამტებლოს დარიცხვის პერიოდი მოიცავდეს 2011 წლის 5 ნოემბრიდან წო-ტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე შეჩერე-ბული სააღსრულებო წარმოების განახლებამდე პერიოდსაც, უმართებულოა და არ გამომდინარეობს აღსრულების პროცესის მარეგულირებული სპეციალური ნორმატიული რეგულირებიდან. როგორც სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კა-ნონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი ადგენს და იმავდრო-ულად, აღსრულებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორ-განო აღნიშნავს (განჩინების პ: 12) განგრძობითი პირგასამტებ-ლოს დარიცხვის პერიოდში არ მოიაზრება გადაწყვეტილების აღ-სრულების შეჩერების პერიოდი – ანუ ის დროის მონაკვეთი, რო-დესაც სააღსრულებო წარმოების განხორციელება შეჩერებული იქნა სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩინა,

რომ სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 იანვრის განჩინება;
3. მ. ნ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და ნების შეცვლა**

### **განჩინება**

№ას-999-960-2016

26 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ქლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ნ. ნ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ საჯარო რეგსტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ბრძანების ბათილად

ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 6. 6-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საპელაციო წესით გაასაჩივრა 6. 6-მა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით 6. 6-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; 6. 6-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 18 მაისის №1429/კ ბრძანება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის – 6. 6-ისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; 6. 6-ის აღდგენილ იქნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტად; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 6. 6-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიურად ხელფასის სახით 2015 წლის 18 მაისიდან; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 6. 6-ის სასარგებლოდ დაეკისრა გამოუყენებელი შეცვლების კომპენსაციის სახით 200 ლარის გადახდა.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების, ასევე 2016 წლის 18 მარტის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივნისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დარჩა განუხლელად დაუშვებლობის გამო.

7. 2016 წლის 22 ივნისს 6. 6-მა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინებით 6. ნ-ის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

9. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მითითების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდებოდა იმის გამო, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივნისის №835 ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოწყობის სისტემაში სიღრმალის სარეგისტრაციო სამსახურს ამგვარი დასახელებით, ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული (ე.წ. ახალი) დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰე<sup>25</sup>“ პუნქტით სიღრმალის მუნიციპალიტეტში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურად შენარჩუნებული იქნა იგივე ტერიტორიული სამსახური ახალი დასახელებით – წნორის ფილიალი, რომელიც ექვემდებარებოდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ამავე (ე.წ. ახალი) დებულების 31-ე მუხლით ასრულებდა იმავე ფუნქციებს, რასაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოწყობის სისტემაში სიღრმალის სარეგისტრაციო სამსახური, არ დადგენილა განსხვავებული კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ ტერიტორიულ ორგანოში პირის შტატით გათვალისწინებულ სამსახურში მიღებისათვის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში – წნორის ფილიალი კვლავაც გათვალისწინებული იქნა შთავარი სპეციალისტის საშტატო თანამდებობა.

10. განმცხადებელი ითხოვდა მოსარჩევის აღდგენას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის წნორის ფილიალში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კი 6. 6-ი აღდგენილია ამჟამად გაუქმებულ სტრუქტურულ ერთეულში – სიღრმალის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღრმალის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტად. განმცხადებლის მითითებით, ორივე სტრუქტურული ერთეული ასრულებდა ერთსა და იმავე ფუნქციას და ფაქტიურად ისი-

ნი იდენტური სამსახურები იყო. ასევე ახალ სტრუქტურულ ქვე-დანაყოფსაც გააჩნდა იგივე თანამდებობა, რომელზეც დასაქ-მებული იყო ნ. ნ-ი.

11. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოებები დადგენილი უნდა იქნას დამოუკიდებელი სარჩე-ლის ფარგლებში. ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, ას-რულებს თუ არა ორივე (ძველი და ახალი) სამსახური ერთსა და იმავე ფუნქციას, არსებობს თუ არა განმცხადებლის მიერ მი-თითებული თანამდებობა, იდენტურია თუ არა გაუქმებული და ახალი სტრუქტურული ერთეულის მთავარი სპეციალისტის ფუნქციები უნდა შეფასდეს სათანადო მტკიცებულებების სა-ფუძველზე შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გზით. აღნიშნული კი წარმოადგენს სასამართლოს მსჯელობის საგანს ახალი სარჩელის ფარგლებში. პალატის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. ნ-ი აღდგენილია კონკრე-ტულ თანამდებობაზე და არა მის ტოლფას სამსახურში. ასეთ დროს აღსრულების წესის სახით მოსარჩელის აღდგენა ახალი სტრუქტურულ ერთეულში სცილდება სასამართლოს უფლება-მოსილების ფარგლებს. ამ შემთხვევაში იცვლება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც არღვევს კანონით დად-გენილ წესს.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელა-ციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა განცხადების დაკმა-ყოფილების საფუძველი.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. ნ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოე-ბებზე მითითებით:

14. სასამართლომ მოუწესარიგებული დატოვა და არ გადაწ-ყვიტა აპელანტის სამსახურში აღდგენის დამაბრკოლებელი გა-რემოებები იმ მოტივით, რომ საკითხი იმის, შესახებ ასრულებს თუ არა სააგენტოს ძველი და ახალი ტერიტორიული სამსახური ერთსა და იმავე ფუნქციებს ახალი სარჩელით უნდა დადგენი-ლიყო. კერძო საჩივრის ავტორი არ იზიარებს სასამართლოს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ის გარემოებები, რომ მოსარ-ჩელისთვის დაკისრებული უფლებამოსილებების შინაარსი, ფუნქცია-მოვალეობები და მოსარჩელის თანამდებობაზე და-კისრებული სამუშაოს სპეციფიკა აღარ არსებობს სააგენტოს სისტემასა და მისსავე წნორის ფილიალში, პროცესის მთელ პე-რიოდში არც კი მიუთითებია მოპასუხეს, ასეთი გარემოება მას სადაცოდ არ გაუქდია საქმეზე, საკასაციო სასამართლოში საქ-მის წარმოების პერიოდშიც კი. ეს ბუნებრივია, რადგან სსიპ სა-

ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოწყობის სისტემაში სიღნალის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი-სათვის გათვალისწინებული ფუნქციები კვლავ არსებობს საა-გენტოს წნორის ფილალში. ამდენად, მოპასუხეს არც უარყყ-ვია და არც დაუდასტურებია, რომ ის სამუშაო, რომელსაც ას-რულებდა მოსარჩევე, აღარ არსებობს.

15. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, შრომით-სამარ-თლებრივი უფლებამოსილებების შინაარსი, რომელთა შესრუ-ლებაც ევალება თანამდებობის პირს თავისი შრომითი საქმია-ნობის პროცესში მნიშვნელოვანია „დაპირისპირებული თანამ-დებობების“ შედარებისა და იდენტიფიცირებისთვის. ამ მიმარ-თებით საყურადღებოა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (საქ-მე №ძს-718-704 (კ-7ქს-14), სადაც საკასაციო სასამართლო იზი-არებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან მიმარ-თებაში, რომ ძველი და ახალი თანამდებობის იდენტიფიცირე-ბის დროს ძირითადი განმსაზღვრელია ის, თუ რა ადგილი უჭი-რავს მას ორგანოს სისტემაში, თუ ვინ ნიშნავს და ათავისუფ-ლებს თანამდებობაზე პირს. მნიშვნელოვანია ასევე სუბორდი-ნაციული პირის მმართველობის პირობებში ვის წინაშეა ანგა-რიძვალდებული იგი და ასევე იმ ფუნქციების შინაარსი, რომელ-თა შესრულებაც ევალება თანამდებობის პირს.

16. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ორგანომ საკითხის გადაწყვეტილისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოე-ბა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე აღდგე-ნა თავისთავში გულისხმობს ზოგადად პირვანდელი მდგომა-რეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის გათავისუფლდა, თუმცა საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეც-ვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისთვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერ-თეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, რომ ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვა-ლეობები, რომ ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტიკურები უნდა იქნას დაკმაყოფილებული პირის მი-ერ, ხოლო ის გარემოება, რომ პირის მიერ დაკავებული თანამ-დებობა ამგვარი სახელწოდებით აღარ არსებობს, არ წარმოად-გენს საფუძვლს ვარაუდისთვის, რომ ფუნქციურად სხვა საშ-ტატო ერთეული, რომელიც რეორგანიზაციის შემდგომ ჩამოყა-ლიბდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურაში, იმავე სახის უფლება-მოვალეობებით არ არის აღჭურვილი.

17. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, მიუხედავად სახელწოდების გადარქემვისა, ე.წ. ძველი თანამდებობა და დღეს არსებული თანამდებობა წარმოადგენს ერთსა და იმავე თანამდებობას, ერთი და იგივე შინაარსის საშტატო ერთეულს, რაც ეფუძნება ძველი და ახალი დებულებების საფუძვლიან შედარებას. რაც შეეხება იმ ფუნქციებს, რომლებიც ეკისრება ფილიალის მთავარ სპეციალისტს, მოწესრიგების ძირითადი ტვირთი მოდის სააგენტოზე.

18. შუამდგომლობის გადაწყვეტილისას, ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების განსაკუთრებული და გადაუდებელი მიზნებისთვის მეორეხარისხოვანია შესაძარებელი საშტატო ერთეულებისათვის სახელწოდების შეცვლა, ახალი ფუნქციების დამატება ან შეკვეცა, თანამდებობრივი სარგოს გაზრდა ან შემცირება, რადგან ისინი ვერ შეცვლიან თანამდებობის ფუნქციურ მიზნობრივ არსს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განჩინება საქმეზე №3ბ/764-14).

19. ამრიგად, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, ხსენებული ყველა საკითხი დადებითად სცემს პასუხს ამ ორი დაპირისპირებული თანამდებობის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შედარებისას და მათ შორის განსხვავება არ მოიძებნება. ამასთან, ვინაიდან მხარეთა მონანილეობით საქმის არსებითი განხილვისას სადაც არ გამხდარა მოსარჩელის უფლებამოსილებების შინაარსი, მათი ფუნქცია-მოვალეობები და მასზე დაკისრებული სამუშაოს სპეციფიკა. ხსენებული სპეციფიკის გათვალისწინებით მოსარჩელის აღდგენა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მოაზრებული უნდა იქნას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის – წნორის ფილიალის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

20. კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე (საქმე №ბს-476-465 (კ-13), სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღსრულების პროცესი მოქნილობით უნდა ხასიათდებოდეს და უსაფუძვლო დაბრკოლებებს არ უნდა უქმნიდეს გადაწყვეტილებას აღსრულების პროცესში, რა დროსაც ყველა საპროცესო მოქმედება უნდა ემსახურებოდეს სწრაფი და ეფექტური აღსრულების განხორციელების მიზანს და არა აღსრულების გაჭიანურებას. სააღსრულებო სამართლის უმთავრეს პრინციპებს კი სწრაფი, ეფექტური და რაც მთავარია, კანონშესაბამისი აღსრულების განხორციელება წარმოადგენს. სააღსრულებო სისტემას წაეყენება ეფექტური აღსრულების მოთხოვნა იმდენად,

რამდენადაც კრედიტორმა ისედაც დიდი დრო დაკარგა უფლების აღსადგენად და მოთხოვნის აღსასრულებლად. ამასთან, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე უარის თქმის შესახებ საპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი განჩინების მიღებით შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

22. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნარმოდგენილი კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

23. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ზორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

24. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერება.

25. საქმის მასალებით დადგენილია, რომ განმცხადებლის სასარგებლოდ გამოტანილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების (რომლის შესაბამისად, 6-ი აღდგენილ იქნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-

გენტოს სილნალის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტად) აღსრულება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უარი განაცხადა სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის – წნორის ფილიალის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე განმცხადებლის აღდგენაზე სააგენტოს მოწყობის სისტემაში სილნალის სარეგისტრაციო სამსახურის არარსებობის გამო. შესაბამისად, განმცხადებელმა მიმართა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მოთხოვნით. დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და განმარტა, რომ ფაქტობრივი გარემოები იმის შესახებ ასრულებს თუ არა ორივე (ძველი და ახალი) სამსახური ერთსა და იმავე ფუნქციას, არსებობს თუ არა და იდენტურია თუ არა განმცხადებლის მიერ მითითებული თანამდებობა, გაუქმებული და ახალი სტრუქტურული ერთეულის მთავარი სპეციალისტის ფუნქციები, უნდა შეფასდეს ახალი სარჩელის ფარგლებში. ასეთ დროს აღსრულების წესის სახით მოსარჩელის აღდგენა ახალ სტრუქტურულ ერთეულში სცილდება სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს.

26. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და აღნიშნავს შემდეგას:

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეთა განცხადებები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეცნობება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.

28. მითითებული ნორმა, ემსახურება რა გადაწყვეტილების აღსრულებას, გულისხმობს სასამართლოს კომპეტენციას, გამოტანილი გადაწყვეტილების ფარგლებში იმსჯელოს მისი აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლაზე. ნორმის შინაარსიდან ნათლად იკვეთება კანონის დათქმა, რომ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს უკვე დადგენილი აღსრულების საშუალება და წესი.

29. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, თავად სააღსრულებო სისტემის არსებობის მიზანი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გან-

საზღვრული, აღსრულებას დაქვემდებრებული აქტების სისრულეში მოყვანაა. სააღსრულებო სამართლის უმთავრეს პრინციპს კი სწრაფი, ეფექტური და რაც უმთავრესია, კანონშესაბამისი აღსრულების განხორციელება წარმოადგენს. სააღსრულებო სისტემას წაეყინება ეფექტური აღსრულების მოთხოვნა იმდენად, რამდენადაც კრედიტორმა ისედაც დიდი დრო დაკარგა უფლების აღსაძგენად და მოთხოვნის აღსასრულებლად... აღსრულების პროცესი მოქნილობით უნდა ხსიათდებოდეს და უსაფუძვლო დაბრკოლებებს არ უნდა ქმნიდეს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში (იხ. სუსგ №ბს-476-464(კ-13), 24 აპრილი, 2014 წელი).

30. ეროვნული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების სახელმწიფოს მიერ აღსრულებლობის ან აღსრულების გაჭიანურების გამო არაერთი საჩივარია განხილული სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. გადაწყვეტილებებში ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, რომელიც კონვენციის არცერთ დებულებაში არ არის მოცემული, კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებული იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 (§1) მუხლის გაგებით (იხ. Hornsby c. Grèce, 19 mars 1997, §40, Recueil 1997-II; აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ, №40765/02, §37, 28 ნოემბერი, 2006 წელი). სასამართლოს განცხადებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ სასამართლოს საბოლოო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულებელი დარჩენილოყო ერთი მხარის საზიანოდ. გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებით, მაგრამ ზიანს არ უნდა აყენებდეს მე-6 მუხლით დაცული უფლების არს (იხ. დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ, №8252/08, §43, 12 ივნისი, 2012 წელი; შპს „ამატ. ჯი“ და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №2507/03, §47, 27 სექტემბერი, 2005 წელი; შპს „იზა“ და მაკრანიძე საქართველოს წინააღმდეგ, №28537/02, §42, 27 დეკემბერი, 2005 წელი). მოსარჩელე მხარის ეფექტური დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს აღმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას აღსრულობ შიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება (იხ. Mutishev and Others v. Bulgaria, №18967/03,

§129, 3 December 2009). თუ ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებენ ან ვერ ახერხებენ ან კიდევ აჭიანურებენ ამ ვალდებულების შესრულებას, მოსარჩევე მხარისთვის სამართალწარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებულ გარანტიას აზრი ეკარგება (იხ. Antonetto v. Italy, №15918/89, §28, 20 July 2000). ვინაიდან აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელი წანილია (იხ. Bourdov c. Russie, №59498/00, §34, CEDH 2002-III), პირის უფლება სასამართლო განხილვაზე, „სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა“ განსაზღვრისთვის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების ხელმისაწვდომობათან ერთად (იხ. Kreuz c. Pologne (no 1), №28249/95, §§ 53 et 54, CEDH, 2001-VI), თანაბრად იცავს ამ პირის უფლებას სააღსრულებო წარმოებათა ხელმისაწვდომობაზეც (იხ. mutatis mutandis, Manoilescu et Dobrescu c. Roumanie et Russie (dec.), №60861/00, CEDH 2005-VI), ანუ უფლებას ამვგარი პროცედურის დაწყებაზე.

31. ზემოაღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით სტრასბურგის სასამართლო აღგნეს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო ადგილი აქვს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლების დარღვევას.

32. ამრიგად, ეფექტური აღსრულების განხორციელების აუცილებლობა დადგენილია როგორც ეროვნული, ასევე ევროპული სასამართლო პრაქტიკით და იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

33. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებისას განმცხადებლის მოთხოვნა არ დააგმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მისი მოსაზრებით, განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ ასრულებს თუ არა ორივე (ძველი და ახალი) სამსახური ერთსა და იმავე ფუნქციას, არსებობს თუ არა და იდენტურია თუ არა განმცხადებლის მიერ მითითებული თანამდებობა, გაუქმებული და ახალი სტრუქტურული ერთეულის მთავარი სპეციალისტის ფუნქციები, უნდა შეფასდეს ახალი სარჩელის ფარგლებში.

34. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხების დამოუკიდებელი სარჩელის პირობებში განხილვა-გადაწყვეტის შემთხვევაში საგრძნობლად იზღუდება ეფექტი-ანი სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება, ვინაიდან მხარეს ისედაც დიდი დრო აქვს დახარჯული საკუთარი დარღვეუ-

ლი უფლების აღსაადგენად (კერძოდ, სარჩელი გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 24 ივნისს, სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 29 ივნისს და იგი დღემდე არ აღსრულებულა, ამასთან, საქმე ეხება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას – შრომის თავისუფლებას, რომლის დარღვევის გამოც მიმართა მან სასამართლოს) და დამატებითი სარჩელის აღძვრა აზრს დაუკარგავს სამართალწარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებულ გარანტიას.

35. გარდა ამისა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ დანესხებული შეზღუდვებით (კონკრეტულ შემთხვევაში აღსრულების საშუალების წესის შეცვლაზე უარის თქმით) არ დაირღვევა ან შემცირდება პირის უფლება სასამართლო ხელმისაწვდომობაზე იმგვარად ან ისეთი მასშტაბით, რომ უფლების არსი დაირღვეს. შეზღუდვა ვერ მოვა შესაბამისობაში მე-6 მუხლთან, თუ ის არ მოემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და თუ არ იარსებებს პროპორციულობის გონიერული კავშირი დასახულ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის (იხ. Waite et Kennedy c. Allemagne [GC], №26083/94, §59, CEDH 1999-I).

36. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის (გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა) მიზანია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, რა დროსაც თანაბრად უნდა იქნას დაცული სამართალწარმოების მონაწილე ორივე მხარის ინტერესი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა სასამართლო უნდა განახორციელოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობის შეფასების შედეგად.

37. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის შესახებ ნ. ნ-ის განცხადების ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინება და საქმე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის შესახებ 6. 6-ის განცხადების ხელახლა განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 7. გადაცევატილების აღსრულების აღსრულება

### გადაცევატილების აღსრულების უზრუნველყოფა

#### განხილვა

№ას-1054-1015-2016

30 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების ფაქტის აღიარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

##### სასარჩევლო მოთხოვნა:

1. შპს „მ-იმ“ (შემდგომში – მოსარჩევე) სარჩევი აღძრა სასამართლოში შპს „ქ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა 2014 წლის 10 ნოემბრის პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის ცვლილებაზე უარის თქმის ნაწილში, ასევე, 2014 წლის 10 ნოემბრის კრებაზე მოსარჩევის გამოთქმული თანხმობის საფუძველზე, დირექტორთა საბჭოს წევრობიდან გათავისუფლებულად იქნეს (ცნობილი ა-ი და ა-ი და ასანაცვლოდ კომპანიის ახალ დირექტორებად დანიშნულად იქნეს ცნობილი ნ-ი და კ-ი, ხოლო კომპანიის ფინანსური დირექტორის უფლება-მოსილება მინიჭებულად იქნეს ცნობილი რ-ისათვის.

##### სარჩევის საფუძვლები:

2. მოსარჩევის განმარტებით, მოპასუხე საზოგადოების 45% წილის მფლობელი პარტნიორია, ხოლო მესამე პირები დამოუკიდებელი მითხოვნის გარეშე – შპს „კ-ა“, ა-ი და შპს „თ.“ (შემდგომში – მესამე პირები) არიან 5,43%, 5% და 44,57% წილის მფლობელი პარტნიორები. კომპანიის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს კოლეგიური ორგანო – დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება 6 წევრისაგან. წესდების მიხედვით, სამი წევრი ინიშნება შპს „თ-ისა“ და „კ-ას“ მიერ, ხოლო სამი წევრი – მოსარჩევის მიერ.

3. პარტნიორთა რიგგარეშე კრებამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს ორი ახალი წევრის დანიშვნის თაობაზე, რაც ენინააღმდეგება კომპანიის მოქმედ წესდებას და არღვევს პარტნიორთა წესდებით უზრუნველყოფილ უფლებას.

#### **მოპასუხის პოზიცია:**

4. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხებ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

#### **განმცხადებლის მოთხოვნა**

6. მოსარჩელებ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, აეკრძალოს მოპასუხესა და მის პარტნიორებს მოპასუხე საზოგადოების წესდებაში წებისმიერი ისეთი გადაწყვეტილების მიღებისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ისეთი ცვლილების განხორციელების უფლებამოსილება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს: 1. საზოგადოების მმართველობითი ორგანოების სტრუქტურასა და დაკომპლექტების წესზე; 2. დირექტორთა საბჭოს წევრების რაოდენობაზე; 3. დირექტორთა საბჭოსა და პარტნიორთა კრების უფლებამოსილებებზე; 4. საზოგადოების მმართველი ორგანოების მიერ წესდებით დადგენილი გადაწყვეტილების მიღების წესასა და გადაწყვეტილების მისაღებად წესდებით დადგენილ საჭირო ხმათა უმრავლესობის პროცენტულობაზე.

#### **სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განჩინებით განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაზეც მოსარჩელებ შეიტანა საჩივარი.

#### **სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 აპრილის განჩინებით მოსარჩელის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განჩინებით განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაზეც მოსარჩელებ შეიტანა საჩივარი.

ბერვლის განჩინება და მოსარჩელის განცხადება გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხესა და მის პარტნიორებს აეკრძალათ მოპასუხე საზოგადოების წესდებაში ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილების მიღება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტომი ისეთი ცვლილების განხორციელება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოხდინოს: 1. მოპასუხე საზოგადოების მმართველობითი ორგანოების სტრუქტურასა და დაკომპლექტების წესზე; 2. დირექტორთა საბჭოს წევრების რაოდენობაზე; 3. დირექტორთა საბჭოსა და პარტნიორთა კრების უფლებამოსილებებზე; 4. საზოგადოების მმართველი ორგანოების მიერ წესდებით დადგენილი გადაწყვეტილების მისაღებად წესდებით დადგენილ საჭირო ხმათა უმრავლესობის პროცენტულობაზე.

#### **საჩივრის ავტორის მოთხოვნა და მოტივები:**

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

10. მხარემ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატა გასცდა საკუთარ კომპეტენციას, როდესაც შეიქრა პარტნიორთა კრების უფლებამოსილების სფეროში და აუკრძალა რიგი გადაწყვეტილების მიღება.

11. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მოპასუხის მიერ სააპელაციო პალატისათვის წარდგენილი 2007 წლის 5 სექტემბრის პარტნიორთა ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მოპასუხე საზოგადოების რეგისტრაციამდე. აღნიშნული ხელშეკრულების 3.04 მუხლი არეგულირებს, თუ როგორ უნდა დაკომპლექტდეს კომპანიის დირექტორთა საბჭო, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: კომპანიის დირექტორთა საბჭოს (შემდგომში ასევე „დ-ს“) უნდა ჰყავდეს 6 წევრი: კომპანიის რეგისტრირებული დირექტორები იქნებიან ბ-ნი მ-ი (მხარე „ა-ს“ წარმომადგენელი) და ბ-ნი ა-ი (მხარე „ბ-ს“ წარმომადგენელი). წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიენიჭება ბ-ნ მ-ს. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპანიის წესდებით კომპანიის ანგარიშთა მართვის უფლებამოსილება მიენიჭოს ორივე დირექტორს ერთობლივად. დირექტორების გარდა, დირექტორთა საბჭო შედგება ა-ის ერთი წარმომადგენლისაგან, „მ-ს“ ერთი წარმომადგენლისაგან, შპს „კ-ს“ ერთი წარმომადგენლისაგან (შპს „კ.“ დირექტორი) და შპს „თ-ს“ ერთი წარმომადგენლისაგან (შპს „თ-ს“ დირექტორი). მხარეები წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად, თანხმობას აცხა-

დებენ, პარტნიორთა კრებაზე გამოიყენონ თავიანთი ხმის უფლება „მხარე ა-ს“ და „მხარე ბ-ს“ მიერ დასახელებული პირების არჩევის მიზნით“.

12. მხარემ განმარტა, რომ ხელშეკრულების 3.04 პუნქტის თანახმად, ა. გ-ი პირადად შედის დირექტორთა საბჭოში და ამავდროულად მას უფლება აქვს, ჰყავდეს კიდევ ერთი წარმომადგენელი დირექტორთა საბჭოში. გარდა ამისა, ხელშეკრულების 3.03 (ბ) პუნქტის შესაბამისად, ყველა სახის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ხმათა 55%-ით და არა 60%-ით, როგორც ეს წესდებაშია ნათევამი.

13. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ხელშეკრულების 6.10 მუხლის მიხედვით, კომპანიის წესდებასა და ხელშეკრულებას შორის შეუსაბამობისას უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულებას.

14. ამდენად, მხარემ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება რიგორულ კანონს, ისე მოპასუხე საზოგადოების პარტნიორთა 2007 წლის 5 სექტემბრის ხელშეკრულებას.

**სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი არ დაკამაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განსახილველად შემდეგი მოტივებით:

16. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 372-ე, 271-ე მუხლების, 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი უფლები იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანნილად გაძნელდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერი ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამდღვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს. სარ-

ჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებების წარდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარებს არც სსსკ-ის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან.

17. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

18. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი პალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის, მთავარი პრინციპი – აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.

19. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განვირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამასთან, უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონიერი პალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.

20. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ რეალ-

ბის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე, შესაძლოა, არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდეს და საკუთარი ქონება გაასხვისოს, ფინანსური სახსრები განკარგოს, გადამალოს, რის შედეგადაც მოსარჩელის უფლება განუხორციელებლი დარჩება.

21. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე, მოორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას.

22. სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია განმარტოს, რომ უფლების დროებით შეზღუდვის დროსაც მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.

23. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ განჩინებაში გაიზიარა საჩივრის ავტორის არგუმენტები და განმარტა, რომ 2016 წლის 8 თებერვლის კრების ოქმი ცხადყოფს დირექტორთა საბჭოს კომპლექტაციისა და წესდებაში ცვლილებების შეტანის მცდელობას, რამაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას შეიძლება შეუშალოს ხელი. ამგვარი დასკვნის საფუძველია ის ფაქტი, რომ 2016 წლის 8 თებერვალს მოწვეულ იქნა მოპასუხე საზოგადოების პარტნიორთა კრება, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს კომპლექტაციაში პერსონალური და რაოდენობრივი ცვლილების შეტანისა და წესდებაში ცვლილების შეტანის წესის თაობაზე მაშინ, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით, 2014 წლის 10 ნოემბრის კრებაზე მოსარჩელის გამოთქმული თანხმობის საფუძველზე დირექტორთა საბჭოს წევრობიდან გათავისუფლებულად იქნა ცნობილი ა-ი და ა-ი და სანაცვლოდ კომპანიის ახალ დირექტორებად დანიშნულად იქნენ ცნობილნი ნ-ი და კ-ი, ხოლო კომპანიის ფინანსური დირექტორის უფლებამოსილება მინიჭებულად იქნა ცნობილი რ-ისათვის. დირექტორთა საბჭოს ამგვარი კომპლექტაცია სწორედაც, რომ პირველი ინსტანციის მიერ წესდების განმარტებას ეფუძნება, შესაბამისად, ერთი მხრივ, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება წესდების განმარტების გზით დირექტორთა საბჭოს კომპლექტაციის თაობაზე და, მეორე მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, დირექტორთა საბჭოს პერსონალური და რაოდენობრივი კომპლექტა-

ციის შესახებ და აღნიშნულ კომპლექტაციასთან დაკავშირებით წესდებაში ცვლილების შეტანის წესზე, რაც რაღა თქმა უნდა, წინააღმდეგობრივია, და ემსახურება მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშეშლას.

24. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოდგენილ საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი 2007 წლის 5 სექტემბრის ხელშეკრულება საქმეზე არსებითი მსჯელობის საგანია, მას შემდეგ, რაც აღნიშნული მტკიცებულება დასაშვებად იქნება მიჩნეული სასამართლოს მიერ.

25. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობები არ არსებობს და მიზანშეწონილია არსებული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

26. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

27. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის მხრიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის კანონიერება.

28. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომლის თანახმად დაკმაყოფილდა მოსარჩელის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

29. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მხარეებს ანიჭებს საპროცესო უფლებამოსილებას, მოახდინონ მათ სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფა, კერძოდ:

30. სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზ-

რუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

31. დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოთხოვოს ჯერ კიდევ აღსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

32. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტის, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვანად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

33. ამდენად, დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ საკუთრების ნებასმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხიბდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის

უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

34. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბეჭდები გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე.

35. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნეს ცნობილი ნაწილობრივ 2014 წლის 10 ნოემბრის პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმი დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის ცვლილებაზე უარის თქმის ნაწილში, 2014 წლის 10 ნოემბრის კრებაზე მოსარჩელის გამოთქმული თანხმობის საფუძველზე დირექტორთა საბჭოს წევრობიდან გათავისუფლებულად იქნა ცნობილი ა-ი და ა-ი და სანაცვლოდ კომპანიის ახალ დირექტორებად დანიშნულად იქნენ ცნობილი ნ-ი და კ-ი, ხოლო კომპანიის ფინანსური დირექტორის უფლებამოსილება მინიჭებულად იქნა ცნობილი რ-ისათვის.

36. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაკმაყოფილების პირობებში საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

37. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ 2016 წლის 8 თებერვლის კრების ოქმი მოწმობს დირექტორთა საბჭოს კომპლექტაციისა და წესდებაში ცვლილების შეტანის მცდელობას, რამაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას შეიძლება შეუძლოს ხელი.

38. სააპელაციო პალატამ მართებულად გაამახვილა ყურადღება 2016 წლის 8 თებერვალს მოწვეულ მოპასუხე საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს კომპლექტაციაში პერსონალური და რაოდენობრივი ცვლილების შეტანისა და წესდებაში ცვლილების შეტანის წესის თაობაზე.

39. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი ზემოთ მოხმობილი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მოსაზ-

რება, რომ დირექტორთა საბჭოს კომპლექტაცია გამომდინარეობს პირველი ინსტანციის მიერ წესდების განმარტებიდან.

40. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება და სამომავლოდ მისი აღსრულებისათვის დაპრკოლების შემქმნელია სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს პერსონალური და რაოდენობრივი კომპლექტაციის შესახებ და აღნიშნულ კომპლექტაციასთან დაკავშირებით წესდებაში ცვლილების შეტანის წესზე.

41. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება საჩივრის არგუმენტს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფაზე მსჯელობისას სააპელაციო პალატას უნდა შეეფასებინა მოპასუხის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი 2007 წლის 5 სექტემბრის „პარტნიორთა ხელშეკრულება“.

42. დასაბუთებულია სააპელაციო პალატის პოზიცია, რომ მითოგებული ხელშეკრულების შეფასება, უპირველესად, დამოკიდებულია მის დასამცემ მტკიცებულებად ცნობაზე და წარმოადგენს დავის არსებითად განხილვის საგანს.

43. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებები უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ქ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 აპრილისა და 24 ოქტომბრის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

# გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

## განხილვა

№ას-450-422-2017

11 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

### აღნერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...-ს“ (შემდეგში: მოვალე ან მომჩივანი) მ. მ-ის (შემდეგში: კრედიტორი ან განმცხადებელი) სასარგებლოდ დაეკისრა 5000 აშშ დოლარის, 4148,86 ლარის, 460,92 ლარის, 500 ლარისა და 31 ლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით კრედიტორის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შედეგად კი, მოვალეს დამატებით, დაეკისრა 7500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა და 840 ლარისა და 8 თეთრის გადახდა.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით კრედიტორის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა და ჯამში, 12500 აშშ დოლარისა და 5980,66 ლარის ოდენობით ყადაღა დაედო მოვალის საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხას საქართველოს ყველა კომერციულ ბანკში [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 271-ე; 191-ე და 198-ე მუხლები].

3. 2017 წლის 27 თებერვლის სააპელაციო სასამართლოს მიმართა კრედიტორმა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით მოვალის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების მოთხოვნით 15 000 აშშ დოლარის ფარგლებში.

4. განმცხადებელმა მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ მოვალის მიერ გადაწყვეტილების ზემდგომ (საკასაციო ინსტანცია) გასაჩივრების უფლების გამოყენებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა და შესაბამისად, აღსრულების დაწყება გადაიდება, ამ დროის მანძილზე კი, მოვალემ შესაძლოა ხელი შეუშალოს გადაწყვეტილებით

დამდგარი იურდიული შედეგის აღსრულებას, იმგვარად, რომ საბანკო ანგარიშიდან გაიტანოს თანხა, მოახდინოს საწარმოს ლიკვიდაცია და ა.შ.

5. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოვალეს შეეძლო საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები გაეხარჯა. ამ შემთხვევაში, მას ქონება აღარ დარჩებოდა და არარსებულ ქონებაზე აღსრულების მიქცევაც შეუძლებელი იქნებოდა. იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოვალეს რაომე სახის ლიკვიდური ქონება გააჩნდა, საქმეში წარმოდგენილი არ იყო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაქმაყოფილების საფუძველი.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინების გაუქმების, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნით საჩივარი წარადგინა მოვალემ, რომელიც შემდეგნაირად დასაბუთა:

7. მოვალე მოლვანეობს ბიზნეს სექტორში და წარმატებით ოპერირებს რეგისტრაციის მომენტიდან და ამ დროიდან კომპანიის საქმიანი რეპუტაცია არასდროს დაყენებულა ეჭვეჭვეშ. მომჩივანისათვის გაუგებარია თუ რამ ჩამოუყალიბა სასამართლოს იმგვარი რწმენა, რომ გადაწყვეტილება აუცილებლად დაკანონდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. კომპანიაში მუშაობს 8 ადამიანი და ძირითადად ახორციელებს საქონლის იმპორტს და გასაღებას საქართველოში, კერძოდ – ქუთაისში და თბილისში იჯარით აღებული მაღაზიისა და საწყობის მეშვეობით. ყოველთვიურად დასაქმებულთა სახელფასო ფონდი მოიცავს 4608 ლარს, ხოლო იჯარის საფასური კი 2102 ლარი. მიმდინარე მარტის თვეში კომპანიას გააჩნია სხვადასხვა სახის ფინანსური ვალდებულებები, არა მარტი, შემოსავლების სამსახურის, არამედ კერძო იურიდიული პირების წინაშე. ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონტეინერი დაიტვირთა, თუმცა გადასახდელი თანხა შეადგენს 10838,35 ევროს და 9451,73 ევროს და თუკი 2 კვირის განმავლობაში არ მოხდება აღნიშნული თანხის გადახდა, კომპანიას დამატებით, დაეკისრება 5000 ევრო. შემდგომში, საქართველოში საქონლის ტრანსპორტირებას მოსდევს განბაჟება, რაც დამატებითი ხარჯია. მოვალის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე ყადალის დადებით ვერ მოხერხდება ხელფასების და საიჯარო ქირების გასტუმრება და შეკვეთილი იმპორტირებული დაყოვნდება და დაეკისრება დამატებითი ფულადი ჯარიმები.

8. იმავდროულად, მომჩივანი ალინიშნავს, რომ კანონი იცავს არამარტო მოსარჩელის, არამედ მოპასუხის ინტერესებსაც. ამითომ, პირს შეიძლება დაეკისროს იმ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება მიადგეს მოპასუხეს [სსსკ-ის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილი]. ასეთი სახის უზრუნველყოფის საშუალება ფულადი თანხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა [სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილი]. შესაბამისად, განმცხადებელს უნდა დაევალოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანა – დაყადაღებული თანხის ფარგლებში.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2017 წლის 27 მარტის განჩინებით მოვალის საჩივარი არ დაემაყოფილდა. მას უარი ეთქვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზეც.

10. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად და საჩივრის განსახილველად, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 271-ე მუხლით და განმარტა, რომ იგი უფლებამოსილი იყო მოეხდინა იმ გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფა, რომლებიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული არ ყოფილა.

11. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მომჩივანის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშეშლის რისკი არ არსებობდა და აღნიშნა, რომ არც საჩივარს თანდართული მასალებითა და არც შემდგომში ნარმოდგენილი საბუთებით დასტურდებოდა, რომ მოვალეს გააჩნდა ლიკვიდური ქონება, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა აღსრულების მიქცევა. არც ის გარემოება ირკვეოდა, რომ მოვალეს რაიმე უძრავი ნივთი გააჩნდა საკუთრების ან სარგებლობის (იჯარა) უფლებით.

12. მომჩივანის განმარტებით, იგი ახდენდა „იმპორტირებული საქონლის“ რეალიზაციას, თუმცა რა სახისა და ღირებულების ნივთებს ფლობდა იგი ამჟამად, ნარმოადგენდა თუ არა მათ მესაკუთრეს და შესაძლებელი იყო თუ არა მათზე უზრუნველყოფის მიქცევა, მომჩივანს არც მიუთითებია და არც დაუმტკიცებია. პალატის განმარტებით, საჩივარზე თანდართულ ინვოისებში ჩამოთვლილი ქონება, რომელიც მომჩივანს ჯერ არ მიუღია, მას არ ეკუთვნის, ამიტომ, გადაწყვეტილების აღსასრულებლად არც ისინი გამოდგება.

13. ამ ვითარებაში, პალატის აზრით, მოვალის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხა არის ერთადერთი აქტივი, საიდანაც, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, მისი აღსრულება იქნება შესაძლებელი. მით უფრო, საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა და მისი გახარჯვა მომჩივანს დაუბრულებლად და ნებისმიერ დროს შეუძლია.

14. მომჩივანის მოთხოვნა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თობაზე არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ მომჩივანი აღნიშნავდა, რომ 12500 აშშ დოლარსა და 5980,66 ლარზე ყადაღის დადებით საქმიანობას, პრაქტიკულად, შეწყვეტდა, თან უთითებდა, რომ წარმოადგენდა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულ საწარმოს და გააჩნია „ოქროს რეიტინგი“. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, „ოქროს რეიტინგის“ მქონე კომპანიის საქმიანობას დაახლოებით 15000 აშშ დოლარზე ყადაღის დადება არსებითად ვერ შეაფერხებდა. გარდა ამისა, საჩივარს თანდართული ინვოისებიდან ირკვეოდა, რომ უზრუნველყოფის ონბისძიების გამოყენების შემდეგ, მოვალეობის 20000 ევროზე მეტი ლირებულების პროდუქცია შეუკვეთა, რომლის ფასიც მას, როგორც ჩანს, არ გადაუხდია. მომჩივანის მიერ წარმოდგენილ ცნობაში კი მითითებული იყო, რომ 2017 წლის იანვარ-თებერვალში მისმა ჯამურმა ბრუნვამ შეადგინა 40739,59 ლარი. აქედან დგინდებოდა, რომ ანგარიშებზე ყადაღის დადების შემდეგ მოვალეს დარჩება საკმარისი თანხა, როგორც ვალდებულებების შესასრულებლად, ასევე სამენარმეო საქმიანობის გასაგრძელებლადაც.

15. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი ანდა არაქონებრივი დანაკლისი, რომელსაც უფლებამოსილი პირი მოვალის არამართლზომიერი ქმედებით განიცდის. მომჩივანის მიერ გადასახდელი ხელფასი და იჯარის ქირა არის მისი არსებული ვალდებულებები მესამე პირების მიმართ და მომჩივანმა ისინი უზრუნველყოფის ონბისძიებისაგან დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს. ამიტომ, ეს ვალდებულება შეუძლებელია ზიანად ჩაითვალოს, ხოლო მიმწოდებლის სასარგებლოდ პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულების დამადასტურებელი მტკიცებულებები კი მომჩივანს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთე-

ბის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

17. საკასაციო პალატა საჩივრის ფარგლებში იმსჯელებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინების კანონიერებაზე, რომლითაც განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა და ჯამში, 12500 აშშ დოლარისა და 5980,66 ლარის ოდენობით ყადაღა დაედო მომჩივანის საბანეო ანგარიშებზე არსებულ თანხას საქართველოს ყველა კომერციულ ბანკში.

18. სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

19. სსსკ-ის 271-ე მუხლის შესაბამისად (საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებულია ამ მუხლის მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქს), სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ამავე კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. მაშასადამე, სსსკ-ის 271-ე მუხლის ბლანკეტური დათქმის პირობებში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად სასამართლო ხელმძღვანელობს სარჩელის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საპროცესო ნორმებით.

20. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი და მისი განხორციელების საპროცესო ნინაპირობები განმარტებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაში. ერთ-ერთ განჩინებაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძლად უდევს ვარაუდი, რომ მიღებული სასამართლო გადაწყვე-

ტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩევესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადგევატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს“. იხ., №ას-859-825-2016, 28 ნოემბერი, 2016 წელი.

21. სსს-ის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმასაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსს-ის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილი იქნას გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე, სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალნარმოება ფორმალური ხასათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ

სახედ გვევლინება“ (იხ. სუსგ №ას-69-63-2015, 19.03.2015).

22. განსახილველ შემთხვევაში, დაფგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 5000 აშშ დოლარის, 4148,86 ლარის, 460,92 ლარის, 500 ლარისა და 31 ლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით კრედიტორის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შედეგად კი, მოვალეს დამატებით, დაეკისრა 7500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა და 840 ლარისა და 8 თეთრის გადახდა (განჩინების პ: 1). გადაწყვეტილებით დამდგარი იურიდიული შედეგის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, მისი ალსრულების დაბრკოლების ანდა შეუძლებლობის თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებით დამდგარი იურიდიული შედეგის ფარგლებში, სააპელაციო პალატამ გამოიყენა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება [სსსკ-ის 271-ე, 191-ე 198-ე მუხლები] (განჩინების პ: 2).

23. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მისი შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის კანონიერი ინტერესის დაცულობისათვის საჭირო იყო მოვალის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება, ხოლო მომჩინენის პრეტენზია, რომ არ არსებობდა ვარაუდის საფუძველი იმასთან დაკავშირებით, მოვალის მხრიდან განხორციელდებოდა რაიმე ღონისძიებები გადაწყვეტილების აღსრულების ხელშესაძლებლად, საფუძვლად ვერ დაედება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას. მოვალის ამგვარი პოზიცია მართალია პატივსაცემია, თუმცა, განმცხადებლის დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს უფლებაა და იმავდროულად, ვალდებულებაც ლეგიტიმურ საფუძველზე და გონივრულ ფარგლებში განახორციელოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება [სსსკ-ის 271-ე, 191-ე 198-ე მუხლები].

24. ამასთან, მომჩინენის არგუმენტი, რომ ლეგიტიმურ საფუძველსაა მოკლებული სასამართლოს იმგვარი მსჯელობა, რომ კანონიერ ძალაში შევა კრედიტორის მატერიალური მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება, ვერ იქნება გაზიარებული მომჩინენის მიერვე მითითებულ კონტექსტში (განჩინების პ: 7). საკასაციო პალატა იზიარებს მომჩინენის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ძირითადი გადაწყვეტილება, რომლის აღსრულების უზრუნველყოფაცაა გასაჩივრებული ჯერ არის კანონიერ ძალაში შესული და მოვალეს გააჩ-

ნია კანონით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით ზემ-დგომ ინსტანციაში შეკრიულების მისი კანონიერება, თუმცა, გა-დაწყვეტილების აღსრულების ხორმატიული საფუძვლის [სსკ-ის 271-ე მუხლი] გამოყენება დასაშვება ნებისმიერ ეტაპზე მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომელიც და-უყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული ამავე გან-ჩინების პ:22-ში მოცემული განმარტების შესაბამისად. ლოგი-კურია, კანონმდებელი არ უგულვებელყოფს კრედიტორის მო-ნინააღმდეგე მხარის უფლებას გასაჩივრებაზე, თუმცა, აღსრუ-ლების უზრუნველყოფის მიზნებსა და გამოყენებას აღნიშნუ-ლი ვერ დააბრკოლებს.

25. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მომჩივანს არ მიუთითებია იმგვარ გარემოებებზე, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ გამოყენე-ბული უზრუნველყოფის ღონისძიება არის პროპორციული და ადეკატური, ხოლო მისმა გამოუყენებლობაშ შესაძლოა გააძ-ნელოს გადაწყვეტილების აღსრულება ან გამოიწვიოს ისეთი ზი-ანი, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისთვის ზი-ანის ანაზღაურების დაკისრებით. შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული ღონისძიების გაუქმების ფაქტობრივ-სამარ-თლებრივი საფუძვლები.

26. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მოთხოვნას მის მიმართ მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიის შექმნის მიზ-ნით, მოსალოდნელი ზარალის, არანაკლებ დაყადალებული სა-ბანკო ანგარიშების ფარგლებში, სასამართლო დეპოზიტზე გან-თავსების შესახებ, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით მოპა-სუხისათვის განსაზღვრულია უფლებამოსილება, განცხადებით მოითხოვოს მისი უზრუნველყოფის გარანტია სასამართლოსა-გან. თუმცა მისი გამოყენების აუცილებლობა მოპასუხის (მოვა-ლის) მტკიცების ტვირთია [სსკ-ის 102-ე მუხლი], ვინაიდან ზი-ანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სასამართლოს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუმართლებელი აღ-მოჩნდეს და ასევე სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზ-რუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება მიადგეს. სა-სამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ზიანის უზრუნველ-ყოფის გამოუყენებლობის შემთხვევებში ზიანი მოპასუხის მტკი-ცების საგანში შემავალი გარემოება ხდება და მან უნდა ამტკი-ცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისი

უფლებები დაუშვებლად ილახება და ზიანი ადგება, ან გარდაუ-  
ვალია მისთვის ზიანის მიყენება [სსსკ-ის 199-ე, მე-4 და 102-ე  
მუხლი], რაც მომჩივანმა ვერ განახორციელა.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასა-  
ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული  
განჩინების გაუქმებისა და საჩივრის დაკმაყოფილების საფუძ-  
ველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...-ს“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინება დარჩეს უც-  
ვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## **8. ცალკეული დელიქტით მიყვენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩევის განხილვის გამარტივებული წესი**

**ცალკეული დელიქტით მიყვენებული ზიანის  
ანაზღაურების შესახებ სარჩევის განხილვის  
გამარტივებული წესი  
საქართველოს შეფინანსებული სახელმწიფო სამსახურის  
საქართველოს სახელმწიფო სამსახურის გამარტივებული წესი**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო სამსახურის  
გამარტივებული წესი**

№ას-708-677-2014

9 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. მოსარჩევის მოთხოვნა და სარჩევის ფაქტობრივი სა-  
უძღვლები:

1.1. სსიპ შემოსავლების სამსახურმა (შემდგომში – მოსარ-  
ჩელე ან კრედიტორი) სარჩელი აღდრა სასამართლოში შპს „ჯ-  
ისა“ (შემდგომში – საწარმო, ან მოპასუხე) და მისი დირექტო-  
რის – ა. ჯ-ის (შემდგომში – საწარმოს დირექტორი ან მოპასუ-  
ხე) მიმართ მოპასუხებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარ-  
გებლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის – 924 593 ლარის სო-  
ლიდარულად დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:  
მოპასუხე საწარმოს საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე  
დაერიცხა ძირითადი გადასახადის – 403 348 ლარის გადახდა.  
აღნიშნული გადასახადის დარიცხვის კანონიერება სადაცო გა-  
ხადა მოპასუხე საზოგადოებამ, თუმცა სასამართლოს კანონი-  
ერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყო-  
ფილდა. საწარმოს დირექტორმა თავი აარიდა გადასახადის გა-  
დახდას, რის გამოც, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს  
სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. დარიცხული გადასახადი გაიზარდა და იგი სარჩელის აღმერის მომენტისათვის შეადგენდა 924 593 ლარს.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განძმრტეს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი არ არის საბოლოო და შეიძლება შეიცვალოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, განაჩენით დადგენილ გარემოებებს პრეიუდიციული მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს, ამასთანავე, გამორიცხულია იურიდიული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, რაც მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას გამორიცხავს. რაც შეეხება დირექტორს, იგი არ წარმოადგენს სოლიდარულად ვალდებულ პირს. უდავოა, რომ საწარმოსა და მოსარჩელეს შორის არსებობდა სასამართლო დავა, რის გამოც ამავე მხარეებს შორის, ამავე საგანზეკვლავ საქმის წარმოება დაუშვებელია.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელაციის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

## **5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა სანარმოს დირექტორისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე დირექტორს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 403 348 ლარის ანაზღაურება.

## **6. კასატორების მოთხოვნა:**

6.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

6.2. ამავე გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხე დირექტორმაც, რომელმაც მოითხოვა გადაწყვე-

ტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც მას სოლიდარულად დაეკისრა 403 348 ლარის გადახდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმის ნარმოება სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელის გამო, შპს „ჯ-ის“ მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე უნდა შეწყდეს, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა ა. ჯ-ის მიმართ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის/საქმის ნარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, თავის მხრივ, ამავე ნორმის შემდგომი ნაწილებით გათვალისწინებულია თუ რა ჩაითვლება კანონის დარღვევად, კერძოდ, მატერიალური სამართლის ნორმის არასწორი გამოყენება-განმარტება ან საპროცესო წესების მხოლოდ იმგვარი დარღვევა, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

1.2. განსახილველი დავის საგანს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ნარმოადგენს, რომლის ფაქტობრივ საფუძვლადაც მოსარჩელე მიუთითებს შემდეგს: საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე შპს „ჯ-ს“ გადასახდელად დაეკისრა 403 348 ლარი. დარიცხვის კანონიერება დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. სანარმოს ხელმძღვანელობითი და ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა თავი აარიდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ. სარჩელის თანახმად, ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების აუნაზღაურებლობის გამო გადასახდელმა თანხამ სასამართლოსათვის მიმართვის ეტაპზე 924 593 ლარი შეადგინა, შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა ამ თანხის, როგორც სანარმოსათვის, ისე მისი იმდროინდელი დირექტორისათვის სოლიდარულად დაკისრება.

1.3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ და-აკმაყოფილა რა სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი, მო-პასუხე დირექტორს სოლიდარულად დააკისრა გადასახადის და-რიცხვის აქტით გათვალისწინებული თანხა. თავის მხრივ კი, სა-აპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი იურიდიულად მნიშვნე-ლოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

1.3.1. 2009 წლის 11 სექტემბრის №... საგადასახადო დავა-ლებით შპს „ჯ-ს“ გადასახდელად დაეკისრა 572 594 ლარი. და-რიცხვის აქტი მიჩნეულ იქნა კანონიერად, როგორც ადმინის-ტრაციული წარმოების, ისე – ადმინისტრაციული სამართალწარ-მოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებით, რის შედე-გადაც სანარმოსათვის დარიცხული თანხა გახდა აღიარებული გადასახადი;

1.3.2. საზოგადოების იმდროინდელმა დირექტორმა 45 სა-მუშაო დღეში არ გადაიხადა აღიარებული გადასახადი, რის გა-მოც მის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის განაჩენით სანარმოს დირექტორი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში;

1.3.3. სანარმოსათვის დარიცხული დავალიანების ამოღების მიზნით, აღსრულების ბიუროს მიერ რეალიზებულ იქნა საზო-გადოების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები, ამოღე-ბულმა თანხამ შეადგინა 44 521 ლარი. 2009 წლის 10 სექტემ-ბრიდან 2013 წლის 22 ოქტომბრამდე სანარმომ დავალიანების დაფარვის მიზნით ჩარიცხა 123 497,07 ლარი.

1.4. სსიპ შემოსავლების სამსახური სადავოდ ხდის გასაჩივ-რებულ გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე სანარმოს სოლიდარულად არ დაეკისრა თანხის სახელმწიფოს სასარგებლოდ ანაზღაურება და ძირითად პრეტენზიას გამოთ-ქვამს სასამართლოს მხრიდან მატერიალური/საპროცესო სა-მართლის ნორმის დარღვევის თაობაზე. რაც შეეხება ა. ჯ-ეს, მის საკასაციო პრეტენზიას ადმინისტრაციული სამართლის საქ-მეზე, სანარმოსათვის დაკისრებული თანხის გადაუხდელობის გამო, დირექტორისათვის ამავე თანხის სოლიდარულად დაკის-რების კანონიერება წარმოადგენს, ამასთანავე, ა. ჯ-ემ შუამ-დგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა, რომელიც იმ დასაბუთებას ემყარება, რომ საგადასახადო კო-დექსმი შეტანილი ცვლილების თანახმად, კომპანია გათავისუფ-ლდა 2011 წლამდე წარმოშობილი ვალდებულებისაგან, რაც აი-

სახა სსიპ შემოსავლების სამსახურის შედარების აქტში და კომ-პანიას აღარ ერიცხება დაცალიანება, რომლის სოლიდარულად ანაზღაურებასაც ითხოვს მოსარჩევე.

1.5. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პრეტენზის ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე და მიზნებს, რომ სანარმოსათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგი გარემოებების გამზ:

1.5.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილია სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოსადმი და კანონი პირდაპირ განსაზღვრავს დავათა იმ კატეგორიას, თუ რომელი მათგანი შეიძლება განიხილოს სასამართლომ ამ კოდექსით დადგენილი წესით. მოხმობილ ნორმაში მითითებული არც ერთი დანაწესი სამენარმეო სუბიექტის (გადასახადის გადამხდელი) მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმის განხილვას არ ითვალისწინებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ წინაპირობებს, სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, ადგენს დელიქტური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით განსაზღვრულია დელიქტური ვალდებულების უზოგადესი წესი (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და იგი საგადასახადო კანონმდებლობის (საჯარო სამართლის სფერო) საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას, ასევე, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული საურავის ანაზღაურებას არ არეგულირებს, არამედ, მითითებული საკითხის მოწესრიგება სრულად ექცევა საგადასახადო კოდექსით დადგენილი რეგულაციის ფარგლებში, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, ეს კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, ანესრიგებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამარ-

თალღდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონ-მდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამო-სილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზო-მიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასა-ხადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესარტულებასთან დაკავშირებულ სამართლებ-რივ ურთიერთობებს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ აღიარე-ბული საგადასახადო დავალინების, ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებისა თუ ამ თანხის ამოლების მიზნით მიმდინარე სააღსრულებო წარმო-ების კანონიერების სამოქალაქო წესით შემოწმების წინაპირო-ბები ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინ-ციპებს.

1.5.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტის საქმის წარმოებას, თუ საქ-მე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენცია-ში შედის. წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწი-ლის 1.5.1. პუნქტში განვითარებული მსჯელობისა და ზემოხსე-ნებული ნორმის დისპოზიციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელზე შპს „ჯ-ის“ მიმართ ზიანის სოლიდარუ-ლად დაკისრების მოთხოვნის ნაწილში უწყდა შეწყდეს, შესაბა-მისად, საქმის წარმოების შეწყვეტის გამო, ვინაიდან აღარ არ-სებობს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრის განხილვის საგანი, საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე, უნდა შეწყდეს საქმის წარმოება სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრი.

1.5.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვე-ვაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძ-ლება.

1.6. რაც შეეხება ა. ჯ-ის საკასაციო პრეტენზიას მისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სოლიდარულად დაკის-რების თაობაზე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს მას და ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

1.6.1. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლით დეფინირებუ-ლია სოლიდარული ვალდებულების არსი, რომელიც სახეზე მა-შინ, როდესაც რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შეს-

რულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, ამავე კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, განსაზღვრავს დელიქტურ ვალდებულებაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძვლებს, რომლის თანახმადაც, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ხსენებულ ნორმათა ერთობლივი ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სოლიდარულად დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს ორი ან რამდენიმე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელსაც შედეგად ზიანის დადგომა მოჰყევა. როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.5.1. პუნქტში აღინიშნა, საგადასახადო ვალდებულების წარმოშობა-შესრულების საკითხი სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის არ შეიძლება დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში იქნას განხილული, შესაბამისად, სააპელაციო პალატის დასკვნას, რომლის თანახმადაც ა. ჯ-ე წარმოადგენდა ზიანის მიყენებაში სოლიდარულად ვალდებულ პირს, ხაზგასმით არ იზიარებს საკასაციო სასამართლო.

1.6.2. პალატა აქვე მოიხმობს მსგავსი კატეგორიის საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეზე პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართლწარმოების წესით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვისას, გამოიყენება სსს-ის **XXXIV<sup>3</sup>** დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსს-ის 309<sup>20</sup> მუხლის მეორე ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის მთავარი ნორმის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წარამდგვარი: მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი (იხ. სუსგ №ას-176-163-2015, 4 ოქტომბერი, 2016 წელი).

1.6.3. მოცემულ საქმესთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ა. ჯ-ის მიერ წარმოადგენილ შუამდგომლობასა და მასზე დართულ შედარების აქტს და არ იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას ამ შუამდგომ-

ლობასთან დაკავშირებით (სსიპ შემოსავლების სამსახურმა წერილობით დაადასტურა, რომ საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შპს „ჯ-ის“ ბარათზე განხორციელდა ბიუჯეტის წინაშე არსებული საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება, ანუ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეცვლილია დავის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, მოსარჩელემ ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>16</sup>-ე, 309<sup>17</sup>-ე, 309<sup>19</sup>-ე მუხლებით მინიჭებული უფლებით და მიმართა სასამართლოს, ამასთან, გარემოებათა შეცვლის მიუხედავად მოპასუხე მხარეს სამოქალაქო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძვლზე აქვს დაკისრებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება). პალატა განმარტავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჯ-ეს სოლიდარულად დაეკისრა პასუხისმგებლობა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, კანონიერ ძალაში არ არის შესული და მისი საფუძვლიანობა სადაც გახადა ორივე მხარემ, შესაბამისად, მას სავალდებულო ძალა არ გააჩნია, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლისა, ამდენად, საკითხის განხილვის დამაბრკოლებელი ვერ გახდება ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი. რაც შეეხება საქმეში ნარმოდგენილ სისხლის სამართალნარმობისა და ადმინისტრაციული სამართალნარმობის შედეგად მიღებულ მართლმსაჯულების აქტებს, პირველ შემთხვევაში, დადგინდა ა.ჯ-ის დანაშაულებრივი ქმედება, ხოლო, მეორე შემთხვევევაში – საგადასახადო ორგანოს აქტის კანონიერება, რომლითაც შპს „ჯ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის საარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდის ვალდებულება.

1.6.4. პალატა მიუბრუნდება შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს: სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 7 ივნისის ცნობასა და გადასახადის გადამხდელის შედარების აქტს, რომელთაგან პირველით ირკვევა, რომ შპს „ჯ-ის“ მიმართ განხორციელდა პირადი აღრიცხვის ბარათების კორექტირება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მეორე დოკუმენტის თანახმად, 02.01.2016-07.07.2016. საანგარიშო პერიოდის დასრულების დროისათვის შპს „ჯ-ს“ დავალიანება არ ერიცხება. ამ მტკიცებულებათა შეფასების მიზნით (მტკიცებულებებში მითითებული ფაქტები უდავოა) პალატა მოიშველიებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე

მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც, ამ კოდექსის 252-ე მუხლის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოწერას ექვემდებარება 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დაგალიანება და მასზე დარიცხული საურავი, თუ პირს 2011 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდისათვის (თანხის ჩამოწერამდე) საგადასახადო ორგანოსთვის არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა, აგრეთვე, ამ კოდექსის 176<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის მიხედვით განხორციელებული დეკლარირებისა) ან საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა, აგრეთვე ამ კოდექსის 176<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის მიხედვით განხორციელებული დეკლარირებისა) საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით ერთობლივი შემოსავლის თანხა ნულზე შეტყია ან/და ჩასათვლელი თანხა დარიცხულ თანხას აღმატება).

1.6.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, დაკორექტირებულია გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათი და აღარ არსებობს დავალიანება, მიუხედავად სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა, არ არსებობს ა. ჯ-ისათვის ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი, რადგანაც სახელმწიფომ ნებაყოფლობით უარი განაცხადა იმ თანხის (დავალიანების) ამოღებაზე, რომლის გადახდის ვალდებულებაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე წარმოიშვა.

## 2. სასამართლო ხარჯები:

2.1. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. ჯ-ის მიერ საქ-

მის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი შეადგენს 6 000 ლარს, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახური, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1. მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ გათავისუფლებულია ბაზის გადახდის ვალდებულებისაგან.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიის მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.3. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურს, ა. ჯ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯის – 6 000 ლარის ანაზღაურება, რაც შეეხება სსიპ შემოსავლების სამსახურს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

3. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიება:

3.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაედო ა. ჯ-ის სახელზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებს: „შევროლე ტრეკერი“, სახელმწიფო ნომრით B... (გამოშვების წელი 1998 წელი, შავი ფერის, VIN:...); „მერსედეს-ბენცი“ E200 (გამოშვების წელი 1996 წელი, ფერი წითელი 7/8, სახელმწიფო ნომრით ..., VIN:...); „ოპელ ვეკტრა 1.6i“, სახელმწიფო ნომრით B... (გამოშვების წელი 1994, წითელი ფერის, 7/8, VIN:...), ასევე, ა. ჯ-ის კუთვნილ 33%-იანი წილს შპს „თ-აში“ (ს/კ ...).

3.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარ-

ჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. მოცემულ შემთხვევაში, არ დაკმაყოფილდა რა სარჩელი/ნაწილობრივ შეწყდა საქმის წარმოება სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარზე, პალატა თვლის, რომ უნდა გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 199<sup>1</sup>-ე, 272-ე, 273-ე, 284-ე, 372-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ლ ა დ ა :**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
4. შეწყდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელის გამო, შპს „ჯ-ის“ მიმართ, ზიანის ანაზღაურების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შპს „ჯ-ისათვის“ 924 593 ლარის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე, შესაბამისად, გაუქმდეს ამ ნაწილში ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება.
5. სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი ა. ჯ-ის მიმართ, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ა. ჯ-ისათვის 924 593 ლარის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
6. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის გამო დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დაუშვებელია.
7. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღისაგან გათავისუფლდეს ა. ჯ-ის სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებები:

„შევროლე ტრეკერი“, სახელმწიფო ნომრით B... (გამოშვების წელი 1998 წელი, შავი ფერის, VIN:...); „მერსედეს-ბენც“ E200 (გამოშვების წელი 1996 წელი, ფერი წითელი 7/8, სახელმწიფო ნომრით ..., VIN:...); „ოპელ ვექტრა 1.61“, სახელმწიფო ნომრით B... (გამოშვების წელი 1994, წითელი ფერის, 7/8, VIN:...), ასევე, ა.ჯ-ის კუთვნილი 33%-იანი წილი შპს „თ-აშ“ (ს/კ ...).

8. სსიპ შემოსავლების სამსახურს (ს/№...) ა. ჯ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 6 000 ლარის ანაზღაურება.

9. სსიპ შემოსავლების სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

10. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვა ფაქტები, რომლებიც არ საჭიროა მომართების ასალი ფაქტები და მომართებულების აპელაციის ეტაპზე

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ას-866-833-2016

28 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** დაინაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გ. ე-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, მყიდველი აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე ან მსჯავრდებული) ცნობილ იქნა დამნაშა-

ვედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მოპასუხის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა იმაში, რომ ის მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაეუფლა ი. დას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, გამყიდველი ან კასატორი) კუთვნილ 13 000 აშშ დოლარად ღირებულ საცხოვრებელ ბინას.

2. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განისაზღვრა მხარეების: ე.ჩ-ს (მოპარჩელე) ი. დ-სა და გ. ე-ის (მოპასუხები), უფლება-მოვალეობანი დავის საგანთან – 2013 წლის 19 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდეგში ნასყიდობის ხელშეკრულება) ბათილად ცნობისა და ქ. სამტრედიაში, ... ქ. №33-ში მდებარე ბინის (შემდეგში სადავო ქონება, ან ბინა) ერთი მეორედი ნაწილის თანამესაკუთრედ ცნობასთან მიმართებით. გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო გარიგების ნამდვილობა და მოპასუხის კეთილსინდისიერების ფაქტი {საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, სსკ-ის, 264-ე და 266-ე მუხლები}.

3. 2013 წლის 19 თებერვალს მოსარჩელემ სადავო ბინა 13 000 აშშ დოლარად მიჰყიდა მოპასუხეს {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სსკ-ის, 477-ე მუხლი}. ნასყიდობის ფასი მყიდველს უნდა გადაეხადა ნაწილ-ნაწილ. ამასთან, ნაკისრი ვალდებულების ნაწილი შესრულდებოდა მყიდველისათვის ავტომანქანაზე საკუთრების გადაცემის გზით.

4. ზემოაღნიშნული ხელშეკრულება საჯარო რეესტრში სადავო ბინის მოპასუხის საკუთრებად აღრიცხვას დაედო საფუძვლად (სსკ-ის 311.1 მუხლი).

5. მოპასუხებ მოსარჩელეს ნასყიდობის საფასურიდან მხოლოდ 700 აშშ დოლარი გადაუხადა.

6. 2015 წლის 11 დეკემბერს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის ნინააღმდეგ და მოთხოვა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, სადავო ბინისა და მასზე საკუთრების უფლების დაბრუნება.

7. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო, ნარდგენილი შესაგებლით გამორიცხა მოთხოვნა და მიუთითა, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, სახელდობრ, მიუთითა, რომ სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება მას და მოსარჩელეს შორის კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით გაფორმდა, ამასთან, იგი აღნიშნული ქონების კეთილსინდისიერი შემძენი იყო, რასაც სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს კა-

ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაც ადასტურებდა.

8. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს აუნაზღაურდა მოპასუხის მიერ დანაშაულით მიყენებული ზიანი, კერძოდ, საკუთრების უფლებით დაუბრუნდა და მასზე აღირიცხა სადავო უძრავი ქონება. სასამართლომ დავის მოსახლესრიგებლად გამოიყენა სსსკ-ის 309<sup>16</sup>-ე-309<sup>21</sup>-ე მუხლები, ასევე სსკ-ის 992-ე მუხლი, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი და 412-ე მუხლი.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით, შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

9.1. სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილებისას უსაფუძლოდ დაეყრდნო მხოლოდ განაჩენს;

9.2. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიეღო მხარეთაახსნა განმარტებების საფუძველზე;

9.3. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა კანონიერ ძალაში შესული სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხებულ იქნა სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით, აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების მიზნით, სადავო უძრავი ქონების საკუთრების უფლებით დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

10.1. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ, სსსკ-ის 106-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დაგენილი ფაქტები არ წარმოადგენდა პრეიუდიციული მნიშვნელობისას და მათი შეფასება უნდა განხორციელებულიყო სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში;

10.2. სააპელაციო სასამართლოს დასკვნებით, ვინაიდან, 2013 წლის 19 თებერვალს, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობა ნამდვილი იყო, ამასთან ზიანი, რაც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედებით, გამოიხატებოდა პირის შეთანხმებული საფასურის, 13000 აშშ დოლარის არასრულად გადახდაში, მოსარჩელის მოთხოვნა ნამდვილი გარიგების საფუძველზე გასხვისებული სადავო უძრავი ქო-

ნების დაბრუნებაზე (ნაცვლად შესრულების მოთხოვნის წარ-დგენისა), არ გამომდინარეობდა სსკ-ის 992-ე და 408-ე მუხლე-ბის მოთხოვნებიდან, რაც უსაფუძვლოს ხდიდა მოთხოვნას.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასა-ჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქ-მებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმა-ყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

11.1. სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ, საპატიო მიზე-ზის გარეშე დაურთო სამტრედის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვე-ტილება მტკიცებულების სახით საქმეს, შემდეგ კი, არასწორად დააფუძნა მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ მტკიცებუ-ლებას;

11.2. სააპელაციო პალატამ სადაცი უძრავი ქონების თაღ-ლითურად დაუფლების ფაქტი არაკანონიერად დააკვალიფიცი-რა ფულადი თანხის მითვისებად; გარდა ამისა, სასამართლოს მხოლოდ 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე დაყ-რდნობით არ უნდა მიეჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილი იყო;

11.3. ზიანი გამოიხატა არა ბინის საფასურის გადაუხდელო-ბაში, არამედ, უძრავი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთ-რებაში.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივრი სსკ-ის 391 მუხლის საფუძველზე, ცნობილ იქნა და-საშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასე-ვე, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სა-სამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა სა-ჩივრის საფუძვლიახობის თაობაზე.

13. სსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სა-კასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვე-ტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედ-ველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამა-ვე კოდექსის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოე-ბები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-

მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“ დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) ნარმოადგინა.

14. კასატორის მოთხოვნა – სადავონ ბინისა და მასზე საკუთრების დაპრუნება – დელიქტური სამართლის ნორმებს ეფუძნება. დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი სსკ-ის 992-ე მუხლია, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი შედეგი („ზიანის ანაზღაურების ვალდებულება“) ქმედების აბსტრაქტული შემადგენლობიდან („სხვა პირის მიმართ განხორციელებული ქმედება“) გამომდინარეობს.

15. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვისას, გამოიყენება სსკ-ის XXXIV<sup>3</sup> დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება ისაა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსკ-ის 309<sup>20</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის მთავარი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამდვარი: მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადექვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი („ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით“).

16. განსახილველ შემთხვევაში, ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი იყო მოპასუხის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი მართლსაწინააღ-

მდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაეუფლა მოსარჩელის კუთვნილ 13 000 აშშ დოლარად ლირებულ საცხოვრებელ ბინას. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონის აღნიშნული მოთხოვნა და ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტები არ მიიღო მხედველობაში, მაშინ, როდესაც ისინი შეუდავებელი და დამტკიცებული იყო.

17. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაურთო საქმეს ახალი მტკიცებულება (2013 წლის 14 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება) და შემდეგ არასწორად დააფურნა გადაწყვეტილება აღნიშნულ მტკიცებულებას. სსსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. ამავე კოდექსის 382-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. იმავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ითვლება შუამდგომლობის წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია აგადმყოფობით, ახლო წათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობის წარდგენას. კონკრეტულ შემთხვევაში, 2016 წლის 8 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, ახალი მტკიცებულების სახით 2013 წლის 14 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქმეზე დასართავად არ არსებობდა საპატიო მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ წარადგინა მხარემ აღნიშნული სადავო მტკიცებულება პირველი ინსტანციის სასამართლოში (იხ. 2016 წლის 8 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმი, 18:08.18:11 სთ). საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხებ, 2015 წლის 24 დეკემბერს წარდგენილი შესაგებლით იშუამდგომლა სასამართლო სხდომის ჩატარებამდე მტკიცებულების სახით ზემოხსენებული გადაწყვეტილების წარმოდგენის გადავადების თაობაზე, თუმცა სადავო მტკიცებულება მან მხოლოდ სააპელაციო ინსტანციის შესაგებლის წარდგენიდან საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, მოპა-

სუხეს საკმარისი დრო გააჩნდა აღნიშნული მტკიცებულების სა-სამართლოსათვის წარსადგენად, შესაბამისად, არ არსებობდა ახალი მტკიცებულების სააპელაციო ინსტანციის სასამართლო-ში დაშვების კანონიერი საფუძველი. 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საკასაციო პალატას არა მარტო აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე მიაჩნია ამ საქმეზე დაუშვებელ მტკიცებულებად (სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი), არა-მედ იმიტომაც, რომ დროულად წარდგენის შემთხვევაშიც კი, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრი-ვი შეფასებები რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენდა 2014 წლის 5 ივნისის განაჩენით დადგენილ დელიქტური პასუხისმგებლობის განმაპირობებელ გარემოებებზე.

18. სააპელაციო პალატის მითითება სსსკ-ის 106-ე მუხლზე ამავე კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწი-ნებლად არ შეიძლება. მართალია, 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალა-ქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გა-მოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით (№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაუ-ლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნე-ბის განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გუ-ლისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითე-ბული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების ხელახლა დადგენა არ ხდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა.

19. ამრიგად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრე-ტენზიებს სადავო უძრავი ქონების მოპასუხის მიერ მართლა-ნინააღმდეგოდ მისაკუთრებასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და გამოიტანა არასწორი სამართლებ-რივი დასკვნები. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომე-ლიც სხვა პირს მართლსანინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხი-ლებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზ-ღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღა-უროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარ-

სებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში ზიანის ფაქტი დასტურდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლითაც დადგენილია, რომ მოპასუხებ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების მართლსანინაალმდეგო მისაკუთრებით ამ უკანასკნელს მიაყენა ზიანი. მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურება მოთხოვნილია ნატურით (შესაბამისად, არ არსებობს ზიანის გაანგარიშების საჭიროება), ასევე, დადგენილია, რომ სადაც უძრავი ქონება საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება, ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატას მიაჩინა, რომ აღნიშნული ბინა და მასზე საკუთრება მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს.

20. საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა სრულად შეესაბამება მოცემული ტიპის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-176-163-2015, 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინება).

21. სსკ-ის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი თ ა:**

1. ი. დ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სამტკიცთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. დ-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ი. დ-ს საკუთრების უფლებით დაუბრუნდეს და მის სახელზე აღირიცხოს ქ. სამტკიცთა ... ქუჩა №2/33-ში მდებარე უძრავი ქონება (ბინა) საკადასტრო კოდით № ...;
5. მხარეები გათავისუფლებულები არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 9. აპელაციის დასაშვებობა

### სააპელაციო საჩივრის განუხოლველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

#### განრიცხვა

№ას-881-848-2016

2 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაო-  
ბაზე ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, ხელ-  
ფასის დაქვითვის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. ქუთასის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის  
გადაწყვეტილებით დაკავშირდული დაკავშირდული 6. კ-ას (შემდეგში მოსაჩე-  
ლე ან დასაქმებული) სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ააიპ  
„ქ-ის“ (შემდეგში ააიპ, მოპასუხე, აპელანტი ან კერძო საჩივრის  
ავტორი) დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის ბრძანება მოსარ-  
ჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; დასაქ-  
მებული აღდგენილი იქნა ააიპ-ის დირექტორის წარმომადგენ-  
ლად №15 ფილიალში; ასევე ბათილად იქნა ცნობილი ააიპ-ის დი-  
რექტორის 2016 წლის 22 იანვრის ბრძანება დასაქმებულისათ-  
ვის ხელფასის დაქვითვის თაობაზე. მოსარჩელის სასარგებლოდ  
მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 200 ლარის გადახ-  
და. გადაწყვეტილება მიქცეული იქნა დაუყოვნებლივ აღსასრუ-  
ლებლად.

2. საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტი-  
ლება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გა-  
საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და დასაქმებულის  
სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

3. ქუთასის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2016 წლის 20 ივნისის განმინიჭით, აპელანტს და-  
უდგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე და დაევალა, განჩი-  
ნების მისთვის გადაცემიდან, 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, სა-

სამართლოსათვის წარედგინა სახელმწიფო ბაჟის – 160 (ას სამოცი) ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სათანადო მტკიცებულება (დებულება ან სხვა დოკუმენტი), რაც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება ააიპ, რაც შესაძლოა საფუძვლად დასდებოდა მოპასუხის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათვაისუფლებას. იმავე განჩინებით, მოპასუხეს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობა საპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდებოდა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 368.5 მუხლი).

4. აპელანტმა 2016 წლის 29 ივნისს განცხადებით მიმართა სასამართლოს და წარუდგინა სახელმწიფო ბაჟის – 160 (ას სამოცი) ლარის ელექტრონულად გადახდის თაობაზე №14343 საგადახდო მოთხოვნის ქსერონასლი, რომელზედაც დაფიქსირებულია, რომ სახელმწიფო ხაზინაში ტრანზაქცია განხორციელებულია. იმავე წლის 30 ივნისის განჩინებით, აპელანტს გაუგრძელდა 20 ივნისის განჩინებით, ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დოკუმენტის დედნის წარმოსადგენად განესაზღვრა 14 დღე, ამ განჩინების ჩაბარებიდან (იხ. განცხადება, ბაჟის გადახდის ქვითარი და განჩინება).

5. სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისს განცხადებით მიმართა მოპასუხის წარმომადგენელმა, რომელმაც მიუთითა, რომ სასამართლოსათვის წარდგენილი ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ორიგინალია, იგი დამოწმებულია ბეჭდით და ხელმოწერილია დირექტორის მიერ.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 1 აგვისტოს განჩინებით, განუხილველად დარჩა აპელანტის სააპელაციო საჩივარი.

7. სააპელაციო სასამართლომ განჩინების მოტივაციისას მიუთითა 3-5 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე და განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დასადასტურებლად დედნის წარდგენას. დოკუმენტის დედანს კი წარმოადგენს მისი გამცემი პირის მიერ დამოწმებული ძირითადი ეგზეპ-მლარი ან მის მიერვე დამოწმებული ასლი, ასევე, სანოტარო ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი. განსახილველ შემთხვევაში კი, ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელების მიუხედავად, აპელანტმა სასამართლოს წარუდგინა, სახელმწიფო ხაზინის ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ასლის ნაცვლად, საკუთარი

ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული ქვითარი, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ დედან დოკუმენტად და, შესაბამისად, სასამართლოს განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსებად. სსსკ-ის 368.5-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

8. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 1 აგვისტოს განჩინებაზე კერძო საჩივარი წარმოადგინა მოპასუხებრ, რომელიც წარმოებაშია მიღებული საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით.

9. კერძო საჩივრის მოთხოვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაპრუნება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

9.1. სააპელაციო სასამართლოს 30.06.2016წ. განჩინებით, აპელანტს 29 ივლისის 24:00 საათამდე ჰქონდა ხარვეზის შევსების ვადა, მან 20 ივლისს განცხადებით მიმართა სასამართლოს (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი), მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზის გამოსასწორებული ვადის აღმოსაფხვრელად მხარეს დარჩენილი ჰქონდა ვადა – 29 ივლისამდე, სასამართლომ 2016 წლის 1 აგვისტოს განჩინებით განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი;

9.2. გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რადგან ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 2 აპრილის №571 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ „ქ-ის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით: „გაერთიანების საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან“. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, მან დასახელებული წესდება წარუდგინა სასამართლოს, ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები (მერია და საკურებულო) „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლებული არიან ბაჟის გადახდისადგან, ააიპ-ის წესდების ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე, ქუთაისის სასამართლომ არასორიად დაადგინა ხარვეზი მათ სააპელაციო საჩივარზე;

9.3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშები გახსნილია სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. ამ ანგარიშების მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან თანხის გადარიცხვაზე ნე-

ბართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებ-ლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქეს მხოლოდ შესაბამის იურიდიულ პირს. დაუშვებელია ამ იურიდი-ული პირების მიერ სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მათ ანგარიშებზე არსებული სახსრების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორ-ციელებული გადახების შეზღუდვა, ხოლო მე-12 პუნქტის შე-საბამისად, საბიუჯეტო პროცესში გამოიყენება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის სა-ინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის შესაბამისი მოდულე-ბი. ამავე კოდექსის 18<sup>4</sup>-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სა-ბიუჯეტო ორგანიზაცია (მათ შორის არასამეწარმეო (არაკომერ-ციული) იურიდიული პირები) უზრუნველყოფს მის მიერ მიღე-ბული ყველა შემოსულობის სრულად და დაუყოვნებლივ აღრიც-ხვას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, ზემოხსენებული ნორმები გულისხმობს იმას, რომ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ააიპ-ები ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებენ სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით;

9.4. საბიუჯეტო კოდექსის 18<sup>4</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტის თა-ნახმად, სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია, თავის საქმია-ნობაში გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტები, ხოლო მე-8 ნაწილის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაცია (მ.შ. ააიპ-ები) უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს ან/და ამობეჭდოს სახელმწიფო ხაზინაში ელექტრონულად წარდგე-ნილი და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მიერ დადასტურებული ნებისმიერი დოკუმენტი. ამას-თან, ელექტრონული ასლის სახით შენახულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატე-რიალურ დოკუმენტს.

10. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის კერძო საჩი-ვარი წარმოებაშია მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერ-ძო საჩივრის საფუძვლების იურიდიული დასაბუთებულობის შე-მოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკ-მაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების გან-ხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ

სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

12. სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშევები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტების ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხის პრეტენზიათა ნანილი დასაბუთებულია.

13. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში არსებულ ააიპ-ის წესდებაზე, რომლის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ გაერთიანების საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნანილით გაერთიანების დაფინანსების წყაროებია: а. ადგილობრივი ბიუჯეტი; ბ. შემოწირულობები; გ. სახელმწიფო გრანტები, სუბსიდიები და სხვა კანონიერი შემოსავლები; დ. კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები; ე. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტით დადგენილი შეღავათი ვრცელდება იმ საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, რომლებიც ფინანსდებინა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როგორც ეს მართებულად მიუთითა სააპელაციო სასამართლომ (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი). ამდენად, მოპასუხის პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაუდგინა მას სააპელაციო საჩივარზე ხარვეზი, რადგან მუნიციპალიტეტის ორგანოები (მერია და საკრებულო) გათავისუფლებული არიან ბაჟის გადახდისაგან და ააიპ-იც უნდა გათავისუფლებულიყო (იხ. 9.2. ქვეპუნქტი) დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს მისივე წესდების შესაბამისი რეგულაციიდან, ხოლო სხვა მტკიცებულებები მხარეს არ წარუდგენია სააპელაციო სასამართლოსათვის, რადგან საქმეში განთავსებული დოკუმენტები: ააიპ-ის ადმინისტრაციისა და ფილიალის შინაგანანესები კონკრეტული საკითხების მოწესრიგების ტრიპურ შემთხვევებს ეხება და გაერთიანების მხოლოდ სახელმწი-

ფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ რაიმე ინფორმაციას არ შეიცავს, რაც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გასათავი-სუფლებლად სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და შე-ფასების საგანი შეიძლებოდა გამხდარიყო.

14. მოპასუხის პრეტენზია, რომელიც წინამდებარე განჩინე-ბის 9.3 და 9.4 ქვეპუნქტებშია ასახული საყურადღებოა იმ კონ-ტექსტში, რომ სახელმწიფო ბაჟის ელექტრონული ფორმით გა-დახდას უკავშირდება, ხოლო სააპელაციო საჩივრის განუხილვე-ლად დატოვების საფუძველი სწორედ ის გარემოება გახდა, რომ სასამართლოს მოპასუხებ წარუდგინა სახელმწიფო ბაჟის გადახ-დის დასადასტურებლად არა დოკუმენტის ორიგინალი, როგორც ეს დადგენილია სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> ნაწილით „სარჩელს უნდა ერთოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებე-ლი დოკუმენტი (დედნი),“ არამედ მისი ელექტრონული ფორმით გადახდის დოკუმენტი (იხ. ამ განჩინების 4-7 პუნქტები).

15. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ საპ-როცესო კოდექსის კონკრეტულ მოწესრიგებას ეხება საქმე, რომლითაც მოთხოვნილია დოკუმენტის დედანი, ხოლო, მეორე მხრივ, მხარის პრეტენზიას, რომ თუკი ელექტრონული ფორ-მით გადახდა არ იყო საკმარისი სასამართლოსათვის, მაშინ მო-პასუხეს კიდევ უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის გზით, აღმოეფხვრა აღნიშნული. მო-პასუხის მიერ მითითებული საკანონმდებლო დანაწესებით (იხ. 9.3 და 9.4 ქვეპუნქტები) დადგენილია, რომ საბიუჯეტო პრო-ცესში გამოიყენება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სა-ხელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონუ-ლი) სისტემის შესაბამისი მოდულები.

16. „სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შე-ნატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გა-ცემისათვის“ (იხ. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1). განსახილველ შემთხვევაში, სადავო არაა, რომ მოპასუხებ წარადგინა სახელმწიფო ბაჟის ელექტრონული ფორმით გადახდის დოკუმენტი. ტრანზაქციის განხორციელე-ბისა და საგადახდო მოთხოვნის მიღების შესახებ მონაცემები მითითებულია ელექტრონული აღრიცხვის წესით – თარიღი და დრო, კერძოდ, ბაჟი გადახდილია 2016 წლის 28 ივნისს, ხოლო 29 ივნისს, აპელანტის განცხადება თანდართული ელექტრო-ნული დოკუმენტით წარდგენილია სააპელაციო სასამართლოში (იხ. მე-4 პუნქტი).

17. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა გადამოწმდეს მოპასუხების მიერ ელექტრონულად გადახდილი დოკუმენტის ნამდვილობა, რათა მხარეს არ შეეზღუდოს სასამართლო-სადმი ხელმისაწვდომობის, როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალნარმოების მხარების შესაძლებლობას, გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წევდომის უფლება (Mirigall Escolano and Others v. Spain, 38366/97, §33, 2000, ECHR).

18. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სამართალნარმოების ეტაპზე კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არ ყოფილა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანი, რადგან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის განჩინების პასუხად, მხარემ მარტოდენ ის არგუმენტი შესთავაზა სასამართლოს, რომ ელექტრონული ფორმით გადახადა ააიპ-მა სახელმწიფო ბაჟი, რაც დაადასტურა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა საკუთარი ხელმოწერითა და ბეჭდით. სააპელაციო სასამართლომ მხარეს განუმარტა, თუ რა საკანონმდებლო მოთხოვნებს ეფუძნებოდა მეორედ დადგენილი ხარვეზის განჩინება, თუმცა, რადგან საკასაციო სამართალნარმოების ეტაპზე წარმოდგენილი არგუმენტების ნაწილი დასაბუთებულია და კანონიდან გამომდინარეობს, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 აგვისტოს განჩინება და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ააიპ „ქ-ის“ კერძო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 აგვისტოს განჩინებაზე, დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 აგვისტოს განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება  
ხარვეზის შეუვსებელობის გამო**

**საქმის გადაგზავნა სააპელაციო სასამართლოში**

### **განჩინება**

№ას-899-865-2016 29 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „ე-+“-მა (შემდეგში მოსარჩელემ ან აპელანტმა) მ. ო-ის (შემდეგში მოპასუხისის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის, სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრება).
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
3. ზემოხსენებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრი შეიტანა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 03 ივნისის განჩინებით:

- საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
- ძალაში დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

5. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება, დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად, სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩევებმ.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 07 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუესბლობის გამო.

7. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განჩინებით მოსარჩევეს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, მას დაევალა, ხარვეზის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში: ა) სააპელაციო საჩივრის წარდგენა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით; ბ) სახელმწიფო ბაჟის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი საბუთის სასამართლოში წარდგენა;

- ზემოხსენებული ხარვეზის განჩინება, კანონით დადგენილი წესით, ჩაბარდა მოსარჩევეს 2016 წლის 02 აგვისტოს;

- სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოსარჩევემ ხარვეზი არ შეავსო.

8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) მე-60 და 61-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ხარვეზის შევსების 10-დღიანი ვადის ათვლა, მოცემულ შემთხვევაში, დაიწყო 2016 წლის 03 აგვისტოს და ამოიწურა ამავე წლის 12 აგვისტოს, რომელიც იყო სამუშაო დღე – პარასკევი. პალატამ აღმიშნა, რომ მითითებულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუესია.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო ხარვეზის შეუვსებლობის გამო სსსკ-ის 368.5 მუხლის საფუძველზე.

10. სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მოსარჩევემ.

11. კერძო საჩივრის საფუძვლები:

- სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი აპელანტმა დრო-

ულად შეავსო, კერძოდ, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეადგინა სააპელაციო საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით და გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, მაგრამ ეს მასალები შეცდომით წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში 09.08.2016 წელს. მითითებული მასალების სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა დაგვიანდა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი 07.09.2016 წელს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

12. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩევის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემობათა გამო:

13. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

14. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შეუჯებლობა.

15. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მან სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი დროულად შეავსო. მართალია, შესაბამისი მასალები მან შეცდომით წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მაგრამ ამ მასალების სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა დაგვიანდა, რამაც განაპირობა მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

16. საკასაციო პალატა ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის ზემოხსენებულ მოსაზრებას, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განჩინებით დად-

გენილი ხარვეზის შევსების მიზნით, ამავე განჩინებით დადგენილ ვადაში – 09.08.2016 წელს, აპელანტმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანცელარიას ჩააპარა: ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფირმის მიხედვით შედგენილი სააპელაციო საჩივარი და ბ) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

17. საქმის მასალებით ირკვევა, ასევე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ზემოხსენებული მასალები სააპელაციო სასამართლოს გადაუგზვნა 2016 წლის 06 სექტემბერს, რაც ამავე წლის 09 სექტემბერს ჩაბარდა ამავე სასამართლოს კანცელარიას. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი კი, განუხილველად დარჩა 2016 წლის 07 სექტემბერს.

18. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 371-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზვნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანობისად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

19. ზემოხსენებული ნორმა ავალდებულებს პირველი ინსტანციის სასამართლოს, დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზვნოს სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმე, აგრეთვე დამატებით შემოსული ყველა მასალა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ მუხლით დადგენილი წესი, სსსკ-ის 7.2 მუხლის საფუძველზე, უნდა გავრცელდეს, ასევე, განსახილველ შემთხვევაზეც, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში საჩივრის გადაგზავნის შემდეგ, ამ საჩივართან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოში შეცდომით შესული მასალაც უნდა განვიხილოთ როგორც სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ შესული დამატებითი მასალა.

20. პირველი ინსტანციის სასამართლომ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, დროულად არ შეასრულა თავისი ვალდებულება დამატებით შემოსული მასალის სააპელაციო სასამართლოში დაუყოვნებლივ გადაგზავნის თაობაზე, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს დროულ შესრულებად უნდა ჩაეთვალოს, ხარვეზის შეესტის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მასალების შეტანა, შესაბამისად, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის განუხილველად

ველად დატოვების საფუძველი არ არსებობს, ამიტომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

22. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ე-+ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 07 სექტემბრის განჩინება და საქმე, შპს „ე-+ის“ სააპელაციო საჩივარის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად, დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივარის განუხილველად დატოვება სარვეზის შეუვესებლობის გამო**

### **განჩივება**

№ას-1218-1177-2016 17 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** ძირითად სარჩელში – პირგასამტებლოს დაკისრება, წილის სამართავად გადაცემა, შეგებებულ სარჩელში – პირგასამტებლოს დაკისრება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. მოსარჩელის/შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა:
- 1.1. ბ. ა. ბ-უმ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებე-

ბულ სარჩელზე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სა-სამართლოში მ. მ. ბ-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, აპელანტი ან კერძო საჩივრის ავტორი) მიმართ 2015 წლის 13 მაისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო პირგასამტებლოს – 1 000 000 აშშ დოლარის დაკისრებისა და შპს „თ-ში“ მისი კუთვნილი 45%-იანი წილის სა-მართავად გადაცემის მოთხოვნით;

1.2. მოპასუხებული შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ და ზემოხსენებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო პირგასამტებლოს – 1 000 000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

## **2. მოპასუხების პოზიცია:**

2.1. მოპასუხებ თავდაპირველი სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელებ თავად დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

2.2. თავდაპირველმა მოსარჩელემ ასევე არ ცნო შეგებებული სარჩელი და განმარტა, რომ 2015 წლის 13 მაისის გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულები მისი მხრიდან შესრულებულია, რაც შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობას გამორიცხავს.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხის 45%-იანი წილი შპს „თ-ში“ სამართავად გადაეცა მოსარჩელეს, მოპასუხეს ასევე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტებლოს – 100 000 აშშ დოლარის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შეგებებულმა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა გარუხებულველად.

## **6. კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა და კერძო საჩივ-**

## **რის ფაქტობრივი საფუძვლები:**

6.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

6.2. კერძო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს: სააპელაციო სასამართლოს მხარემ შუალედგომლობით მიმართა და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, რომელიც სასამართლოს უნდა შეეფასებინა და თუ არ დააკმაყოფილებდა, უნდა გაეგრძელებინა ხარვეზის გამოსწორების ვადა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მხარემ დადგენილი ხარვეზი ნანილობრივ გამოასწორა: წარადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის ნაბეჭდი და ელვერსია, ასევე, გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის დიდი ნაწილი. აპელანტის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა საპროცესო უფლების განხორციელების საშუალებაა, რაც საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობად არ უნდა იქნას მიჩნეული. ამგვარი მიდგომით მხარეს შეეზღუდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის დადასტურების მიზნითაც მხარემ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიჩნევს, რომ მ. მ. ბ.-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

1.2. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს ხარვეზის

სრულყოფილად გამოუსწორებლობის მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაა-მახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.2.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ივლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასასჩივრა შეგებებულმა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო, შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. სააპელაციო საჩივარში არ იყო მითითებული აპელანტის პოზიცია გასასჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებზე, ასევე, არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და არც რაიმე შუამდგომლობა ამ საპროცესო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე;

1.2.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინა ხარვეზი და მის ავტორს განჩინების ჩაბარებიდან 7 დღეში დაავალა:

ა) დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარის წარდგენა, რამდენი მხარეც მონაწილეობდა საქმეში;

ბ) სააპელაციო საჩივრის ელვერსის წარდგენა;

გ) სააპელაციო საჩივრის ლირებულების განსაზღვრა და მის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენა;

დ) განჩინებით განემარტა მხარეს ხარვეზის გამოუსწორებლობის ნეგატიური შედეგების თაობაზე;

1.2.3. აპელანტის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იმ საფუძვლით, რომ აპელანტი არ იმყოფებოდა ქ. ბათუმში, იშუამდგომლა საპროცესო ვადის 10 დღით გაგრძელების თაობაზე;

1.2.4. 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და აპელანტის გაუგრძელდა საპროცესო ვადა 10 დღით, ამასთან, კვლავ განემარტა ხარვეზის გამოუსწორებლობის შედეგების თაობაზე;

1.2.5. აპელანტის წარმომადგენელმა საპროცესო ვადის დაცვით მიმართა სასამართლოს და წარადგინა სააპელაციო საჩივრის ნაბეჭდი და ელვერსიები, ასევე, სახელმწიფო ბაჟის სახით 3 000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და იშუამდგომლა მისი დარჩენილი ნაწილის საქმის განხილვის დასრულებამდე გადავადების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მხარეს

აქვს სასამართლო დაუები და ვერ ახერხებს სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდას;

1.2.6. სააპელაციო პალატამ, გასაჩივრებული განჩინებით, მითითებული გარემოება არ მიიჩნია შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკმარის საფუძვლად და სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად იმ მოტივით, რომ მხარეს დადგენილი ხარვეზი სრულად არ ჰქონდა გამოსწორებული.

1.3. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს მის მიმართ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევის თოაბაზე შემდეგი დასაბუთებით:

1.3.1. როგორც უკვე აღინიშნა, სადაცო საკითხს აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესაძლებლობის სწორად შეფასება წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპი, თუმცა იგი არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვას, თავის მხრივ, შეზღუდვა ლეგიტიმურია, თუ იგი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ საფუძველს ემყარება. ამგვარ საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით კი, განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს. თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. სასამართლო ხელმისაწვდომობის საყოველთაო უფლებით სარგებლობის ზემოხსენებული საკანონმდებლო შეზღუდვისაგან არსებობს გამონაკლისიც, თუმცა, იგი ასევე არ არის

აბსოლუტური. მხარის მიმართ გარკვეული შეღავათის გამოყენების საკითხი, კანონით იმპერატიულად განსაზღვრული წინაპირობების გარდა (სსსკ-ის 46-ე მუხლი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი), სასამართლოს შეხედულებით წყდება, რა დროსაც სასამართლო საკითხს ე.ნ. „პროპრეციულობის ტესტის“ მიხედვით აფასებს. ამ დროს სასამართლო იკვლევს მხარის ქონებრივ მდგომარეობას (რომელიც პირდაპირ და უტყუარ მტკიცებულებებს ემყარება) და დარღვეული უფლების დაცვის ინტერესებს. ამგვარი საგამონაკლისო წესი დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ: პირის უფლების შეზღუდვასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის სამართლიან ბალანსს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (სსკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მოქმედებაც ვრცელდება მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ, აგრეთვე, სსკ-ის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც თანაბრად ვრცელდება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართ). კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) და-საშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად და-დასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და სწორედ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს სადაცოდ მიჩნეული უფლების სასამართლოს წესით დაცვის რეალიზების შეზღუდვას მოდავე მხარის მიმართ. ამგვარი მტკიცებულება აპელანტს სასამართლოსათვის არ წარუდგენია, ის შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფაქტზე მითითებით, რომ სასამართლოში მის მიმართ მიმდინარეობს სხვადასხვა დავა, თუმცა, ამ გარემოების დადასტურების მიზნითაც კი არ წარუდგენია მტკიცებულებები. საკასაციო პალატის აღნიშნული მსჯელობა არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკასაც (კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით). პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია, „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებ-

მა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ ფონებით, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეპროცესი კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს დასახული ლეგიტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის (Liakopoulou v.Greece, 20627/04, №17, 2006, ECHR). საქმის მასალებით ამგვარი ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ დგინდება. პალატა აქვე განუმარტავს კასატორს, რომ სასამართლითისათვის, ბუნებრივია არ არის უცნობი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები და ის დაშვებები, რომლებიც კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას უნდა შეესაბამებოდეს, თუმცა, შეზღუდვის ლეგიტიმურობის მიზნით, როგორც ზემოთ აღინიშნა, შუამდგომლობის ავტორს ევალება ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა.

1.3.2. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა არ წარადგინა რა მისი ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დაამაყოფილა მისი შუამდგომლობა.

1.4. საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის მეორე არგუმენტსაც, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უნდა გაეგრძელებინა მხარისათვის საპროცესო ვადა, თუკი შუამდგომლობას დაუსაბუთებლად მიიჩნევდა. პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სამართლწარმოებისას საჩივრის ფორმალურ შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან ადგენს სამოქალაქეო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლი და მისი მე-7 ნაწილი შეიცავს იმპერატიულ დანაწესს: სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით. საქმის მასალებით არ დასტურდება აპელანტის მიერ ამგვარი შუამდგომლობის დაყენების ფაქტი და არც კერძო საჩივარი შეიცავს ამ კუთხით მითითებას, რის გამოც, პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქეო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და მართებულად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი, რომლის ნინააღმდეგაც არ არის წარმოდგენილი სამოქალაქეო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების დასაბუთე-

ბული პრეტენზია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. მ. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

**სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობა სააპელაციო  
საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო**

**განრიცხვა**

№ას-682-653-2016

21 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** განქორნინება, შვილის ნახვის დღეების განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. ყ-მა (შემდეგში მოსარჩელებმ) ა. რ-ის (შემდეგში მოპასუხის) მიმართ და მოითხოვა მოპასუხესთან რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა და არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის წესის დადგენა.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ:

– მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა განკორნინებით;

– მოსარჩელეს თავისი არასრულწლოვანი შვილის ნახვისათვის დაუდგინდა შემდეგი დღეები: 6 წლის ასაკის მიღწევამდე – სამშაბათი დღე 17:00 საათიდან 20:00 საათამდე, ხოლო შაბათი დღე 16:00 საათიდან 20:00 საათამდე;

– 10 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ შვილთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა დადგინდა მხარეთა შეთანხმებით.

3. დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხება. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო.

5. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2016 წლის 12 აპრილს და იმავე დღეს გამოაცხად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მართალია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას არ ესწრებოდა მოპასუხება, თუმცა მისთვის კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება მოპასუხება მხარის ნარმომადგენელმა მოითხოვა და ჩაიტარა 2016 წლის 19 მაისს. მოპასუხება სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2016 წლის 30 მაისს.

6. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 369-ე და 259<sup>1</sup>-ე მუხლებზე და მიიჩინა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ოცდამეათე დღეს, ანუ – 2016 წლის 12 მაისს და ამოიწურა 2016 წლის 27 მაისს, მოპასუხებ კი, სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2016 წლის 30 მაისს, ანუ გასაჩივრების ვადის დარღვევით.

7. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, ასევე, სსსკ-ის 374-ე მუხლზე და მიიჩინა, რომ მოპასუხის სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო.

8. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მოპასუხებმ. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მას სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2016 წლის 25 მაისს, რაც დასტურდებოდა შპს „თ-ს“ მირ შედგენილი დოკუმენტით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

9. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიმწევს, რომ მოპასუხის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსაზილევლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსაზილევლად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

11. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილებად დატოვებას საფუძვლად დაედო აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში შეუტანლობა.

12. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას აღნიშნული მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილებად დატოვების თაობაზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2016 წლის 30 მაისს.

13. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა 2016 წლის 12 აპრილს, რის თაობაზეც მოპასუხე ინფორმირებული იყო კანონით დადგენილი წესით. დადგენილია, ასევე, რომ მოპასუხებმ დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემა მოითხოვა და ჩაიბარა 2016 წლის 19 მაისს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მი-

იჩნევს, რომ, სსსკ-ის 369-ე და 259<sup>1</sup>-ე მუხლების მიხედვით, სა-აპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ოცდამეათე დღის მეორე დღეს, ანუ – 2016 წლის 13 მაისს და ამოიწურა 2016 წლის 27 მაისს.

14. საქმეში წარმოდგენილი შპს „თ-ს“ (ფოსტის) მიერ შედ-გენილი სასამართლო გზავნილის ჩაბარების შესახებ დოკუმენ-ტით (ქვითარი №...) დასტურდება, რომ მოპასუხემ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩაბარა 2016 წლის 25 მაისს. თავის მხრივ, ფოსტამ ეს გზავნილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადას-ცა 2016 წლის 30 მაისს.

15. სსსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცე-სო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვა-და, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

16. ზემოაღნიშული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თუ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის 24 საათამდე, საჩივარი ითვლება ვადაში შეტანილად.

17. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ ითქვა, სააპე-ლაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა იყო 2016 წლის 27 მაისი, შესაბამისად, ვინაიდან მოპასუხემ სააპელაციო საჩივარი ფოს-ტას ჩაბარა 2016 წლის 25 მაისს, საჩივარი ვადაში შეტანილად ითვლება.

18. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-თლო მიიჩნევს რომ, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო მოპა-სუნის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სა-ფუძველი არ არსებობს, ამიტომ გასაჩივრებული განჩინება უნ-და გაუქმდეს და მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დასაშვებო-ბის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასა-მართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

19. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ადგინდა:**

- ა. რ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინება და საქმე ა. რ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამონმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

№ას-1024-985-2016

30 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაეური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „კ+“-მა (შემდგომში „მოსარჩევე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-ის (შემდგომში „მოპასუხე“, „კერძო საჩივრის ავტორი“) მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1500 აშშ დოლარის გადახდა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა მოპასუხება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება გ. გ-ს პირადად

ჩაბარდა 2016 წლის 17 ივლისს, შესაბამისად, მისთვის გასაჩივრების 14 დღიანი ვადის ათველა დაიწყო მეორე დღეს – 2016 წლის 9 ივლისს და ამოინურა 2016 წლის 1 აგვისტოს. სააპელაციო საჩივარი კი გ-მა სასამართლოში წარადგინა 2016 წლის 22 აგვისტოს, რითაც დაარღვია გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი 14 დღიანი ვადა.

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. გ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებზე მითითებით:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება მოპასუხემ ჩაიბარა არა 2016 წლის 17 ივლისს, არამედ 2016 წლის 17 აგვისტოს. ხელწერილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად, გასაჩივრების კანონით დადგენილი 14 დღიანი ვადა მას არ დაურღვევია. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლო ერთი თვის ვადაში ამზადებს გადაწყვეტილებას. მოცემულ საქმეზე სასამართლო სხდომა ჩატარდა 2016 წლის 8 ივლისს, შესაბამისად, ცხრა (9) დღეში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებას ამ მარტივი მიზეზის გამოცვერ შეძლებდა. ამასთან, საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 14 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით იგი არ იმყოფებოდა თბილისში, აქედან გამომდინარე, ვერ ჩაიბარებდა გადაწყვეტილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

9. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განშილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო წორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე

მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეყნებისა.

11. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრით სადავოდ არის გამხდარი სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. გ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ თბილის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილება გასაჩივრების უფლების მქონე მხარემ ჩაიბარა 2016 წლის 17 ივლისს და ვინაიდან მან 2016 წლის 22 აგვისტოს წარადგინა სააპელაციო საჩივრი, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 14 დღიანი ვადა.

12. აღნიშნული დასაბუთების საპირისპიროდ, კერძო საჩივრის ავტორი ამტკიცებს, რომ მას გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია და გადაწყვეტილების ჩაბარებისას დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა – ნაცვლად ხელწერილში მითითებული თარილისა – 2016 წლის 17 ივლისი, მითითებული უნდა ყოფილიყო – 2016 წლის 17 აგვისტო. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრი მის მიერ წარდგენილი იქნა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ 14 დღიან ვადაში.

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

14. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოთ აღნიშნული მუხლი, ერთის მხრივ, ადგენს მხარის ვალდებულებას, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილე-

ბის მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორეს მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად. საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ მხარემ სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაადასტუროს სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების მისაღებად გამოცხადების ფაქტი.

15. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული ხელწერილის თანახმად, გ. გ-მა საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაიბარა 2016 წლის 17 ივლისს, ანუ საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან გასულია ცხრა (9) დღე. შესაბამისად, გასაჩივრების უფლების მქონე მხარისათვის სასამართლოსთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის ვალდებულება (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არ უადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა) ჯერ არ დამდგარა. კინაიდან მხარისათვის ცნობილი იყო 2016 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თაობაზე, იგი დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო 2016 წლის 28 ივლისიდან (მე-20 დღე) 2016 წლის 7 აგვისტოს (30-ე დღე) ჩათვლით.

16. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი სადაც ხდის ხელწერილი მითითებულ თარიღს მის მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო და აცხადებს, რომ გადაწყვეტილება ჩაიბარა 2016 წლის 17 აგვისტოს.

17. საკასაციო სასამართლო მიუთიობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არასებობის შესახებ.

18. საკასაციო პალატა უდავოდ დადგენილად მიიჩნევს, რომ 2016 წლის 17 ივლისი იყო კეირა, არასამუშაო დღე და მხარე ვერ მიმართავდა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, 2016 წლის 17 აგვისტო კი იყო ოთხშაბათი, და გო-

ნივრული ალბათობით, მხარეს შეეძლო სასამართლოში გამოცხადება გადაწყვეტილების ჩასაბარებლად.

19. ამრიგად, გამომდინარე იქიდან, რომ:

ა) საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელი ხელწერილი მხარემ სადაცოდ გახადა მასში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო;

ბ) ხელწერილში მითითებული თარიღი – 2016 წლის 17 ივლისი იყო კვირა დღე და ამ დღეს მხარე ვერ მიმართავდა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით;

გ) ამასთან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 2016 წლის 17 ივლისს, ანუ საქმის ზეპირი მოსმენის დასრულებიდან და გადაწყვეტილების გამოტანიდან ცხრა დღეში სასამართლოს მზად ჰქონდა დასაბუთებული გადაწყვეტილება, მაშინ, როცა მხარეს მისი მოთხოვნის ვალდებულება წარმოეშობა გადაწყვეტილების გამოტანიდან მე-20 დღეს (არა უადრეს 20 დღისა), საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი), ზემოაღნიშნული გარემოებები უნდა განიმარტოს მხარის სასარგებლოდ, კერძოდ, იმგვარად, რომ დაცული იქნას გასაჩივრების უფლების მქონე მხარის უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები. იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება, რაც საწინააღმდეგოს დაადასტურებდა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც საწინააღმდეგოთი არ დასტურდება, უნდა გადაწყდეს მხარის სასარგებლოდ და დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღედ არ უნდა იქნას მიიჩნეული 2016 წლის 17 ივლისი.

21. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც არ დგინდება გ. გ-ის მიერ საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების 2016 წლის 17 ივლისს ჩაბარების ფაქტი, ხოლო კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მან გადაწყვეტილება ჩაიბარა 2016 წლის 17 აგვისტოს, რომელიც არის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-40 დღე, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, მხარისთვის საპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14 დღიანი ვადის ათვლა დაიწყო არა გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან, არამედ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს (2016 წლის 8 აგვისტოს, ხოლო ვინაიდან 21 აგვისტო იყო კვირა, არასამუშაო დღე, სსსკ 61-ე მუხლის შესაბა-

მისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურა მომ-დევნო პირველ სამუშაო დღეს, 2016 წლის 22 აგვისტოს, როდე-საც წარდგენილ იქნა კიდეც სააპელაციო საჩივარი.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასა-ციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ აპელანტს არ დაურღვევა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დად-გენილი ვადა. შესაბამისად, არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გასაჩივ-რებული განჩინების გაუქმებისა და გ. გ-ის სააპელაციო საჩივ-რის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ოქტომბრის განჩინება და საქმე გ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სა-სამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

**სააკელაციო საჩივრის შეტანის ვადა**  
**გადაცემის შეტანის ვადა**

**განხილვა**

№ას-266-254-2017

4 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთ-  
ხოვა

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. უძრავი ქონება, მდებარე ქ. მცხეთა, სოფ. ...., ს/კ ..... (შემ-  
დეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო უძრავი ქო-  
ნება ან სადავო საცხოვრებელი სახლი) საჯარო რეესტრში ირიც-  
ხება ე. კ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მო-  
სარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან მესაკუთრე) საკუთრებად  
{საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხ-  
ლის „ა“ ქვეშუნქტი}.

2. ზ. ბ-ა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპა-  
სუხე, აპელაცი ან კერძო საჩივრის ავტორი) მოსარჩელის ნე-  
ბის სანინააღმდეგოდ, ფაქტობრივად ცხოვრობს მოსარჩელის  
კუთვნილ სადავო საცხოვრებელ სახლში.

3. 2016 წლის 10 ივნისს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპა-  
სუხის წინააღმდეგ უკანონო მფლობელობიდან სადავო უძრავი  
ნივთის გამოთხოვისა და მისი გამოთავისუფლებულ მდგომა-  
რეობაში გადაცემის მოთხოვნით {საქართველოს სამოქალაქო  
კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 172-ე მუხლის პირველი ნაწილი}.

4. 2016 წლის 13 ოქტომბრისა და 21 ოქტომბრის მოსამზადე-  
ბელ და მთავარ სხდომებზე, საქმის განხილვები მონაწილეობ-  
და მოპასუხის წარმომადგენელი რ. ჩ-ე, რომელსაც რწმუნებუ-  
ლების უფლებამოსილების ვადა 2016 წლის 1 ოქტომბრისათვის  
ამონურული ჰქონდა. 2016 წლის 21 ოქტომბრის მთავარ სხდო-  
მაზე მას სრულად ცნო სარჩელი.

5. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომ-  
ბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაქმაყოფილდა; მოპასუხის

უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა სადაც უძრავი ქონება და დადგინდა მისი მოსარჩელისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა. სასამართლომ დავის მოსახესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 162-ე, 170-ე, 172.1, 312.1 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 3.2 და 208.3 მუხლები.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასახივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 იანვრის განჩინებით, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათველა, სსკ-ის 259<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, 2016 წლის 22 ოქტომბრიდან დაიწყო და ამოიწურა უქმე დღეს – 2016 წლის 4 დეკემბერს, ამდენად, აპელანტს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადად განესაზღვრა 2016 წლის 5 დეკემბერი. პალატის განმარტებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა დაგვიანებით – 2016 წლის 6 დეკემბერს, რაც სააპელაციო საჩივარის განუხილველად დატოვების საფუძველი იყო.

8. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

8.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე განხილულ იქნა მოპასუხის დაუსწრებლად, ვინაიდან მას კანონით დადგენილი წესით არ მიუღია შეტყობინება სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ;

8.2. სააპელაციო პალატამ შედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოპასუხის წარმომადგენელს საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებისა და სარჩელის ცნობის უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან მისი რწმუნებულება ვადაგასული იყო;

8.3. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად, ვინაიდან, მოპასუხემ იგი გასაჩივრების ვადის დაცვით შეიტანა;

8.4. სასამართლოს დასკვნა, რომ სსკ-ის 259<sup>1</sup>-ე მუხლის დანესიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვა-

დის ათვლა დაიწყო 2016 წლის 22 ოქტომბერს და ამოიწურა 2016 წლის 5 დეკემბერს, არასწორია ვინაიდან, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უნდა აითვალოს არა მისი გამოცხადებიდან, არამედ, იმ დღიდან, როდესაც მან (მოპასუხემ) ჩაიბარა გადაწყვეტილება, ანუ 2016 წლის 25 ნოემბრიდან.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის განჩინებით, კერძო საჩივარი სსსკ-ის 414-ე-416-ე მუხლების საფუძველზე მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასაბლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

10. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

10.1 სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

10.2. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სააპელაციო სასამართლოს დასკვნის მართებულობა სსსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობასთან დაკავშირებით. სახელდობრ, ის რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა კანონით დადგენილი ვადის (14 დღე) დარღვევით და აღნიშნულის გამო იგი დაუშვებელი იყო.

10.3. სსსკ-ის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენე-

ლი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადებს სასამართლოში და ჩაიპაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა და-იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვა-დის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. საკასაციო პალა-ტა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული წესის ამოქმედებისათ-ვის აუცილებელია გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტი (მხარე ან მისი წარმომადგენელი) ესწრებოდეს გადაწყვეტილე-ბის გამოცხადებას, ან მისთვის ცნობილი იყოს გადაწყვეტილე-ბის გამოცხადების თარიღი (სასამართლო შეტყობინების გზით).

10.4. სსსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სა-აპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძე-ლება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. და-საბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლე-ბა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩა-ბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup>-ე მუხლის შე-საბამისად, ასევე 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენი-ლი ვადის გასვლის შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ კერძო საჩივრის ავტორს წარ-მოადგენდა პირი, რომელსაც არ გააჩნდა კანონით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობა, რომელიც მას მიანიჭებდა სა-სამართლოში საქმის წარმოების უფლებამოსილებას (სსსკ-ს 96-ე და 98-ე მუხლები). პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩა-ტარებულ 2016 წლის 13 ოქტომბრისა და 21 ოქტომბრის სხდო-მებში კერძო საჩივრის ავტორს პირადად მონაწილეობა არ მიუ-ლია და მისი სახელით საქმის განხილვაში მონაწილეობდა არა-უფლებამოსილი წარმომადგენელი. პალატა აღნიშნავს, რომ მო-ცემულ შემთხვევაში, შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარე-ზოლუციო ნაწილი პირველი ინსტანციის სასამართლომ გამო-აცხადა 2016 წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე, სადაც სასამარ-თლომ, ზემოთმითითებული ნორმების საფუძველზე, განმარ-ტა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადე-ბი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვე-ვაში, არ არსებობს სსსკ-ის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობა, გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე მხარე არც პირადად და არც უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით არ ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გა-მოცხადებას და ამასთან, კერძო საჩივრის ავტორისათვის უც-ნობი იყო გადაწყვეტილების მიღებისა და გამოცხადების თარი-

ლიც (საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მას ეცნობა სა-  
რეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შესახებ).

10.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღია-  
ნი ვადის ათვლა, მოპასუხის შემთხვევაში, უნდა დაიწყოს და-  
საბუთებული გადაწყვეტილების მისთვის უშუალოდ ჩაბარების  
მომდევნო დღიდან. როგორც თავად კერძო საჩივრის ავტორი  
ადასტურებს, მან დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაიბარ  
2016 წლის 25 ნოემბერს. პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში რაი-  
მე სხვა მტკიცებულება მისთვის გასაჩივრებული გადაწყვეტი-  
ლების გაგზავნისა და ჩაბარების შესახებ არ მოიპოვება. ამდე-  
ნად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრების ვა-  
დის ათვლა დაიწყო, დასაბუთებული გადაწყვეტილების მოპა-  
სუხისათვის ჩაბარების მომდევნო (სსსკ-ის მე-60 მუხლის მეო-  
რე ნაწილი) დღიდან – 2016 წლის 26 ნოემბრიდან და ინურებო-  
და 2016 წლის 9 დეკემბერს 24 საათზე (სსსკ-ის 61-ე მუხლის  
მე-3 ნაწილი). საქმის მსალებით დასტურდება, რომ კერძო სა-  
ჩივრის ავტორმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2016 წლის 6  
დეკემბერს, შესაბამისად, პალატა თვლის, რომ დაცული იყო  
კანონით დადგენილი სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღი-  
ანი ვადა (სსსკ-ის 369-ე მუხლი).

11. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო  
სასამართლომ ხელახლა უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივ-  
რის დასაშვებობაზე, რადგანაც არ არსებობდა გასაჩივრების  
ვადის გასვლის მოტივით საჩივრის განუხილველად დატოვების  
სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 419-ე-  
420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ბ-ს კერძო საჩივარი დაემაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-  
ლაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 იანვრის განჩინება და  
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმე ხელახ-  
ლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. კერძო საჩივრის ავტორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი  
აქვს.
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

### სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

#### განხილვა

№ას-1068-1027-2016

30 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ლ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „კ-ის“ მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის და განაც-დურის ანაზღაურების თაობაზე.
2. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.
3. სს „კ-მა“ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ლ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.
4. შეგებებული სარჩელის მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის საოქმო განჩინებით დაზუსტდა მოპასუხე, შეგებებულ სარჩელში მოსარჩელე მხარის სახელწოდება და ნაცვლად სს „კ-ისა“ მიეთითა სს „ტ-ი“.
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სს „ტ-ის“ შეგებებული სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.
7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-მა.
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივრი მიღებული იქნა განსახილველად და ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა სასამართლოს

მთავარ სხდომაზე 2016 წლის 12 ოქტომბერს 13:00 საათზე.

9. სს „ტ-მა“ სააპელაციო სასამართლოს მიმართა შეგებებული სააპელაციო საჩივრით.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილვებიდან.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით 6. ლ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სს „ტ-ის“ მიმართ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის გამო; 6. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის შეცვლით ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; 6. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სს „კ-ის“ 2014 წლის 27 თებერვლის ბრძანება 6. ლ-თან შრომითა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; 6. ლ-ი აღდგენილ იქნა სს „ტ-ის“ აღმაშენებლის განყოფილების მმართველის თანამდებობაზე; სს „ტ-ს“ 6. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის სახით ყოველთვიურად 3500 ლარის ანაზღაურება 2014 წლის 27 თებერვლიდან სამსახურში აღდგენის დღემდე.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

13. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით 6. ლ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, ამავე განჩინებით სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 12 ოქტომბერს 13:00 საათზე.

15. სს „ტ-ს“ სააპელაციო საჩივრის ასლი და უწყება 2016 წლის 12 ოქტომბერს 13:00 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე ჩაბარდა 2016 წლის 20 სექტემბერს.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 04 ოქტომბრის განჩინებით შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

17. 2016 წლის 04 ოქტომბერს სს „ტ-ის“ უფლებამოსილ წარ-

მომადგენელს, ს. ს-ს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეცნობა სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების თაობაზე.

18. 2016 წლის 12 ოქტომბერს დანიშნულ მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა სს „ტ-ი“.

19. სასამართლო ინფორმირებული არ არის დაუძლეველი ძალის ან სხვა რაიმე ისეთი მოვლენის შესახებ, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისთვის. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ არ-სებობდა სხდომის გადადების კანონისმიერი წინაპირობები.

20. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

21. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

22. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი წარმოის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული.

23. სასამართლომ მიიჩნია, რომ საფუძვლიანი იყო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

24. შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაზე სს „ტ-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი და

მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

25. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 15 სექტემბერს მიიღო წარმოებაში 6. ლის ძირითადი სააპელაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა 2016 წლის 12 ოქტომბერს 13 საათზე. ამდენად, 12 ოქტომბრის სხდომა დანიშნული იქნა იმთავითვე, 6. ლის ძირითადი სააპელაციო საჩივრის განხილველად და ცხადია, რომ ამ დროისათვის არ არსებობდა შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

26. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლზე და განმარტა, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, თუმცა განჩინების სარეზოლუციო წარილი არ შეიცავს მითითებას შეგებებული სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღის განსაზღვრის შესახებ. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, უდავოა, რომ სასამართლოს არც შემდგომ პერიოდში მიუღია გადაწყვეტილება შეგებებული სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღის შესახებ და სს „ტ-ისთვის“ არ გაუგზავნია შეტყობინება შეგებებული სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

27. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სს „ტ-ისთვის“ 20 სექტემბერს ჩაპარებული უწყება 12 ოქტომბერს დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ, შევსებულია არასრულად, არ აქმაყოფილებს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, აღნიშნული უწყება სს „ტ-ს“ ჩაპარდა 20 სექტემბერს, რა დროსაც შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ არსებობდა და ცხადია, იგი ვერ მიიჩნევა სასამართლო უწყებად შეგებებული სააპელაციო საჩივრის განხილვის შესახებ.

28. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, გაუგებარია სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ სს „ტ-ის“ წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეცნობა სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების თაობაზე. კერძო საჩივრის ავტორი ადასტურებს მოსამართლის თანაშემნის პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეტყობინების მიღების ფაქტს, თუმცა განმარტავს, რომ აღნიშნული მიმოწერა არ ატარებდა ოფიციალურ ხასიათს და მხოლოდ მხარის ინფორმირებას ემსახურებოდა. ამასთან, მიმოწერის შინაარსი ადასტურებს, რომ სს „ტ-მა“ თანაშემნისგან მიიღო ინფორმაცია მხოლოდ შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ და სასამართლოს არა არაოფიციალური ფორმით უცნობებია მხარისათვის შეგებებული სააპელაციო სა-

ჩივრის განხილვის თარიღის შესახებ.

29. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და ვამარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სს „ტ-ს“ არ გააჩნდა ინფორმაცია შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე შემხვედრი სააპელაციო შესაგებლის წარმოდგენის თაობაზე და შესაბამისად, არც აღნიშნული შესაგებელი ჩაბარებია.

30. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს არ უნდა მიეღო განჩინება შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, სასამართლოს სხდომა უნდა გადაედო სხვა დროისათვის, სს „ტ-ისთვის“ გაეგზავნა შემხვედრი სააპელაციო შესაგებელი და უწყება შეგებებული სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღის შესახებ.

### სამოტივაციო ნაწილი:

31. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ტ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებას შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოების საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

33. საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით, ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე:

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელა-

ციონ სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მონესრიგებას (სსსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ენინაალმდეგება.

35. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძერების პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინაალმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

36. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

37. კანონის აღნიშნული დანაწესი უშუალოდ უკავშირდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მესამე ნაწილით, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და სასამართლოსათვის არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებია, ხოლო მონინაალმდეგე მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება არ მოუთხოვია.

38. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით არ განუსაზღვრავს შეგებებული სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღი და შესაბამისად, სს „ტ-ისთვის“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ უცნობებია შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად სასამართლო სხდომის თაობაზე.

39. კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიის შესწავლის მიზნით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმიში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

40. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით 6. ლ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და სააპელაციო საჩივრის განსახილველად სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 12 ოქტომბერს 13:00 საათზე.

41. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად. სასამართლო განჩინება არ შეიცავს ჩანაწერს შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად სასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის თაობაზე.

42. საქმის მასალებით დგინდება, რომ სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად სასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა არ მომხდარა არც მოგვიანებით, შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარმოდგენის შემდგომ.

43. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმითა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი 2016 წლის 12 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის გამო.

44. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სს „ტ-ს“ კანონით დადგენილი წესით ეცნობა 2016 წლის 12 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეგებებული სააპელაციო საჩივრის განხილვის თაობაზე.

45. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლზე, რომლის თანხმადაც სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

46. აღნიშნული წორმა უშუალოდ ადგენს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების წესს და სასამართლოს ავალდებულებს, სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ განჩინებით დანიშნოს სხდომა საქმის ზეპირი განხილვის მიზნით.

47. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით არ განუსაზღვრავს სს „ტ-ის“ შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე საქმის ზეპირი განხილვის დრო. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხ-

ლით დადგენილი წესი.

48. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის სს „ტ-ისთვის“ შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად სასამართლო სხდომის თაობაზე უწყების გაგზავნის ან/და ჩაბარების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

49. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას სს „ტ-ისთვის“ 2016 წლის 20 სექტემბერს ჩაბარებულ სასამართლო უწყებაზე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიღებულ იქნა მხოლოდ 2016 წლის 04 ოქტომბერს და ამდენად, სასამართლო უწყება, რომელიც სს „ტ-ს“ გაეგზავნა 6. ლ-ის სააპელაციო საჩივარზე დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე, შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორისთვის საპროცესო სამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ მსჯელობს სს „ტ-ისთვის“ 6. ლ-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე უწყების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარების საკითხზე.

50. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ სს „ტ-ის“ წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეცნობა შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ როგორც მოსამართლის თანაშემწის აქტით, ისე კერძო საჩივარზე თანდართული ელექტრონული მიმოწერის შინაარსით დგინდება, რომ სს „ტ-ის“ წარმომადგენელს ეცნობა მხოლოდ შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ და არ მომზდარა მხარის ინფორმირება სასამართლო სხდომის თარიღთან დაკავშირებით. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ზემოაღნიშნული ელექტრონული მიმოწერა განხორციელებულია მოსამართლის თანაშემწის ვირადი ელექტრონული ფოსტიდან და ამდენად, არ ატარებდა სასამართლოს მხრიდან ოფიციალური შეტყობინების სახეს.

51. საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში სს „ტ-ს“ დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, დადგენილია, რომ 6. ლ-მა შესაგებელი სს „ტ-ის“ შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე წარადგინა 2016 წლის 10 ოქტომბერს, თუმცა საქმის მასალებით დადასტურებული არ არის აღნიშნული შესაგებლის სს „ტ-ისთვის“ ჩაბარების ფაქტი, რაც

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების (სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე განჩინების) გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს.

52. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ არ არსებობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის მოტივით სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძვლი.

53. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის სს „ტ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ტ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინება შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სს „ტ-ს“ (ს/ნ: ...) დაუბრუნდეს ს. ს-ის (პ/ნ: ...) მიერ 2016 წლის 7 ნოემბერს №0 საგადახდო დავალებით გადახდილი 150 (ას ორმოცდაათი) ლარიდან ზედმეტად გადახდილი 100 (ასი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი REPLGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 11. კასაცილის დასაშვებობა

### გადაცემის დასაშვებობის გაუქმების აპლიკაციური საფუძვლები

#### განხილვა

№ას-777-744-2016

27 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ქირის დაკისრება, ამხანაგობის საქმიანობასთან  
დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემის დავალდებულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-  
ფუძვლები:

1.1. მ. კ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელაციის მოწინააღ-  
მდეგე მხარე, კასატორი ან ამხანაგობის „მესაკუთრე“ წევრი) სარჩელი აღმრა სასამართლოში იბა „მ-ე-2-ის“ თავმჯდომარე ზ.  
ჯ-ის (შემდგომში – მოპასუხე, პედაგოგი, კასატორის მოწინააღ-  
მდეგე მხარე ან ამხანაგობის „ინვესტორი“ წევრი) მიმართ და მო-  
ითხოვა სარჩელის აღქვრის დროისათვის არსებული საიჯარო ქი-  
რის დავალიანების – 21 850 აშშ დოლარის, სარჩელის აღქვრიდან  
№5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეს-  
რულებამდე ყოველთვიურად, თვის ბოლო დღეს 800 აშშ დოლა-  
რის მოპასუხისათვის დაკისრება, ასევე, მისი დავალდებულება,  
გადასცეს მოსარჩელეს ამხანაგობის საქმიანობასა და ფუნქცი-  
ონირებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:  
2009 წლის 3 თებერვალს დაფუძნდა ინდივიდუალურ მენაშენე-  
თა ამხანაგობა „მ-ე-2“ (შემდგომში – ამხანაგობა), რომლის „მე-  
საკუთრე“ დამფუძნებელ წევრს წარმოადგენს მოსარჩელე. „მე-  
საკუთრის“ შესატანი განისაზღვრა მისსავე საკუთრებაში არ-  
სებული ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2-ში მდებარე სახლით. გარდა  
„მესაკუთრე“ დამფუძნებელი წევრებისა, რომელთა შენატანი  
განისაზღვრა ასევე მათსავე საკუთრებაში არსებული უძრავი  
ნივთებით, ამავე ამხანაგობაში განევრიანებულები არიან „ინ-

ვესტორი“ დამფუძნებელი წევრები. აღნიშნულ პირებს სადამ-ფუძნებლო ხელშეკრულების მე-4 მუხლით დაეკისრათ „მესა-კუთრე“ წევრებისათვის საცხოვრებელი ბინების დაქირავების ვალდებულება მთელი მშენებლობის განმავლობაში. სწორედ ამ ფარგლებში, ამხანაგობის თავმჯდომარესა და მოსარჩელეს შო-რის დაიდო დამატებითი შეთანხმება „ხელშეკრულება №5“, რომლითაც ამხანაგობის თავმჯდომარემ და ინვესტორმა მო-პასუხებ იკისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის გადასაცემი სახლის ამავე შეთანხმებაში აღნერილი პირობებით დასრულე-ბამდე გადაეხადა ბინის ქირა ყოველთვიურად 800 აშშ დოლა-რის ოდენობით. მოპასუხის მიერ აღნიშნული ვალდებულება არაჯეროვნად შესრულდა და სარჩელის აღძვრის მომენტის-თვის დავალიანება 21 850 აშშ დოლარს შეადგენს, რომელსაც, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, ვალდებული პირი არ ას-რულებს. გარდა ამისა, „მესაკუთრე“ წევრს ამხანაგობის სადამ-ფუძნებლო ხელშეკრულებით უფლება აქვს, იცნობდეს ამხანა-გობის საქმიანობასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნა დოკუმენ-ტაციის გადაცემის თაობაზე იგნორირებულია.

## 2. მოპასუხის პოზიცია:

მარტივი შესაგებლით მოპასუხებ სარჩელი არ ცნო, ხოლო სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მოსარჩელის მიმართ არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა აღებული. ამხანაგობის სა-დამფუძნებლო დოკუმენტაციით არის განსაზღვრული „მესა-კუთრე“ და „ინვესტორი“ წევრების უფლება-მოვალეობები. ხელ-შეკრულებით ასევე განისაზღვრა, რომ მოსარჩელეს უნდა მიე-ლო ბინები ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში. შეთანხმე-ბაში განმარტებულია, თუ რა არის თეთრი კარკასი, რითაც შეგ-ვიძლია განვსაზღვროთ რაზე იყვნენ შეთანხმებული ხელშეკ-რულების მხარეები. ამასთან, მოსარჩელის მოთხოვნას წარმო-ადგენს მოპასუხისათვის სარჩელის აღძვრის დღიდან ქირის და-კისრება, მაგრამ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებუ-ლება, რომელიც დაადასტურებდა რომ მოსარჩელეს დადებუ-ლი აქვს ქირავნობის ხელშეკრულება და გამქირავებელს უხ-დის ყოველთვიურად 800 აშშ დოლარს. საგულისხმოა ის გარე-მოებაც, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა არ არის გამოწ-ვეული მხოლოდ მოპასუხის ბრალით. როგორც „მესაკუთრე“ წევ-რის განმარტებიდან დგინდება, მისთვის გადაცემული 4 ბინი-დან სულ ცოტა არი მანიც იყო მიყვანილი საცხოვრებლად ვარ-გის მდგომარეობამდე არა მარტო 2013 წლის დეკემბრისათვის, არამედ – 2012 წლის დეკემბრისთვისაც. „მესაკუთრე“ წევრი

განზრას არ ახორციელებს მის უფლებას, იცხოვროს აშენებულ ერთ-ერთ ბინაში, რითაც ზიანდება ზოგადად ამხანაგობის ინტერესები.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციით ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 22 650 აშშ დოლარის გადახდა, მასვე დაევალა, გადასცეს მოსარჩელს ამხანაგობის საქმიანობასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ყოველთვიურად 800 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებამდე, ასევე, განაწილდა პროცესის ხარჯები.

### **4. აპელაციის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა „ინვესტორმა“ წევრმა, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციით ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივრარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ (სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში) გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით აპელაციის მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციონ სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ამხანაგობის შიდა ურთიერთობაში ერთობლივი საქმიანობის მონაწილე ერთი წევრის მოთხოვნის საფუძვლიანობა ამავე ხელშეკრულების მონაწილე სხვა წევრის მიმართ. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამხანაგობის მარეგულირებელი მატერიალური სამართლის ნორმათა გათვალისწინებით, მოპასუხე არ წარმოადგენდა სარჩელზე პასუხისმგებელ ერთადერთ პირს, შესაბამისად, განსასაზღვრი იყო მოპასუხეთა წრე, რის გამოც არსებობდა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლო-სათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

1.2. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების ზე-მოხსენებულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე სწორედ მოპასუხე წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს, რადგანაც ვალდებულების არსებობა სადაცო არ გამხდარა, ხოლო მოპასუხე, როგორც ერთობლივი საქმიანობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების, ისე – საკუთარი პასუხისმგებლის დამაზუსტებელი ქ.წ. №5 ხელშეკრულების ფარგლებში წარმოადგენს მოვალეს, შესარულოს ნაკისრი ვალდებულება.

1.3. საკასაციონ სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას და მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აპსოლუტური საფუძველი, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით საკასაციონ სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.3.1. 2009 წლის 3 თებერვალს – ბ. ჩ-ეს, მ. კ-ს, ნ. გ-ს, მ. ჩ-ეს, ლ. ჯ-ეს, ზ. ჯ-ს, თ. ს-ს, თ. ქ-ს, ა. ნ-სა და ნ. ჯ-ს შორის დაიდო ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება და დამფუძნებლებისათვის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემა;

1.3.2. ამხანაგობის წევრები: ბ. ჩ-ე, მ. კ-ი, ნ. გ-ი, მ. ჩ-ე და ლ. ჯ-ე წარმოადგენენ, „მესაკუთრეებს“, რომელთა შესატანს ამხანაგობაში შეადგენდა უძრავი ქონება – მათი კუთვნილი მინის ნაკვეთები მათზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად, ხოლო ამავე ამხანაგობის წევრები: ზ. ჯ-ი, თ. ს-ი, თ. ქ-ი, ა. ნ-ი, ნ. ჯ-ი, იწოდებიან „ინვესტორებად“, რომელთა შესატანი ამხანაგობაში ხელშეკრულებით განისაზღვრა შემდეგნაირად: ზ. ჯ-ის შესატანს წარმოადგენდა საცხოვრებელი სახლის მშენებლიობა და მისი წილობრივი დაფინანსება; თ. ს-ის – საცხოვრებელი სახ-

ლის შენებლობის წილობრივი დაფინანსება; ა. ნ-ის – საცხოვრებელი სახლის პროექტი, არქიტექტურული და მუშა დოკუმენტაცია, ტექნიკური ზედამხედველობა; თ. ქ-ის – მშენებლობის ორგანიზაციული საკონსენტის მოგვარება და ერთი სამოთახიანი ბინის მშენებლობის დაფინანსება, ხოლო ნ. ჯ-ის – სამშენებლო მასალებით მომარაგება. „ინვესტორები“ წილობრივად აგებდნენ პასუხს, როგორც ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი ვალებისათვის მესამე პირების წინაშე, ასევე, ერთმანეთთან ურთიერთობაშიც, ამასთანავე, ვალდებული იყვნენ „მესაკუთრეთა“ მიერ ბინების დაცლის სურვილის გაცხადებისთანავე უზრუნველყოთ ისინი მათივე შერჩევით დაქირავებული ბინებით მთელი მშენებლობის განმავლობაში;

1.3.3. მოსარჩევესა და მოპასუხეს შორის დაიდო №5 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, „ინვესტორმა“ იკისრა ვალდებულება ამხანაგობის წევრი მოსარჩევის წინაშე, რომ ჩააბარებდა და მისთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ფართს ე.ნ თეთრი კარკასის მდგომარეობაში, რომლის ფაქტობრივი მახასიათებლებიც მხარეებმა დეტალურად აღნირეს თავად ამ №5 ხელშეკრულებაში, ამასთანავე, „ინვესტორმა“ წევრმა იკისრა ვალდებულება, არსებული საცხოვრებელი სახლის დასრულებამდე გადაეხადა ბინის ქირა თვეში 800 აშშ დოლარის ოდენობით.

1.4. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის, როგორც დავალიანების, ისე – მიმდინარე ქირის დაკისრება და ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოსარჩელისათვის გადაცემის დავალდებულება (საგულისხმოა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულებით განსაზღვრულ მდგომარეობაში საცხოვრებელი ფართის ნაწილი მოსარჩელეს 2013 წლის ბოლოს გადაეცა, ამ დროიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე ყოველთვიურად 800 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საპელაციო წესით არ გასაჩივრდა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ეს ნაწილი სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს).

1.5. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას მხარეთა შორის სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის თაობაზე, ასევე იმას, რომ

„მესაკუთრე“ წევრსა და „ინვესტორს“ შორის დადებული №5 ხელშეკრულება წარმოადგენს 2009 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებიც სწორედ ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტთან ერთობლიობაში უნდა იქნას შეფასებული, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი ნების გარეგანი გამოხატულების (ფორმირებული) ნამდვილი შინაარსის დასადგენად საჭიროდ მიიჩნევს არა მხოლოდ მის სიტყვასიტყვით განმარტების, არამედ, „გონივრული განსჯის“ მეთოდის გამოყენებასაც. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის ფარგლებში მხარეთა მიერ დასახული მიზანი, მათ შორის გაფორმებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შინაარს და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა ერთობლივი ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს იმის თაობაზე, რომ №5 ხელშეკრულებაში ფორმირებული ნება სწორედ ერთობლივი საქმიანობის მიზნის მიღწევის ხელშეწყობის საშუალებაა, ამასთან, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ხელშემკვრელ მხარეთა უფლება-მოვალების ფარგლების სწორად განსაზღვრისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს ამხანაგობის შიდა ურთიერთობაში მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე და იმ საკითხზე, თუ ვინ ვევლინება კრედიტორად და ვინ მოვალედ:

1.5.1. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად (რომლითაც იხელმძღვანელა თავად სააპელაციო პალატამაც იხ. სუსგ №ას-482-458-2013, 16 იანვარი, 2014 წელი), ამხანაგობაის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე დამყარებული გარიგება, მოითხოვს წევრებისაგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ამხანაგობისათვის დამახასითებელია კოლექტიური გაერთიანების (კორპორაციული სტრუქტურის) ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. მართალია, ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებული ნორმა (935.2 მუხლი) ხელშეკრულების მონაწილეს აღჭურავს უფლებით, მოსთხოვოს წევრს ვალდებულების არა საკუთარი, არამედ საერთო მიზნის მისაღწევად შესრულება, თუმცა, წევრთა ურთიერთობობის არსებობის შესაძლებლობას ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებული არც ერთი დანაწესი არ გამორიცხავს.

1.5.2. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამხანაგობა, მსგავსად ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისა, საკანონმდებლო ბოჭვის ფარგლებში (სკ-ის 319.1 მუხლი) დასაშვებად მიიჩნევს კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ პირობებზე მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობას, რომლის მიმართაც სრულად ვრცელდება შესრულების კეთილსანიდისიერი მოვალეობა (სკ-ის 361.1 მუხლი). ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს სააპელაციო სასამართლოს ის მსჯელობა, რომლის თანახმადაც, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით „ინვესტორმა“ წევრებმა იყისრეს „მესაკუთრე“ წევრებისათვის ბინების დაქირავების ვალდებულება (ხელშეკრულებაში არ ის განსაზღვრული ვალდებულების მოცულობა, არამედ, განსაზღვრულია მხოლოდ შესრულების ვადა – მშენებლობის დასრულებამდე) და იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ ამ ვალდებულების ფარგლებში, მოპასუხე არ წარმოადგენს პერსონალურად პასუხისმგებელ პირს. მხარეთა შორის უდავოა ის გარემოებაც, რომ კასატორის მოწინააღმდეგი მხარე „ინვესტორი“ წევრია, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ №5 ხელშეკრულებით მოპასუხე მოგორც ამავდროულად ამხანაგობის წარმომადგენლობით უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა, დააზუსტა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ნაკისრი ქირის გადახდის ვალდებულების ფარგლები, თუმცა, მოხმობილი გარემოებები ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობის გაზიარების საფუძველი, რომ სარჩელი არასათანადო მოპასუხის მიმართა აღძრული და საჭიროა ამხანაგობის წევრთა მოწვევა საქმის განხილვაში.

1.5.3. პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც მოვალეებად გვევლინებიან ამხანაგობის „ინვესტორი“ წევრები, ხოლო კრედიტორებად – „მესაკუთრე“ წევრები, რომელთაც საკუთარი სურვილის შესაბამისად, ვალდებულების შესრულება შეუძლიათ მოითხოვონ, როგორც ერთ-ერთი, ისე – ყველა სოლიდარულად პასუხისმგებელი პირისაგან თანახმად სამოქალაქო კოდექსის 463-ე-465-ე მუხლებისა. ამ მსჯელობას არ აბათილებს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი ამხანაგობის წევრთა ურთიერთპასუხისმგებლობის მონაწილეთა წილების შესაბამისად შეზღუდვის თაობაზე, ასევე გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომლის თანახმადაც, მოპასუხის შესატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მისი წილობრივი დაფინანსება და არა საცხოვ-

რებელი სახლის დასრულებამდე ბინის ქირის გადახდის უზრუნველსაყოფად შესაბამისი თანხის შეტანა.

1.5.4. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სალიდარული ვალდებულების არსიდან გამომდინარე, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქეს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სკ-ის 473.1 მუხლი), ამდენად, „მესაკუთრეთა“ წინაშე მშენებლობის განმავლობაში ბინის ქირის გადახდის ვალდებულების „ინვესტორთა“ მიერ სოლიდარულად კისრების გამო, მოპასუხე, როგორც სოლიდარულად ვალდებული პირი, პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით გათვალისწინებული სა-თანადო მოპასუხეა, რომელსაც გაჩინია ყველა იმ მატერიალური შესაგებლის წარდგენის უფლება, რომლითაც აღჭურვილი არიან დანარჩენი სოლიდარული მოვალეები (სკ-ის 466-ე მუხლი).

1.6. სამართლებრივად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა მეორე სასარჩელო მოთხოვნაზეც. სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადაღების თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძლვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. საქმეში წარმოადგენილი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თანახმად, კასატორის მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენს იბა „მ-ე-2-ის“ თავმჯდომარეს, რომლის უფლებამოსილებაც განერილია ხელშერულებით. მათ შორისაა ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამხანაგობის თავმჯდომარესა და ამხანაგობას შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს დავალების ხელშეკრულება წარმოადგენს (სკ-ის 934.5 მუხლი), რომლის ფარგლებშიც რწმუნებულად გვევლინება წარმომადგენლობითა უფლებამოსილების მქონე პირი – ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მარნმუნებლად – ამხანაგობის წევრები (სკ-ის 709-ე მუხლი), თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 713-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს რწმუნებულის მოვალეობას, მისცეს მარნმუნებელს აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნით – მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩა-

აბაროს მას ანგარიში. ამდენად, კანონის აღნიშნული რეგულაციის გათვალისწინებით, ამხანაგობის დოკუმენტაციის გადაცემაზე მოპასუხე, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე ასევე განიხილება სათანადო მოპასუხედ და არც ამ ნაწილში არსებობს ამხანაგობის ყველა წევრის მოწვევის წინაპირობები.

1.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს უფლების საკითხი.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო და აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 284-ე, 412-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 12. განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი

### ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### განხილვა

№ას-1214-1173-2016

23 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქ-  
მის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. უ-მა (შემდგომში „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასა-  
მართლოში თ. თ-ის (შემდგომში „მოპასუხე“, „კერძო საჩივრის  
ავტორი“) მიმართ თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონე-  
ბის გაყოფისა და ფულადი ვალდებულების შესრულების თაო-  
ბაზე. ასევე შეგებებული სარჩელი აღძრა თ. თ-მა გ. უ-ის მი-  
მართ ქორწინების შეზყვეტისა და აღიმენტის დაკისრების თა-  
ობაზე.

2. მოპასუხებმა სარჩელი ნაწილობრივ ცნეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის  
გადაწყვეტილებით გ. უ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-  
და; მოსარჩელე ცნობილ იქნა სადაც უძრავი ქონების 1/3-ის  
მესაკუთრედ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკის-  
რა 9000 ლარისა და 3000 ევროს გადახდა; შეგებებული სარჩე-  
ლი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მხარეთა შორის რეგისტრი-  
რებული ქორწინება შეწყდა; მოსარჩელეს შეგებებული სარჩე-  
ლის ავტორის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრის მო-  
მენტიდან არასრულწლოვანი შეიღლის სრულწლოვანებამდე ყო-  
ველთვიურად აღიმენტის – 300 ლარის გადახდა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საპელაციო  
წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

5. თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი ვადის დარღვევით წარდგენის გამო დარჩა განუხილველი.

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე აპელანტმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება.

8. 2016 წლის 7 ნოემბერს გ. უ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. განმცხადებელმა განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც მან უზენაესი სასამართლოს მიერ 2016 წლის 2 ნოემბერს მიღებული განჩინებით შეიტყო, რომ საკასაციო სასამართლომ მხარის მიერ დასაბუთებული განჩინების ჩაბარების თარიღად მიიჩნია 2016 წლის 18 ივლისი (რეალურად კი ამ დღეს მოსარჩელეს ჩაბარდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი) და შესაბამისად, კანონიერად ჩათვალა ვადის დარღვევის გამო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარის განუხილველად დატოვება, 2016 წლის 4 ნოემბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სადაცო გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარების თარიღის დაზუსტების მიზნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემნის 2016 წლის 7 ნოემბრის წერილობითი პასუხით განმცხადებელს ეცნობა, რომ მან 2016 წლის 18 ივლისს ჩაიბარა არა საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილება, არამედ აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. შესაბამისად, დასტურდებოდა სააპელაციო საჩივარის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენის ფაქტი.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებით განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაქმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება და გ. უ-ის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა.

10. საპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო საქმის წარმოების განახლების საფუძველს წარმოადგენდა ახალი მტკიცებულება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწის 2016 წლის 7 ნოემბრის განცხადების პასუხი, რომლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი კანონით დადგენილ სამ დღიან გადაში მომზადდა და გადაეცა მხარეს, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილება გადაეცა 2016 წლის 4 აგვისტოს. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საქმის წარმოების განახლების თოობაზე წარდგენილი განცხადების დაკამაყოფილების საფუძველი.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. თ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მიოთხოვა მისი გაუქმება.

12. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, განმცხადებელი მის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების 2016 წლის 4 აგვისტოს ჩაბარების თაობაზე უთითებდა 2016 წლის 5 ოქტომბერს უზენაეს სასამართლოში წარდგენილ კერძო საჩივარშიც და ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებაც (ხელნერილი), მისი განმარტებით, საქმეში იდო. ამრიგად, რომც ჩაითვალოს, რომ საქმე გვაქვს ახლად აღმოჩენილ გარემოებასთან, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით დადგენილი ვადის დარღვევითა შეტანილი, რადგან 2016 წლის 5 ოქტომბერს მხარისთვის უკვე ცნობილი იყო აღნიშნული გარემოება, ხოლო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილია ამ საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ – 7 ნოემბერს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგე-

ნილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

15. განსახილველ ქემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მართლზომიერება.

16. საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით გ. უ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუზილველი დაუშვებლობის გამო. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიზნია, რომ პათუმის საქალაქო სასამართლოს სადავო გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარდა 2016 წლის 18 ივლისს, ხოლო მან სააპელაციო საჩივარი წარადგინა იმავე წლის 16 აგვისტოს, ანუ კანონით დადგენილი 14 დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით.

17. ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა აპელანტმა.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების 2016 წლის 18 ივლისს გადაცემის შესახებ და დასკვნა, რომ კერძო საჩივრის ავტორმა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით (ხელწერილითა და გადაწყვეტილების დამოწმებული ასლით) საწინააღმდეგოს დადასტურება ვერ შეძლო.

19. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გ. უ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მისი სააპელაციო საჩივრის განუზილველად დატოვების შესახებ კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. განცხადებლის მოსაზრებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწის მიერ 2016 წლის 7 ნოემბერს გაცემული ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იყო, რომ გ. უ-მა საქალაქო სასამართლოს დასაბუთებუ-

ლი გადაწყვეტილება ჩაიპარა არა 2016 წლის 18 ივლისს, არა-მედ იმავე წლის 4 აგვისტოს, შესაბამისად, აღნიშნული დოკუ-მენტით დასტურდებოდა აპელაციის მიერ სააპელაციო საჩივ-რის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენის ფაქტი, რაც მის სა-აპელაციო საჩივართან დაკავშირებით მიღებული კანონიერ ძა-ლაში შესული განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების გა-ნახლების საფუძველს ქმნიდა.

20. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, წარდგენილი დოკუმენტი მიიჩნია ახლად აღმოჩენილ გარემოებად და საქმეზე გახახლა წარმოე-ბა, რაც კერძო საჩივრით სადაციდ გახადა მოწინააღმდეგე მხა-რემ. საჩივრის ავტორის განცხადებით, იმ ფაქტის შესახებ, რაც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია ახლად აღმოჩენილ გარე-მოებად, განმცხადებლისთვის გაცილებით ადრე იყო ცნობილი. კერძოდ, იგი 2016 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილ კერძო საჩივარში მიუთითებდა სა-ქალაქო სასამართლოს დასაბუთიბული გადაწყვეტილების 2016 წლის 4 აგვისტოს ჩაბარების თაობაზე და ამის დამადასტურე-ბელი ხელწერილიც წარადგინა სასამართლოში, შესაბამისად, იმ პირობებშიც კი, თუ მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას სა-სამართლო მიიჩნევდა ახლად აღმოჩენილ გარემოებად, გან-მცხადებელს დარღვეული ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კო-დექსით განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ერთ თვიანი ვადა.

21. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის პრე-ტენზიების შემოწმების მიზნით მიუთითებს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან გან-ჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშ-ვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხა-დების წანამდლორები.

22. მითითებული ნორმის მიხედვით, კანონიერ ძალაში შე-სული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქ-მის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუს-ტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ახლად აღმოჩენილ გარე-მოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები მო-ცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონი-

ერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება) შეიძლება გა-  
საჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ნარ-  
მოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი  
გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც,  
ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის გან-  
ხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვე-  
ტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი,  
ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში აღნიშნული სა-  
ფუძვლით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი  
ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა  
და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა ან მიეთი-  
თებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

23. ზემოაღნიშნული ნორმით კანონმდებელი ყურადღებას  
ამავილებს იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლე-  
ბიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, საქმის  
განხილვის დროს, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გა-  
დაწყვეტილების გამოტანას; ამასთან, კანონმდებლის მოთხოვ-  
ნაა, რომ ამ გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ მხა-  
რისათვის ცნობილი გახდეს გადაწყვეტილების გამოტანის შემ-  
დეგ; და ბოლოს, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ უნდა ჰქო-  
ნდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილე-  
ბის მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკი-  
ცებულებებზე. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული  
საფუძვლები კიდეც რომ დადასტურდეს, კანონიერ ძალაში შე-  
სული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახ-  
ლება შეიძლება მხოლოდ ორი აუცილებელი პირობის არსებო-  
ბისას: პირველი, ფაქტი არსებობდა გადაწყვეტილების გამოტა-  
ნამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და, მეორე, მხარემ არ  
იცოდა ამ ფაქტის თაობაზე, ამასთან, თავისი ბრალის გარეშე  
არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტი-  
ლების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და  
მტკიცებულებებზე. შესაბამისად, კანონმდებელი ახლად აღ-  
მოჩენილად არ განიხილავს იმ გარემოებებს, რომლებზე მითი-  
თების შესაძლებლობაც მხარეს გააჩნდა საქმის წარმოების დას-  
რულებამდე.

24. ამდენად, განმცხადებელი, რომელიც მოითხოვს საქმის  
წარმოების განახლებას, ვალდებულია, ამტკიცოს და სარწმუ-  
ნოდ დაადასტუროს, როგორც მტკიცებულების სათანადოობა  
– რომ ამ მტკიცებულების საქმის არსებითად განხილვის ეტაპ-  
ზე წარდგენით მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღე-

ბა იქნებოდა შესაძლებელი, ისე მისი არაბრალეულობა ამ მტკიცებულების მანამდე მოპოვების შეუძლებელობის თაობაზე.

25. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აფასებს რა განმცხადებლის მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილ მტკიცებულებას – თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ 2016 წლის 7 ნოემბერს გაცემულ ინფორმაციას – მისი შინაარსის გათვალისწინებით, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აპელანტს, გ. ჟ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 5 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდა იმავე წლის 4 აგვისტოს, ხოლო 2016 წლის 18 ივლისს მხარემ ჩაიბარა აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, თუმცა ვერ გაიზიარებს სასამართლოს მოსაზრებას, რომ მხოლოდ მხარის მიერ აღნიშნული მტკიცებულების წარდგენა უნდა მიჩნეულიყო ახლად აღმოჩენილ გარემოებად და საქმის წარმოების განახლების საკმარის საფუძვლად.

26. მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებაზე აპელანტმა იმავე წლის 5 ოქტომბერს წარადგინა კერძო საჩივარი, რომელშიც მიუთითებდა გასაჩივრებული განჩინების უსაფუძვლობასა და მის მიერ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების სათანადოობაზე, რომლითაც, მისი მოსაზრებით, დასტურდებოდა სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენა. ხოლო მას შემდეგ, რაც შეიტყო უზენაესი სასამართლოს მიერ მისთვის არასასურველი განჩინების შესახებ, განჩინების გამოტანიდან რამდენიმე დღეში (2016 წლის 4 ნოემბერს) მიმართა საქალაქო სასამართლოს და გამოითხოვა ინფორმაცია მის მიერ საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ, რაც საფუძვლად დაუდო კიდეც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებას.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირბებში, როდესაც დადასტურებულია, რომ აპელანტმა დარღვეული უფლების თაობაზე შეიტყო 2016 წლის 15 სექტემბერს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი ვადის დარღვევით წარდგენის გამო დატოვა განუხილველად, ხოლო განმცხადებელმა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ მის კერძო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების

(2016 წლის 2 ნოემბრის) შემდეგ, 2016 წლის 7 ნოემბერს მოიპოვა მისთვის სასარგებლო ინფორმაციის შემცველი მტკიცებულება და მიმართა სასამართლოს ამ მტკიცებულების საფუძველზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განცხადების განხილვისას უნდა ემსჯელა არა მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტის სათანადოობაზე – მისი საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე წარდგენით იქნებოდა თუ არა შესაძლებელი აპელანტისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება, არამედ უნდა შეემოწმებინა სახეზე იყო თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნა – განმცხადებლის არაბრალეულობა ამ მტკიცებულების მანამდე მოპოვების შეუძლებელობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო აქვე შენიშნავს, რომ თავად განცხადების ავტორს საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებაში არ მიუთითებია, თუ რამ შეუშალა ხელი საქმის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს წარედგინა ზემოაღნიშნული მტკიცებულება.

28. ამრიგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე, კერძო საჩივრის ნაწილობრივ დაქმაყოფილებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პირობებს ქმნის.

29. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადა, იგი შეადგენს ერთ თვეს და ინყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები (სსსკ 426-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები).

30. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ გარდა საკასაციო სასამართლოს მიერ მითითებული ზემოაღნიშნული პირობების შემოწმებისა, საქმის ხელახლა განხილვისას ასევე უნდა შეაფასოს წარდგენილი განცხადება აკმაყოფილებს თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 დეკემბრის განჩინება და საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოე-ბის განახლების თაობაზე განცხადების ხელახლა განსახილვე-ლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## **საქმის წარმოების განახლების თაობაზე გაცესადების დასაშვებობის შემოხევა**

### **განხილვა**

№ას-981-945-2016

23 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება, ზია-  
ნის ანაზღაურება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერ-  
ვლის გადაწყვეტილებით შპს „ა. 21-ის“ სარჩელი ლია სააპელი  
საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორ-  
პორაცია „ა-ის“ წარმომადგენლობა საქართველოში „ა-ას“ მი-  
მართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის – 1 150  
433,50 ლარის, ამ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზი-  
ანის – 542 345,07 ლარის, პირგასამტებლის – 22 879 ლარისა და  
პროცესის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილ-  
და, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩევებრ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს  
„ა. 21-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა,

გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ღია სააქციო საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია „ა-ის“ წარმომადგენლობას (ფილიალს) საქართველოში „ა-ას“ შპს „ა. 21-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 1 150 433,40 ლარის, ასევე, პროცესის ხარჯების ანაზღაურება.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ღია სააქციო საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია „ა-ის“ წარმომადგენლობამ (ფილიალმა) საქართველოში „ა-ამ“, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „ა. 21-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივნისის განჩინებით ღია სააქციო საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია „ა-ის“ წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში „ა-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაექმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5. ღია სააქციო საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია „ა-მა“ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოის და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ დასაბუთებით, რომ დავის განხილვაში განმცხადებელი, როგორც მხარე არ ყოფილა მიწვეული.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინებით ღია სააქციო საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია „ა-ის“ განცხადება ამავე სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა განმცხადებელმა, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და ამავე სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ბათილად ცნობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მიზნებს, რომ ღია სააქციო საზოგადოება სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია „ა-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდე-

გი გარემოებების გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტოპრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვაზე მედგრომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

1.2. კერძო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის გამოყენების კანონიერება, კერძოდ ის, სააპელაციო პალატამ მართებულად შეაფასა თუ არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსახილველად დაშვების წინაპირობები. ამ თვალსაზრისით კი, კერძო საჩივრის ავტორი პრეტენზიას გამოთქვამს შემდეგზე:

1.2.1. სააპელაციო სასამართლო არასწორად გადმოსცემს განმცხადებლის წერილობით განმარტებას იმის თაობაზე, რომ მისთვის 2016 წლის 27 აპრილის მდგომარეობით (ცნობილი იყო „ა-ის“ წარმომადგენლობას (ფილიალი) „ა-ასა“ და შპს „ა. 21-ს“ შორის მიმდინარე დავის თაობაზე. აღნიშნული მსჯელობის უსწორობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მხარისათვის ამ დღის არაოფიციალურად იყო (ცნობილი დავის არსებობის ფაქტი, რომლის გადამოწმების მიზნით იქნა გამოთხოვილი სამოქალაქო საქმის მასალები, აღნიშნულის საპირისპირო მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, შესაბამისად, მხარეს არ აქვს დარღვეული სასამართლოსათვის მიმართვის ერთთვიანი ვადა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კერძო საჩივრის ავტორმა თავდაპირველად, განსჯადობის წესის დარღვევით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რაც ადასტურებს სუბიექტის ნებას, წარადგინოს საჩივარი, შესაბამისად, სადაც დოკუმენტის გასაჩივრების პერიოდში, ვადის დენის შეჩერების გამო, ეს ვადები მხედველობაში არ მიიღება. 2016 წლის 27 აპრილს გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე კერძო საჩივრის ავ-

ტორისათვის ცნობილი გახდა შპს „ა. 21-ის“ მიერ სარჩელის წარ-დგენა „ა-ის“ წარმომადგენლობის (ფილიალის) საქართველოში „ა-ას“ მიმართ, რომლის თაობაზეც 2014 წლის 28 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში სა-აპელაციო და შემდეგ საკასაციო წესით გასაჩივრდა;

1.2.2. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 79-ე მუხლის პირველ ნაწილზე, მე-16 მუხ-ლის მე-3 ნაწილზე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-16 მუხლზე და განმარტავს, რომ მართალია, ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე დავა დასაშვებია, შაგრამ ფილია-ლი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და არ გააჩნია საპროცე-სო უფლებაუნარიანობა. „ა-ა“ ასევე წარმოადგენს უცხოური სა-ნარმოს ფილიალს და იგი იურიდიული პირი არაა, რადგანაც არ გააჩნია განცალკევებული ქონება, რითაც დამოუკიდებლად აგებდა პასუხს. ამ მიზეზის გათვალისწინებით, მხარე მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქებულების შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა მიეღო საჩივრი წარმოებაში, რაც მიღებული გადაწყვეტილე-ბის ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბათილად ცნობის საფუძ-ველია.

1.3. საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტო-რის ზემოაღნიშნულ არგუმენტაციას და ყურადღებას რადგე-ნიმე ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხზე გაამახვილებს:

1.3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თა-ნახმად, სასამართლომ თავისი ინიციტივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სა-სამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. მოხმობილი ნორმა ადგენს განცხადების განმხილველი სასამარ-თლოს ვალდებულებას, შეამოწმოს საქმის წარმოების განახლე-ბის შესახებ წარდგენილი მხარის წერილობითი პრეტენზია, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, შეესაბამება თუ არა კანონის იმპერატიულ ნინაპირობებს (სსკ-ის 424-ე-427-ე მუხლები). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის წარმო-ების განახლების შესახებ განცხადების დაშვება-განხილვა არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კი-დევ ერთხელ გასაჩივრების უფლების მინიჭებას იმ მხარისათ-ვის, რომლისთვისაც ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამარ-თლებრივი მართლწესრიგი მიუღებელი აღმოჩნდება. კანონის

ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების მუდმივობის პრინციპს, რამდენადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადაცო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. საპროცესო კოდექსის LII თავი შეეხება მართლმსაჯულების განხორციელებისას დაშვებულ, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ხარვეზების გამოსწორების სპეციალურ შემთხვევას და უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობის პრინციპის უტყუარად დაცვას (სსკ-ის მე-5 მუხლი).

1.3.2. გასაჩინერებული განჩინებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეს დარღვეული ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების წარდგენის 1-თვეიანი ვადა, ამასთანავე, არ არსებობდა 422-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით სასამართლოსათვის მიმართვის წინაპირობები.

1.3.3. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ღსს „ა-ს“ დარღვეული აქვს განცხადების წარდგენის ერთთვიანი ვადა. კერძო საჩივრის აფტორის არგუმენტის გაზიარების შემთხვევაში, რომ მისთვის საქმის განხილვის თაობაზე ოფიციალურად საქმის მასალების გაცნობისთანავე გახდა ცნობილი, პალატა მიიჩნევს, რომ საპროცესო ვადის დენა უნდა აითვალიოს „ა-ის“ მიერ სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების პასუხად წარდგენილი მტკაცებულებების შესაბამისად, რომელთა შორისაა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის გზავნილი, რომლითაც ადრესატ „ა-ის“ წარმომადგენელს გაეგზავნა მის მიერ მოთხოვნილი საქმის მასალები, რომელიც ადრესატს (ორგანიზაციის წარმომადგენელს) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ჩაბარდა 2016 წლის 7 მაისს. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის ერთთვიანი ვადის დენა დაიწყო 2016 წლის 8 მაისს და ამონურა სამუშაო დღეს, ოთხშაბათს – 8 ივნისს. საქმეში წარმომადგენილ განცხადებაზე დართული საფოსტო შეტყობინებით დასტურდება, რომ ღსს „ა-ბ“ სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა 2016 წლის 26 ივლისს. ამ ფაქტობრივ ვითარებას ვერ შეცვლის ის, რომ განცხადება თავ-

დაპირველად არაგანსჯად ქუთაისის საქალაქო სასამართლოში იქნა წარდგენილი (დათარიღებულია 2016 წლის 11 მაისით, 2016 წლის 22 ივნისის განჩინებით საქალაქო სასამართლომ, განმცხა-დებლის მიერ საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენების გამო, განუხილველად დატოვა იგი), რადგანაც წარმომადგენლის მიერ არაგანსჯადი სასამართლოსათვის მიმართვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დენას არ აჩერებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც ერთი დანაწესი ამგვარ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, ერთადერთი შემთხვევა, რაც საპროცესო ვადის დენაზე ახდენს გავლენას, 62-ე მუხლია, რომლის თანახმადაც, ყველა დაუმთავრებელი საპროცესო ვადა შეჩერდება საქმის წარმოების შეჩერებით. ვადების შეჩერება დაინტერესობა იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან საპროცესო ვადის დენა განახლდება.

1.3.4. რაც შეეხება კერძო საჩიტორის აკტორის მოსაზრებას, რომ უცხოურო საწარმოს რეგისტრირებული ფილიალი სამართლოსუბიექტი არაა (სსსკ-ის 422-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები), პალატა არ იზიარებს მას და მხარის პრეტენზიების საპირისპიროდ, განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილით რეგლამენტირებულია იურიდიული პირის, როგორც სამართალსუბიექტის ცნება, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და ნორმის მე-5 ნაწილით, კანონმდებელი, კომერციული მიზნით შექმნილი იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი მოწესრიგებისათვის სპეციალურ ნორმატიულ აქტზე – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე მიუთითებს. ამ უკანასკნელი ნორმატიული აქტით იურიდიული პირის ნამდვილობის უმთავრეს კრიტერიუმად მიჩნეულია მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია (იხ. 4.1. მუხლი), ამასთანავე, მართალია, იურიდიული პირის ფილიალი დამოუკიდებელ იურიდიულ პირად არ განიხილება და რეგისტრაციასაც არ ექვემდებარება, არამედ, სამართალსუბიექტად მაინც ფილიალის დამარსებელი ძირითადი საწარმო განიხილება (იხ. 16.1 მუხლი), თუმცა ეს დათქმა მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს შეეხება, ხოლო უცხოურო საწარმოს ფილიალის სამართლებრივ სტატუსს ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომელსაც საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის სავალდებულო ყველა წინაპირობა და რა თქმა უნდა მის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრა-

ციის ვალდებულება წაეყენება (იხ. ამავე კანონის 16.6. მუხლი). ამდენად, უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება – ფილიალი, რეისტრაციაუნარიანი ფილიალია, რომელიც დამოუკიდებლად იძენს უფლებებსა და მოვალეობებს. ის გარემოება, რომ „ა-ა“, როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი, რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, დადასტურებულია საქმეში არსებული სამეწარმეო რეესტრის ამონანერით და ეს საკითხი კერძო საჩივრით შედავებული არა.

1.3.5. რაც შეეხება საპროცესო უფლებაუნარიანობის საკითხს, პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, უცხოური საწარმოს რეგისტრირებული ფილიალი სწორედ მხარის სტატუსს ატარებს სამოქალაქო პროცესის მიზნებისათვის, რომელსაც ამავე კოდექსის მე-80 მუხლის მე-3 ნაწილისა და 81-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გააჩნია საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, შესაბამისად, უცხოური საწარმოს რეგისტრირებული წარმომადგენლობის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო თანხის დაკისრების შესახებ სარჩელის განხილვა დასაშვები იყო ამ ფილიალის, როგორც სრულუფლებიანი საპროცესო მხარის მიმართ, ხოლო განმცხადებელს არ მიუთითებია სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინაპირობების რეალურად არსებობის ფაქტზე.

1.4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით, ხოლო კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია იმგვარი შედავება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, ამ განჩინების გაუქმებას გამოიწვევდა.

## 2. სასამართლო ხარჯები:

კერძო საჩივრის ავტორმა საკუთარი ინიციატივით წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდის ქვითრის დედანი სასამართლოში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კერძო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 50 ლარს, პალატა თველის, რომ ამავე კოდექსის მე-7 და 42-ე მუხლების შესაბამისად, მხარეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს ზედმეტად გადახდილი 100 ლარი.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 42-ე, 419-ე, 420-ე მუხ-ლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ლია სააქციო საზოგადოება „ს-ის“ კერძო საჩივარი არ დაკ-მაყოფილდეს.
2. ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინება დარჩეს უც-ვლელად.
3. ლია სააქციო საზოგადოება „ს-ს“ (აზერბაიჯანის რესპუბ-ლიკაში რეგისტრირებული იურიდიული პირი, პირველი რეგის-ტრაციის №..., სახელმწიფო რეგისტრაციის №(ტპი): ...) სახელ-მწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბან-კის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს ა. ბ-ის მიერ 11.10.2016 წ. №... საკრედიტო საგა-დახდო დავალებით ზედმეტად გადახდილი 100 ლარი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## საპირელი

### 1. პროცესის ხარჯები

სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება .....	3
სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის .....	9;21

### 2. მესამე პირები

საპროცესო უფლებამონაცვლეობა .....	14
-----------------------------------	----

### 3. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

მტკიცების ტყირთი .....	21
------------------------	----

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას .....	32
---	----

### 4. სარჩელის უზრუნველყოფა

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ .....	57
---	----

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით .....	64
---	----

### 5. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება .....
--

სასარჩელო მოთხოვნის მართებულობის
----------------------------------

დაუსაბუთებლობის გამო .....	70
----------------------------	----

### 6. სასამართლოს გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების განმარტება .....	83
----------------------------------	----

გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა ....	90
---	----

### 7. გადაწყვეტილების აღსრულება

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა .....	102;112
---	---------

### 8. ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების

შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი
---

ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების
--

შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი;
--

საქმის წარმოების შეწყვეტა .....	121
---------------------------------	-----

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვა .....	132
---	-----

### 9. აპელაციის დასაშვებობა

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება
---

ხარვეზის შეუვსებლობის გამო .....	140; 147; 151
----------------------------------	---------------

საქმის გადაგზავნა სააპელაციო სასამართლოში .....	147
---	-----

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა;
-----------------------------------

სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობა სააპელაციო
--

საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო .....	158
---	-----

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა .....	162
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის ჩაბარება .....	168
<b>10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება</b>	
სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები .....	173
<b>11. კასაციის დასაშვებობა</b>	
გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები ....	182
<b>12. განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი</b>	
განხილვის წესი	
ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება .....	191
საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების დასაშვებობის შემოწმება .....	199